ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 6 დეკემბერი 1997 №157 (522) ფასი 50 თეთრი

## წილისყრა მარსელში



საქართველომ ისტორიის ისეთი პერიოდი გამოიარა და დღესაც იმგვარი დროება უდგას, გასაკვირი სულაც არაა, სასამართლოს დარბაზები რომ გაჭედილია. ყოველ ფეხის ნაბიჯზე დავა-კამათია. საქმე ირჩევა სასამართლოში, პარლამენტში, ქუჩაში და ყველგან, სადაც დაპირისპირებული მხარეები დგანან. რა სახარბიელოა, მაგრამ ბოლო თვეა, განსაკუთრებით ცხელ საქმეთა ნუსხას დეპარტამენტ-ფედერაციისაც შეემატა. ფეხბურთი უმაღლესი სახელმწიფო პოლიტიკის ინტერესთა სფეროში მოხვდა, რაკი საკითხი ასე დადგა: საქართველო, შესაძლოა, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციებიდან გარიცხონ. ასე იყო ოთხშაბათამდე. 4 დეკემბერს კი საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ძალადაკარგულად ჩაითვალა საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და სპორტის დეპარტამენტის 21 ნოემბრის ბრძანება.

**A ჯგუფი**
ბრაზილია
შოტლანდია
მაროკო
ნორვეგია

**B ჯგუფი**
იტალია
ჩილე
კამერუნი
ავსტრია

**C ჯგუფი**
საფრანგეთი
სამხრეთი აფრიკა
საუდის არაბეთი
დანია

**D ჯგუფი**
ესპანეთი
ნიგერია
პარაგვაი
ბულგარეთი

**E ჯგუფი**
ჰოლანდია
ბელგია
კორეა
მექსიკა

**F ჯგუფი**
გერმანია
აშშ
იუგოსლავია
ირანი

**G ჯგუფი**
რუმინეთი
კოლუმბია
ინგლისი
ტუნისი

**H ჯგუფი**
არგენტინა
იაპონია
იამაიკა
ხორვატია




## საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

№ 709 1997 წლის 4 დეკემბერი ქ. თბილისი

### ქვეყანაში ფეხბურთის განვითარების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ

ქვეყანაში ფეხბურთის განვითარების უზრუნველსაყოფად, ამ მიმართულებით წარმოებული მუშაობის რადიკალურად გარდაქმნისა და საფეხბურთო მეურნეობის მართვის სრულყოფის მიზნით:

1 ფეხბურთის სფეროში საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკიდან გამომდინარე და მისი სახელმწიფოს ინტერესების დაცვის მიზნით „ აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის 1997 წლის 21 ნოემბრის №5:51 ბრძანება.

2 ცნობად იქნეს მიღებული, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია (ა. ჩივაძე) უახლოეს პერიოდში მოიწვევს ყრილობას, საკუთარი წესდების შესაბამისად.

3 საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა (კ. ასათიანი) იუსტიციის სამინისტრომ (თ. ნინიძემ) სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად ხელი შეუწყონ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ყრილობის მომზადებასა და გამართვაში.

4 საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მეშვეობით უზრუნველყოს სისტემატიური კონტაქტი ფეხბურთის საერთაშორისო ორგანიზაციებთან მათ მიერ სანქციების თავიდან აცილებისა და საერთო პრაქტიკული დახმარების მიზნით.

5 შექმნას სამთავრობო კომისია საქართველოს სახელმწიფო დეპარტამენტის, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის, დაინტერესებული სახელმწიფო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მონაწილეობით, რომელიც შეიმუშავებს ქვეყანაში ფეხბურთის განვითარებისა და სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის მრავალწლიან პროგრამას.

6 საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ ზ. შენგელიამ უზრუნველყოს სამთავრობო კომისიის შექმნის ორგანიზაციული საკითხების კოორდინაცია და კომისიის შემადგენლობის დასამტკიცებლად წარმოდგენა.

ე. შევარდნაძე

# გარიცხვას გადავრჩით, ყრილობაც შედგება



ეზეკი ინწკირველი

ბრძანებულების განვრცობილი განმარტება და ბუნებრივად დასმულ კითხვებზე პასუხი სპორტის საკითხებში სახელმწიფო კანცელარიის მრჩეველს, ბატონ *ეზეკი ინწკირველს* ვთხოვეთ.

— სპორტის დეპარტამენტსა და ფეხბურთის ფედერაციას შორის ჩამოვარდნილი იმ დავის შეხსენებას აღარ მოვყვებით, რომელსაც შედეგად ფიფას ულტიმატუმი მოჰყვა. ფიფას გენერალური მდივნის, იოზეფ ბლატერის წერილი კატეგორიულად გვაფრთხილებდა, რომ თუ 8 დეკემბრამდე ფედერაციის ხელმძღვანელებს შეჩერებული ფუნქციები არ აღუდგებოდათ, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან გაგვრიცხავდნენ.

სახელმწიფომ გაითვალისწინა ქვეყანაში არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, რასაც შესაძლო გარიცხვა შეიძლებოდა მოჰყოლოდა და გამოიცა პრეზიდენტის ბრძანებულება. ბრძანებულების თანახმად, გაუქმდა ის ბრძანება, რომელმაც ფიფა განარისხა, სამაგიეროდ, რეკომენდაცია მიეცა ფეხბურთის ფედერაციას, უახლოეს პერიოდში გამართოს ყრილობა საკუთარი წესდების შესაბამისად. გარდა ამისა, სახელმწიფო მინისტრის მოადგილეს, ზაზა შენგელიას დაევალა დასამტკიცებლად წარადგინოს სამთავრობო კომისიის შემადგენლობა, რომელიც ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით შეიმუშავებს ქვეყანაში ფეხბურთის განვითარებისა და სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის მრავალწლიან პროგრამას.

**— გარიცხვა თავიდან ავიცილეთ, მაგრამ რაკი რიგგარეშე ყრილობის გამართვის საკითხი ისევ დგას, გამოდის, ეს საქმე არ დასრულებულა. მით უმეტეს, დეპარტამენტი კვლავაც ცდილობდა, გაერკვია, ყალბია თუ არა ფიფას ფაქსი.**

— ფაქსი ყალბიც რომ იყოს, ჩვენ არავინ გაგვაგებინებს. ფიფა ამ საქმეს თვითონ მოუვლის, მაგრამ ამ ფაქსში საეჭვო ისაა, რომ ბლატერი უპირობოდ გარიცხვით იმუქრება, ფიფას წესდებით კი ეს ამ ორგანიზაციის აღმასკომის გადასაწყვეტია. ასე თუ ისე, ეს საკითხი გადამოწმებას კი საჭიროებდა, მაგრამ 8 დეკემბრამდე არ მოესწრებოდა. ისევ ფეხბურთის საკეთილდღეოდ მოხდა დათმობა. ხომ გახსოვთ, „კავკასიური ცარცის წრე“, როგორ ექაჩებიან მიშიკოს, ხელს კი საბოლოოდ ის უშვებს, ვისაც გული შესტკივა.

რაც შეეხება მომდევნო ეტაპს, ჩვენი საელჩო შეუდგა მუშაობას, მიწერ-მოწერა აქვს ფიფასთან და გამორიცხული არაა, მისი რეგლამენტის უკეთ შესასწავლად საგანგებო კომისიაც მივავლინოთ.

**— ფედერაციას რეკომენდაცია კი მიეცა, მაგრამ რიგგარეშე ყრილობის მოწვევა ხომ ახლა ნებაყოფლობითია.**

— ვფიქრობ, უმჯობესი იქნება, ფედერაციამ საგანგებო ყრილობა გამართოს. მან უნდა გაითვალისწინოს ის აჟიოტაჟი, რაც მთავრობაში, პარლამენტში, საზოგადოებაშია შექმნილი. ფედერაციამ ფაქტობრივად მთელი ქვეყანა უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო.

**— დეპარტამენტის სურვილი გასაგები კი იყო, მაგრამ ასეთი გზით ბრძოლას რა შედეგი მოჰყვებოდა, ყველამ თავიდანვე იცოდა. გამოდის, უხერხულ მდგომარეობაში ქვეყანა უფრო დეპარტამენტმა ჩააგდო.**

— სანამ ბრძანებას გამოსცემდა იუსტიციის სამინისტრო და სპორტის დეპარტამენტი, მანამდე სახელმწიფო მინისტრის, ნიკო ლეკიშვილის სახელზე მხოლოდ გამაფრთხილებელი წერილები მოდიოდა, დაახლოებით ასეთი შინაარსით: იძულებული ვიქნებით, საქართველოს საკითხი განვიხილოთო. ეს კი სულ სხვა რამაა, ახალკაცის სახელზე მოსულ წერილთან შედარებით, სადაც უკვე გარიცხვით დაგვემუქრნენ. დეპარტამენტს რომ სცოდნოდა, საქმე ასეთ ხასიათს მიიღებდა, სხვაგვარად იმოქმედებდა.

**— პრეზიდენტის ბრძანებულების შესახებ ფიფას ვინ უნდა აცნობოს?**

— ბრძანებულების ასლის გადაგზავნაზე პასუხისმგებლობა ფეხბურთის ფედერაციამ აიღო, ფიფას პასუხიც მან უნდა შეგვატყობინოს.

**ვახტანგ ბზიკაძე**

# ჯანო ბაგრატიონი: ფიფას ზედმეტი მოუვიდა



სუბორდინაცია არც ამჯერად დავირღვევია. პრეზიდენტის ხელმოწერილი ბრძანების შემდეგ ისევ სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ბატონ კახი ასათიანს მივაკითხეთ. პასუხად კი, ხვალ ტელევიზიით პირდაპირ ეთერში გამოვდივართ და იქ მობრძანდითო, შემოგვითვალა. კვლავ ვთხოვეთ, მცირე ხნით ჩვენთვისაც მოეცალა, თანაც დავაყოლეთ, „სარბიელი“ შაბათს გამოდისო, მაგრამ ისევ უარი მივიღეთ. ერთი კვირის განმავლობაში დეპარტამენტის თავმჯდომარემ მეორედ არ ისურვა ჩვენთან საუბარი. რაღა დაგვრჩენოდა, დეპარტამენტის პოზიციაში გარკვევა ჯანო ბაგრატიონს ვთხოვეთ.

— სავსებით ვეთანხმები ედუარდ შევარდნაძის ბრძანებას. ყველაფერი ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ გაკეთდა. ვნებების დასაოკებლად ამგვარი ბრძანება დროული იყო. დაპირისპირება ძალიან გაჯანჯლდა, აუცილებელი გახლდათ ჩვენს შორის ურთიერთობის დარეგულირება. ხალხს მოსწყინდა ამდენი დავიდარაბა. დეპარტამენტი არ დაჩაგრულა ამ ბრძანების შემდეგ. წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, სულ უფეხბურთოდ რომ დავრჩენილიყავით, ეს კატასტროფა იქნებოდა.

**— კი მაგრამ, დეპარტამენტი არ აცხადებდა, დაპირისპირებით „ქართულ ფეხბურთს არაფერი დააკლდებაო?**

— დეპარტამენტი საქართველოში მოქმედი კანონების შესაბამისად მოქმედებდა. უკანონო არაფერი გაგვიკეთებია. ფიფამ კი, რატომღაც სხვანაირად ჩათვალა. მგონი, ცოტა ზედმეტი მოუვიდათ, ასეთი კატეგორიული შინაარსის ფაქსი რომ გამოგზავნეს. ამიტომაც ატყდა ამხელა აჟიოტაჟი, ხალხი შეშინდა, ვაითუ მართლაც გაგვრიცხონ ფიფადანო. მათივე წესდების შესაბამისად რვა დეკემბერსვე ვერ გაგვრიცხავდნენ, ამ თარიღის გასვლის შემდეგ მთელი რიგი ღონისძიებები იყო ჩასატარებელი, ასე ერთი ხელის მოსმით უფეხბურთოდ ვერ დაგვტოვებდნენ.

**— დარწმუნებული იყავით, რომ ფიფადან ფაქსი არ მოვიდოდა?**

— არა, დარწმუნებულები არ ვიყავით. ადრე ეპლემ თქვა მსგავსი, შემდეგ მალტელი მიფსუდიც ჩამოვიდა, მაგრამ ფიფას ასეთი რადიკალური პოზიცია ნამდვილად მოულოდნელი გახლდათ. ბლატერის ხელმოწერილი ფაქსი ხერხი იყო თუ სხვა რამ, ახლაც ვერ გამიგია. მოკლედ, ახლა მთავარი ის არის, ემოციები რომ ჩაცხრა. მოსალაპარაკებლად დასხდომაა საჭირო და საქმის სასიკეთოდ მობრუნება. საამისოდ პირველი ნაბიჯი პრეზიდენტმა გადადგა, ჩვენც მხარს ავუბამთ...

**კობა ინასარიძე**

# დავით კვინიკაძე: ყრილობა წესდების მიხედვით ჩატარდება

დღეს თამამად შეგვიძლია ვთქვათ — ფეხბურთის ფედერაციამ სპორტის დეპარტამენტს საკმაოდ გაჭიანურებული ომი მოუგო. მოუგო ყოველმხრივ, მაგრამ დიდი ძალისხმევის საფასურად. მოუგო ფიფა-უეფას დახმარებით. თანაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში (და არა ყოველთვის) სიმართლე მის მხარეს იყო.

რაღა დარჩენია დეპარტამენტს? არაფერი, უკან დახევის გარდა. დეპარტამენტის თავკაცები ბოლო იმედს ებღაუჭებიან, იქნებ ფედერაციაში ფიფადან მოსული ფაქსები ყალბი გამოდგესო. ეს აბსურდია. ფედერაციის ხელმძღვანელები არც ისე გულუბრყვილონი არიან, ამგვარი მარტივი რამ ეფიქრათ. ეს რომ სიმართლე ყოფილიყო, მაშინვე გამოაშკარავდებოდა და უფლებამოსილების შეჩერებას ვინ ჩივის, ფედერაციის ხელმძღვანელებს ციხე არ ასცდებოდათ. არა, იქაურები ყველაფერზე წავლენ, ოღონდ არა ფიფას ფაქსების გაყალბებაზე.

საბოლოოდ რა დარჩა?

პრეზიდენტის ბრძანებულებამ, რომელმაც ქართული ფეხბურთი ფიფა-უეფადან მოკვეთას გადაგვირჩინა, ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა, ყველა სადავო საკითხს პასუხი გასცა. ისიც ცხადია, რომ ვერც დეპარტამენტი და ვერც ფედერაცია დაიბრუნებენ უზრუნველ, მოსვენებულ ცხოვრებას. მთავარი თავსატეხი ახლა იწყება. ქართულ ფეხბურთში სერიოზული რეფორმები და სასიკეთო ძვრები უნდა დაიწყოს. ესეც პრეზიდენტის ბრძანებულებაში წერია.

გუშინ კვლავ ვეწვიეთ ფეხბურთის ფედერაციას. გვინდოდა, იქაური ხელმძღვანელებისთვის საბოლოო კომენტარი გვეთხოვა, ისიც გვსურდა, მათი სამომავლო გეგმების შესახებ შეგვეტყო. იქ კი სამსახურს გვიანობამდე შერჩენილი გენერალური მდივანი დავით კვინიკაძე დაგვხვდა...

**— პრეზიდენტის ბრძანებულებს საფუძველზე იუსტიციის სამინისტროს და სპორტის დეპარტამენტის მიერ 21 ნოემბერს გამოქვეყნებული ბრძანება გაუქმდა. როდის აცნობებთ ყოველივეს ფიფა-უეფას?**

— დღესვე ახლა აღარ გაგვრიცხავენ.

**— პრეზიდენტის ბრძანებაში ისიც წერია, ფედერაციამ საკუთარი წესდების შესაბამისად უახლოეს ყრილობა მოიწვიოსო. ყრილობის მომზადებას ორი ორი-სამი თვე სჭირდებოდა. ახლა ფედერაციას რა დრო ეყოფა, მით უმეტეს, როცა უეფა ახალი წესდებით იმოქმედებს?**

— უეფას ახალი წესდება 24 დეკემბერს შევა ძალაში. ჩვენ იგი აუცილებლად უნდა შევუსაბამოთ ჩვენს კანონმდებლობას. ამას, თქმა არ უნდა, დრო დასჭირდება. ყველაფერი დეტალურად უნდა გაანალიზდეს. ამაზე უკვე ვმუშაობთ. ყრილობის ჩატარების თარიღს ალმასკომი გამოაცხადებს, რომელიც დეკემბრის ბოლოს შეიკრიბება. ალბათ, ყრილობის საფუძვლიანად მომზადებას მინიმუმ ხუთი თვე დასჭირდება.

**— მალე შემუშავდება ფეხბურთის განვითარებისა და სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის მრავალწლიანი პროგრამა. უნდა შეიქმნას სათანადო კომისია, რომელშიც სპორტის დეპარტამენტი, ფეხბურთის ფედერაცია და დაინტერესებული სახელმწიფო ორგანიზაციები და დაწესებულებები უნდა გაერთიანდნენ. ფედერაციას თუ აქვს თავისი პროექტი, რომელსაც კომისიას წარუდგენს განსახილველად?**

— იმისათვის, რომ ქართულმა ფეხბურთმა თავის ღირსეული სიტყვა თქვას საერთაშორისო სარბიელზე, ჩვენი აზრით, საჭიროა:

პირველ რიგში, ფინანსური მხარდაჭერა. გაღატაკებული კლუბი ვერაფერს მიაღწევს. გვჭირდება მცოდნე მწვრთნელები, ამისთვის ფედერაციამ გადადგა პირველი ნაბიჯები. მოგეხსენებათ, ახალგაზრდა მწვრთნელებისთვის ეწყობა სემინარები. ჩვენი კლუბები უნდა გაცნობიერდნენ სპორტულ მარკეტინგში. ფული ჭკვიანურად უნდა დაიხარჯოს. უნდა შევძლოთ ფეხბურთელების შენარჩუნება. ისინი პირველივე დაძახებაზე არ უნდა გავაქციოთ უცხოეთში. მერე ჩვენმა კლუბებმა უნდა შეძლონ, რა თქმა უნდა, გარკვეული პერიოდის შემდეგ, ორი-სამი მაღალი კლასის უცხოელი ფეხბურთელის შეძენა. აქ არ იგულისხმება რონალდო, ციგე და მათნაირები. ისინი ძვირად ფასობენ და მათნაირებს საქართველო, ალბათ, კიდევ კარგა ხანს ვერ შეწვდება. უნდა ვადაწყდეს სტადიონების კუთვნილების საკითხი. ერთხელ და სამუდამოდ ხომ უნდა გაირკვეს, ვის ეკუთვნის სტადიონი. მერე ისინი უნდა კეთილმოვაწყოთ, ისე, რომ ნება დაგვრთონ, საერთაშორისო მატჩები ჩავატაროთ. აუცილებელია საწვრთნელი ბაზები, ერთი მინდორი სავარჯიშოდაც და სათამაშოდაც არ გამოდგება. ნუ გვექნება, ბატონო, „ამსტერდამ არენა“ და მისთანები, მაგრამ რაღაც დონის ხომ უნდა იყოს. ფედერაცია თავის პროექტს წარუდგენს კომისიას და მერე ვნახოთ, განვიხილავთ, ვითანამშრომლებთ, ვიკამათებთ კიდეც და იმედია, საერთო დადებითი აზრი გაიმარჯვებს.



**მამუკა ქვანტალიანი**

# კობიაშვილი რუსებმა აღიარეს

ვლადიკავკაზის „ალანიაში“ წარმატებით ჩატარებული სეზონის შემდეგ საქართველოს ეროვნული გუნდის წევრ ლევან კობიაშვილს რუსებმა გარჯა დაუფასეს. „სპორტ-ექსპრესის“ საკუთარმა კორესპონდენტმა საქართველოში თენგიზ პაჭკორიამ გვაცნობა, რომ ამ გაზეთის გამოკითხვის შედეგად ქართველი ფეხბურთელი რუსეთის საუკეთესო დებიუტანტად, საუკეთესო უცხოელად და საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად დაასახელეს. მარცხენა ნახევარმცველთა შორის პირველობა ჩვენებურს არ ერგო — რუსმა ჟურნალისტებმა მას თავიანთი შარშანდელი რჩეული — სპორტაკელი ანდრეი ტიხონოვი ამჯობინეს. საუკეთესო მოთამაშის ნომინაციაში ლევანი მეოთხე იყო, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ მას ტრავმის გამო მრავალი შეხვედრის გამოტოვება მოუხდა, ეს შედეგი მისთვის ურიგო არ უნდა იყოს.

# გასწორება

27 ნოემბრის „სარბიელში“ „ლოკომოტივ“ — თსუ-ს სათასო შეხვედრის ოქმში არბიტრ, თამაზ ლაცაბიძის ნაცვლად შეცდომით მითითებული იყო დღემდე დისკვალიფიცირებული მერაბ მალალურაძის გვარი.

ამას გაუგებრობა მოჰყოლია, რისთვისაც რედაქცია ბოდიშს იხდის.

# გიო ახვლედიანის

## ისევ ისე, ძველებურად ოჰ...

მეორე წელიწადი შესრულდა, რაც ამ სვეტსა ვწერ და უნდა ვთქვა, რომ ორი წელიწადი გვარიანი დროა. როგორც ის სულგანათლებული იტყოდა, იცით, ეს ორი წელიწადი, რა ორი წელიწადია?

ბევრი რამ მოხდა ამ ორ წელიწადში ფეხბურთის განხრით. საქართველოს ვარსკვლავები არ მოუწყვეტია, მაგრამ რამეები მაინც შესრულდა და აღსრულდა. მარტო ის რად ღირს, რომ სუნამონაპკურები იტალიის ნაკრები მოსკოვურ ტალახსა და ძანძახში ვარბენინეთ თოხარიკით და ასე ამოთხვრილები გავისტუმრეთ საფრანგეთში.

ასეთი პატარა სიხარულები შეიმჩნეოდა, მაგრამ იმედგაცრუება მეტი გამოგვივიდა.

არც არის დიდად გასაკვირი — დიდი სიხარული ნისიაზედ არ მოვა.

დიდ სიხარულს დიდი გამარჯვება უნდა, დიდ გამარჯვებას დიდი და საქმიანი მიდგომ-მოდგომა. თუმცა, ეს მიდგომ-მოდგომაც არ გამოდის ლამაზი, თუ საქმეში ბოლშევიკური აზრი და ფიქრი ჩაერევა.

ეს ბოლშევიკური, ძველებური აზროვნება გავრცელებულია მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და არა მხოლოდ საბჭოთა ტერიტორიაზე, არამედ მთელს ძველი სოციალიზმის მხარეში. თანაც, ეს ოხერი აზროვნება შემორჩენილია არა მხოლოდ დიდმოხელეთა შორის, არამედ სრულიად ჩვეულებრივ ადამიანებშიც, ვისაც წარსულ წლების დიქტატმა ფიქრებზე დაღი დაასვა.

ქართული ფეხბურთის ბედზე გულიანად დაფიქრებული ხალხი ცდას არ აკლებს, რათა თავისებურად, არაფორმალურად იპოვოს გზა დიდი გამარჯვებისა და დიდი სიხარულისაკენ. ნაკრები ნაკრებად და ქომაგი „დინამოს“ გამოც ჯავრობს, განა შეიძლება ყოველ წელიწადს პორტუგალიაში შევრცხვეთო? ასეთ დროს, ნირწამხდარი გულშემატკივარი თვალს გადაავლებს ხოლმე ყოფილ საბჭოთა სივრცეს, რათა იქ განდიდებული გუნდი იპოვნოს და მაგალითად მოიყვანოს. აგე, როგორ დააყენეს საქმეო. ამით, ქომაგი ცდილობს, ჩვენი კლუბის უფროსობას დაანახოს, ძნელ პირობებშიც შეიძლება გამარჯვება, თუკი საზრიანად მიხედავ საქმესო.

და მე ვიტყოდი, რომ ქართული ფეხბურთისთვის არაფრის მომტანია კიევის „დინამოსა“ და ზაგრების „კროაციას“ მაგალითები. ის, რომ კიევი და ზაგრები კარგად თამაშობენ, შეს ძალიან მისაბაძი რამ იყოს, მაგრამ ისე, როგორც კიევსა და ზაგრებში უდგებიან ფეხბურთს, ჩვენ არ უნდა მივუდგეთ. თუ ასე მივუდგებით, უნდა ვაღიაროთ, რომ საბჭოთა კავშირულ რესპუბლიკად ვრჩებით.

ხორვატიასა და უკრაინაშიც ეს გუნდები ყველაზე სახელოვანნი არიან. ამ გუნდების თამაშებს ესწრებიან პრეზიდენტები ფრანიო ტუჯმანი და ლეონიდ კუჩმა. ისინი ქომაგობენ თავიანთ დიდ კლუბებს არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმითაც. ამ ორი გუნდისთვის, ამ ორი ქვეყანაში არსებობს ყოველგვარი დახმარება და ყოველგვარი მხარდაჭერა. ფული და მთელი ამბავი. რადგან ამ ქვეყნის უფროსები ფიქრობენ ძველებურად: გვყავდეს ერთი გუნდი, გამოხაჩენი და ძლიერი, რათა ჩვენს საქმეს წაადგესო. სხვა გუნდების ჯავრი კი არავის აქვს. სხვა გუნდებს სიღარიბე და ვირის თავ-ფეხი. ასე კი, შიდა ფეხბურთი არ ვითარდება. როცა სახელმწიფო პროგრამა ერთი გუნდისთვის დგება და არა მთელი ფეხბურთისთვის, ეს სხვა არაფერია თუ არა ის ძველი, სოციალისტურ-ჩინოვნიკური ფიქრი. მონოპოლია დაუშვებელია.

კიევის „დინამოს“ სხვა რამ კარგი აქვს — გამოცდილი და ჭკვიანი მწვრთნელი და აზრიანი მოთამაშენი, რომლებიც სწორად დარბიან. ამასთუ მივხედავთ, უკეთესია. თორემ ერთი გუნდის პოლიტიკა ჩვენი ფეხბურთის ნამდვილ და სასურველ განვითარებას ვერ მოახერხებს.

ჩვენს პირობებში ფეხბურთში უნდა იყოს არა ბოლშევიკური ფიქრის ნარჩენი, არამედ მგლის კანონი: აი, კოდექსი, და აი, ამ კოდექსის ფარგალში ბურთი და მოედანი. ვინც გადარჩება, გადარჩება. ვინც არა და რა ვუყოთ?

ერთის დახმარება, რბილად რომ ვთქვათ, უტაქტობაა. ძველი დრო ხომ წავიდა? ერთის დახმარების ეპოქა წავიდა. ამიტომ, თუკი შედგება ფეხბურთის განვითარების პროგრამა, ის ყველასთვის უნდა იყოს, და არა ისე, როგორც ზაგრებსა და კიევში აკეთებენ.

ეს ოხერი ძველი დროების კუდები ვერა და ვერ წავაჭერით ჩვენს ცხოვრებას.

აგე, ხომ ხედავთ, რა ხდება ფეხბურთის მამებსა და სპორტის თავკაცებს შორის?

განა ეს ამბავი დღევანდელია, არა, ის ძველია, როგორც...რა ერქვა იმ სიტყვას? ჰო, „პლენუმი“.

ეს ამბავი თავის არსით არის პლენუმების ეპოქისა და სულისკვეთებისა.

ოღონდ ეგ არის, რომ დღევანდელმა ხელმძღვანელებმა მეტი თავისუფლება იგდეს და უფრო ხმამაღლა ლაპარაკობენ.

ეს არის და ეს. მსხვერპლად კი ფეხბურთია, უკვე მერამდენედ, ისე, როგორც ძველ დროში. ოღონდ, მაშინ გაზეთში არავინ ლაგაწერინებდა ამ ამბავს, ახლა კი წერე და იკითხე.

ლოზუნგი (სვეტის ორი წლისთავის გამო): არ გვინდა პლენუმი, გვინდა ფეხბურთი!

# ქინქლაძეს ჟორდანია დაეხმარება

თითქმის ყოველდღე იმის მოლოდინში ვართ, როდის დატოვებს გიორგი ქინქლაძე იმ დაქცეულ „მანჩესტერ სიტის“, მაგრამ ჯერჯერობით ახალი და კარგი მანჩესტერიდან არაფერი ისმის, ეგაა, შევიტყვეთ, რომ უახლოეს დღეებში ინგლისს „დინამოს“ პრეზიდენტი მარაბ ჟორდანია მიაშურებს გიოს სხვა გუნდში გადასვლაში დასახმარებლად, ამისათვის იგი ფრენსის ლის და ფრნეკ კლარკს კონკრეტულად მოელაპარაკება.


სარეკლამო სააგენტო
კოჰი და კომპანია
რეკლამის დამზადება
1. ფარების დამზადება, მოხატვა და განთავსება მოკლე ვადაში
2. განათებული აბრების დამზადება
3. ფერადი წებოვანი რეკლამები
4. სარეკლამო საათებზე რეკლამის განთავსება
კომპიუტერული მომსახურება
ესკიზების, ბუკლეტების, სავიზიტო და მოსაწვევი ბარათების დამზადება
25% ფასდაკლებით!!!
მისამართი: ალ. ყაზბეგის 42
ვაჭრობის სამინისტრო, 2 კორ. 3 სარ.
ტელ. 95 96 56


# ტორპედო და ბიუჯეტი

როგორც გუშინ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის უფროსმა სოსო სვანიძემ გვაუწყა, დამდეგ კვირაში ამავე ორგანიზაციის თანამშრომლები კლუბ ქუთაისის „ტორპედოს“ ესტუმრებიან და თავიანთი კურსით შეამოწმებენ.

**— რატომ დაინტერესდა საგადასახადო კლუბის საქმიანობით?**

— ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, — განაცხადა გადამხდელთა მომსახურეობის განყოფილების უფროსმა ზურაბ ლომიძემ, — „ტორპედო“ ურჩ გადამხდელთა სიაში გვერიცხება. შპს საფეხბურთო კლუბი ქუთაისის „ტორპედო“ ქალაქის სასამართლომ ა.წ. 21 იანვარს გაატარა რეგისტრაციაში, ორი კვირის შემდეგ კი იგი ჩვენც ავიყვანეთ აღრიცხვაზე და... ამით ყველაფერი მორჩა. მიუხედავად მრავალგზის გაფრთხილებისა, კლუბს ჯერაც არ მოუხდენია სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორება, ასე განსაჯეთ, საშემოსავლო გადასახადიც საერთოდ არ შემოუტანია. ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა, ძირფესვიანად შევამოწმოთ კლუბის ბიუჯეტთან ანგარიშსწორება, გადასახადების გაანგარიშების და ბიუჯეტში ჩარიცხვის სისწორე. არ გამიკვირდება, გადაუხდელობისთვის კლუბს სოლიდური საურავი რომ დაერიცხოს.

**— ვინ უნდა აგოს პასუხი არსებულ მდგომარეობაზე?**

— მთლიანობაში კლუბმა. მას სამი დამფუძნებელი ჰყავს — ქალაქის მერია, შპს „იმერეთი-იმპექსი“ და კომერციული ბანკი „სიგმაბანკი“. ჩვენ მასალებს წარმოვადგენთ, მტყუან-მართალიც მაშინ გაირკვევა.

**იუზა ქაციტაძე**



სტუდენტთა დამრიგებლები:

# დინამოს მიზანი ლიგაა

სენსაცია დაარქვით, გინდ კანონზომიერება, მაგრამ ფაქტია — დღესდღეობით კიევის „დინამო“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში სათამაშოდ ემზადება. „სიკვდილის ჯგუფში“ პირველობა, დაგვეთანხმებით, დიდი ამბავია. უკან მოიტოვო „ბარსელონა“, „ნიუკასლი“, „ეინდჰოვენი“, მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ეს რჩეული კი ჩვენთვის ყველასთვის კარგად ნაცნობი ვალერი ლობანოვსკის გუნდია. გუნდი, რომელთანაც ჩვენს „დინამოს“ არაერთხელ უთამაშია და, გადაუჭარბებლად ვიტყვით, ბევრით არაფრით ჩამოუვარდებოდა, თუ ხანდახან არ სჯობდა კიდეც. თუმცა, ეს ადრე იყო, მაშინ, საბჭოეთის ჩემპიონატი რომ ტარდებოდა. ახლა ნოსტალგიამოძალებულთაგან ხშირად გაიგონებთ — საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამივე საფეხბურთო სკოლამ (რუსეთი, უკრაინა და საქართველო იგულისხმება) მნიშვნელოვანი რეგრესი განიცადაო. ძნელია ამის უარყოფა. უდავოა, წმინდა საფეხბურთო თვალსაზრისით სამივე ქვეყანა ევროპელთა ჩრდილქვეშ რომ მოექცა. მაგრამ ნათელი წერტილი მათ შორისაც არსებობს — კიევის „დინამო“. მეორე ადგილი პირობითად შეიძლება „სპარტაკს“ მივაკუთვნოთ, მესამე, უკონკურენციო კი თბილისის „დინამოს“. არადა, ადრე პირიქით იყოო, გაიფიქრებს მკითხველი და მართალიც იქნება...

ბუნებრივად იბადება ერთი კითხვა, ისე როგორ გაუკუღმართდა ჩვენი საქმე, კიეველებთან და მოსკოველებთან შედარებაც რომ გვეუხერხულებაო. ბევრი ცხოვრების დონით ახსნის ყოველივეს, კიდევ მრავალ არგუმენტს მოიყვანენ ჩვენდა გასამართლებლად. იმას კი ცოტა თუ იტყვის, უკრაინულ ფეხბურთს სახელმწიფოსგან დიდი მხარდაჭერა აქვს, ამიტომაც ასპარეზობენ ქართველებზე უკეთ. ასე რომ არ იყოს, ისინი ჩვენებურებზე ნიჭიერი რომ არ არიან, ამას არ დიდი მტკიცება სჭირდება. ცხადზე ცხადია — როცა სახელმწიფო გეხმარება და ხელს გიწყობს, შენი თამაშის დონეც ერთიორად მატულობს. მერე, ცუდი, უგერგილო თამაშისთვის ფეხბურთელს პასუხიც მოეთხოვება.

სიტყვა ცოტა გაგვიგრძელდა, მაგრამ თბილისის „დინამოს“ ვიცე-პრეზიდენტ რომან შოთაძესთან საუბრის შემდეგ უნებურად დაგვებადა სურვილი, ინტერვიუს შესავალში ცოტა რამ ყოფილ მოკავშირეებზეც გვეთქვა. საქმეს ისეთი პირი უჩანს, შესაძლოა, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში „დინამომ“ პირველად ითამაშოს ზედიზედ ორი ევროტურნირი თითქმის ერთი და იმავე შემადგენლობით, ან იქნებ გაძლიერდნენ კიდეც.

გუშინ დიღმის საწვრთნელ ბაზაზე დინამოელთა საერთო კრება გაიმართა. ფეხბურთელები 4 იანვრამდე დაითხოვეს და კლუბის ხელმძღვანელებმა გუნდს ერთი მიზანი დაუსახეს. რომან შოთაძესთან საუბარიც აქედან დავიწყეთ.

— კრებაზე კონკრეტულად ითქვა — მომავალ წელს „დინამო“ ჩემპიონთა ლიგაში უნდა მოხვდეს, — გვითხრა კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა, — ვისაც ძალუძს ამ მიზნისთვის ბრძოლა, კეთილი ინებოს და „დინამოს“ ღირსებისთვის ბოლომდე გაისარჯოს, ვისაც არა — კლუბის დატოვება მოუწევს, ალტერნატივა არ არსებობს — ჩვენ ლიგაში თამაში გვინდა. მთავარი მწვრთნელი ბიჭებს ორი-სამი დღე კიდევ ავარჯიშებს, დიდი დატვირთვების შემდეგ პირდაპირ დასვენება რომ არ გამოუვიდეთ, შემდეგ შვებულებაში გაუშვებს, იანვრის დასაწყისიდან კი შევიკრიბებით და ესენგეს ჩემპიონთა ტურნირისთვის მოვემზადებით.

**— ბოლო დროს ხმა დაირხა, „დინამო“ მეორე წრეს ფაქტობრივად ახალი შემადგენლობით დაიწყებსო. ბევრი ცვლილებაა მოსალოდნელი? რამდენი მოთამაშე აპირებს კლუბის დატოვებას?**

— არა, რას ამბობთ. პირიქით, „დინამოდან“ წასვლას არავინ აპირებს. ერთადერთი გიორგი დემეტრაძეა, რომელსაც კონტრაქტი დაუმთავრდა და ისრაელში გაემგზავრა სათამაშოდ, თუმცა, ჩემპიონთა ლიგისთვის დემე ისევ „დინამოს“ დაუბრუნდება, რადგანაც მასთან კიდევ გავაგრძელეთ კონტრაქტი. იგი ისრაელში მხოლოდ 8 მაისამდე ითამაშებს. გაყიდვით არავინ გაგვიყიდია. მომავალი ჩემპიონთა ლიგისთვის ყველა ფეხბურთელი ითამაშებს, რა თქმა უნდა, მათ გარდა, ვინც დავით ყიფიანს არ სჭირდება. ესენი, ბუნებრივია, ტრანსფერზე დადგებიან.

**— ეგ ძალიან კარგია. იქნებ გაისადაც მაინც არ მოუხდეს ყიფიანს ახალი გუნდის ჩამოყალიბება, მაგრამ არა მგონია, ლიგაში წარმატებით თამაშისთვის ეს საკმარისი იყოს. ვინმეს მოწვევას არ აპირებთ?**

— ლევან კობიაშვილის საკითხი უკვე გადაწყვეტილია. იგი „დინამოში“ ითამაშებს. ლევანს ამ თემაზე ვესაუბრეთ და თვითონაც თანახმაა. მიხეილ აშვეთიას გადმობირების დიდი სურვილი გვაქვს. ცოდოა ეს ბიჭი ამდენი ზევითქვევით სირბილით, დაიტანჯა და თანახმაა, „დინამოში“ გააგრძელოს კარიერა. ქუთაისის „ტორპედოს“ ხელმძღვანელებთანაც ვისაუბრეთ ამ საკითხზე, მაგრამ პასუხი არ მიგვიღია. აშვეთია ჯერჯერობით „ტორპედოს“ საკუთრებაა.

**— გავიგეთ, ბათუმელი შეყილაძისა და ტოგონიძის დამატებაც გსურთ.**

— მართალია, მოლაპარაკება დაწყებულია, ამ დღეებში უფრო საფუძვლიანად ვისაუბრებთ. რამდენადაც ვიცი, ჩვენთან თამაშის წინააღმდეგნი არ არიან.

**— ალბათ, იაშვილიც დაგიბრუნდებათ.**

— გერმანიის ჩემპიონატის დასრულებისთანავე ჩამოვა იაშვილი თბილისში და „დინამოში“ მოემზადება ევროტურნირზე სათამაშოდ.

**— ზოიძეზე რას იტყვით?**

— ზოიძეს კონტრაქტი დაუმთავრდა. ამჟამად იგი „დინამოში“ აღარ ირიცხება. რამდენიმე დღის წინ ჩამოვიდა უცხოეთიდან, სადაც საკუთარი ინიციატივით იყო წასული კლუბის საძებნელად. ირაკლისთან ჯერ არ გვისაუბრია.

სულ ეს იყო, რაც „დინამოში“ მოსალოდნელ ცვლილებებს შეეხებოდა. ყოველ შემთხვევაში, დღეისთვის მეტი კონკრეტული არაფერია.

ჩემპიონატის პირველ წრეში გუნდის თამაშის შეფასება მხოლოდ ვიცე-პრეზიდენტის პრეროგატივა რომ არაა, რაღ უნდა ლაპარაკი. ჰოდა, რომან შოთაძესთან დიალოგიც რამდენიმე აქტუალური კითხვით გავნაგრძეთ. პირველად ჭიათურის ინციდენტზე ვკითხეთ, რომლის შემდეგაც, მავანთა აზრით, ფედერაციამ „დინამო“ მეტად ლმობიერად დასაჯა.

— ვთვლი, რომ ფედერაცია საკადრისად გაგვისწორდა. არაობიექტური გადაწყვეტილება სულაც არ იყო. რაც შეეხება ამ ამბის ბოლნისში მომხდარ სკანდალთან შედარებას, ამ ორ მოვლენას საერთო არაფერი აქვს. ისე, ძნელია, კაცს ორი ტაიმის განმავლობაში გაგინებდნენ და ამან შენზე არ იმოქმედოს. მით უმეტეს, როცა უდანაშაულო ხარ.

**— იზიარებთ მოსაზრებას, თითქოს „დინამოს“ მიმართ მსაჯები სიმპათიით არიან განწყობილნი?**

— არა, არ ვიზიარებ. იცით, ყოველთვის ასე ჩანს, როცა ძლიერი სუსტს ეთამაშება. წაგებული თავის გასამართლებლად ამბობს, მსაჯი არაობიექტურად იქცეოდაო. „დინამოს“ მსაჯთა სიმპათია არ სჭირდება.

**— ფედერაციასა და დეპარტამენტს შორის დაპირისპირებაში ვის პოზიციას იზიარებს თბილისის „დინამო“?**

— ჩვენ კომპრომისის მომხრე ვართ. ამის გარეშე არაფერი გამოვა. მგონი, სწორი პოზიცია გვიჭირავს. ფეხბურთი არც დეპარტამენტისაა, არც ფედერაციის. ამიტომაც მეტად ლოგიკურად მიგაჩნია ედუარდ შევარდნაძის ბრძანება. ქართული ფეხბურთის ასაღორძინებლად ურთიერთთანამშრომლობაა საჭირო.

**— „დინამოსა“ და „მრეტებს“ შორის დავა როგორ დასრულდა? ფედერაციის დადგენილი თანხის გადახდის ვადა კარგა ხანია, გავიდა.**

— ჩვენ არ გვეკუთვნის მისი გადახდა და არც გადავიხდით. ქინქლაძის ტრანსფერის კონტრაქტი პრესაში შეგნებულად გამოვაქვეყნეთ, რათა ხალხი „დინამოს“ სიმართლეში დარწმუნებულიყო. საპირისპიროს ვერავინ გვიმტკიცებს. სამართლო საბუთი არ არსებობს, თუ დაგვისაბუთებენ და დაგვიმტკიცებენ, მაშინ რა თქმა უნდა, გადავიხდით.

**— ეროვნული სტადიონის კეთილმოსაწყობად დაფინანსება რომ შეგვიწყვიტა უეფამ, ამაზე რას იტყვით?**

— სიმართლე გითხრათ, უეფას წერილმა გამაკვირვა. თუმცა, მეეჭვება მათ სტადიონის დაფინანსება შეაჩერონ, რადგან თანხის ნაწილი უკვე გამოყოფილი აქვთ. ვერ გეტყვით, რატომ გააკეთეს ასე. ცუდი არ იქნებოდა, ფიფას არჩევნების წინ ლენარტ იუჰანსონს თავი შეეკავებინა ამგვარი გადაწყვეტილების მიღებისგან. მერე სათქმელი ექნებოდა, განვითარებად ქვეყანას დავეხმარეო და ჩვენც მოგვიმადლიერებდა.

თუ ყველაფერი ანგარების გარეშე ჩაივლის და თითოეული გაარკვევს წილს, მაშინ უეფაც გააგრძელებს დაფინანსებას.

ბოლოს ისევ თავში ნათქვამს დავუბრუნდებით, ოღონდ, ბევრს აღარ გავაგრძელებთ. დეპარტამენტ-ფედერაციის დაპირისპირებამ ერთი სიკეთე ნამდვილად მოგვიტანა. ზოგი ჭირი მარგებელიაო, სწორედ ამაზეა ნათქვამი. როგორც ცნობილი გახდა, სახელმწიფომ გადაწყვიტა, ფეხბურთს მიხედოს. 7-10-წლიანი პროგრამის შემუშავება დაუწყიათ. რომან შოთაძის ნაამბობიდან გამომდინარე, მათ, ალბათ, „დინამოც“ აუბამს მხარს. ღმერთმა ინებოს, კიეველთა წლევანდელი ფურორი გაისად ქართველებს გაემეორებინოთ.

**კობა ინასარიძე**

# გაბელია თავდამსხმელს ეძებს

**შარშანდელი ჩემპიონატის შემდეგ თსუ მეტად მოღონიერდა. გუნდი, რომლის I ჯგუფში დარჩენაც მხოლოდ ბოლო ტურში, სამტრედიაში ფრედ დასრულებული შეხვედრის მერე გადაწყდა, წელს განსხვავებულ მიზანს ისახავს — სტუდენტთა თავკაცის, მირიან ცხვარაძის ოცნება ძლიერი გუნდის ჩამოყალიბებაა. თუმცა, სხვათაგან განსხვავებით, მისგან სულსწრაფი განცხადებები არ გვსმენია, აქაოდა წელსვე ევროთასებზე უნდა გავიდეთო. უჯობს, სასურველი გუნდი ნელ-ნელა ჩამოყალიბოს და მწვრთნელსაც მშვიდი გარემო შეუქმნას.**

**ოთარ გაბელია კი თავს დამშვიდების საშუალებას არ აძლევს და, როგორც ჩანს, ევროპისკენაც უჭირავს თვალი. თავმოყვარე მწვრთნელი სხვაგვარად ვერც მოიქცევა. თავიდანვე დიდ წარმატებაზე თუ არ იფიქრე, ვერაფერს მიაღწევ. გაბელიაც მომთხოვნია საკუთარი თავის მიმართ და სულაც არ აპირებს მცირედით დაკმაყოფილებას.**

— კარგად მესმის, რომ დღეს თსუ ევროთასებზე გასასვლელად მზად არ არის — აღიარებს სტუდენტთა მწვრთნელი — მაგრამ ყოველი კონკრეტული შეხვედრისას შედეგზე თუ არ ვიზრუნეთ, ხომ არაფერი გამოვა. ფეხბურთელმა თამაშის წინ აუცილებლად მოგებაზე უნდა იფიქროს, სხვაგვარად მას მებრძოლი სული არ ჩამოუყალიბდება. თანაც, რომ ვამბობთ, ევროპისთვის მზად არ ვართო, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, ყურები ჩამოვყაროთ? ჩვენ ფინანსური დაინტერესებაც გვაქვს — მოთამაშეებიც და მწვრთნელებიც ფეხბურთით ვინახავთ თავს და რაც მეტ გამარჯვებას მივაღწევთ, მით უფრო ვიხეირებთ. თავისთავად ევროთასებზე თამაშიც არ იქნებოდა ურიგო. მოთამაშეები სწორედ საერთაშორისო ასპარეზზე იზრდებიან, გამოცდილებას იძენენ. ძლიერი გუნდი სხვაგვარად ვერ ჩამოყალიბდება. თანაც მეორე წრეში თამაში და, აქედან გამომდინარე, შედეგი თუ გავაუმჯობესეთ, ევროთასებზე რატომ ვიტყვით უარს?

**— თავად არ ბრძანეთ, თსუ სასურველი დონისგან ჯერაც შორს არისო?**

— რა თქმა უნდა, დღეს „დინამოსა“ და „ბათუმს“ ვერ შევედრებით, მაგრამ სამუშაო პირობები გვაქვს. ნიჭიერ ფეხბურთელებთანაც ვმუშაობთ, რამდენიმე მოთამაშის დამატებაც თუ შევძელით, მაშინ სასურველ დონესაც მივუახლოვდებით. გუნდი ახლა აღმავლობის გზაზეა და თუ ამ მომენტით ვისარგებლებთ, თსუ უთუოდ გამოიჩენს თავს.

**— რომელ პოზიციაზე სჭირდება თსუ-ს გაძლიერება?**

— სანამ კონკრეტულ ნაკლზე ვიტყოდეთ, უნდა ვთქვა, რომ ჩვენს მოთამაშეებს ოსტატობის ამაღლება სჭირდებათ. როდესაც თამაშის ჩანაწერებს ვუყურებ, ეს თვალში მხვდება. ამას გარდა, მეტად საგრძნობია გოლეადორის არყოფნა. ფიზიკურად არც ერთ გუნდთან არ დავჩაგრულვართ, თითქმის ყველა შეხვედრაში, მათ შორის წაგებულშიც კი, უამრავ მომენტს ვქმნით, მაგრამ მათ უმეტესობას ვერ ვიყენებთ. მეგოლე აშკარად გვაკლია. მართალია, სეზონის დაწყებისას ეს არ იგრძნობოდა, რუსია, ქორიძე და შალამბერიძე თავიანთ საქმეს აკეთებდნენ, მაგრამ შემდეგ ჩავარდნაც თვალშისაცემი იყო. ამბობენ, ეს ფეხბურთელები მეტოქეებმა შეისწავლეს და ამიტომაც უჭირთ გოლების გატანაო. ეს აზრი, რა თქმა უნდა, სიმართლესთან ახლოა, მაგრამ მე მაინც დროებით ჩავარდნას მივაწერ ყველაფერს.

**— თსუ-ს შემადგენლობაში მოსახვედრად ძლიერი კონკურენციაა გაჩაღებული...**

— თუ კონკურენცია არ იქნება, გამორიცხულია გუნდის გაძლიერება. მოთამაშე, რომელმაც იცის, რომ ძირითადში ადგილს ვერავინ შეეცილება, თავისდაუნებურად მოდუნდება და მისი კლასიც დაქვეითდება. ამიტომაც გუნდში თადარიგში უნდა გყავდეს ფეხბურთელი, რომელსაც ნებისმიერ დროს ძირითადშიც დააყენებ. მიხარია, რომ ჩვენს ფარმ-კლუბში ნიჭიერი და იმედისმომცემი ფეხბურთელები იზრდებიან. მაგალითად 17 წლის სვანიძეც იკმარებს. ბოლო შეხვედრებში მას თავის გამოჩენის შანსი მივეცით და მანაც არ გვიმტყუნა. ვიმეორებ, თუ კონკურენცია არ იქნა, გუნდმა წარმატებაზე არც უნდა იოცნებოს.

**— ეს გასაგებია. მაგრამ გუნდის დაკომპლექტებისას წინა ხაზი როგორ გამოგრჩათ? აქ ხომ, ფაქტობრივად, კონკურენცია არ არის: რუსიას და ქორიძეს ადრე ნახევარმცველებად იცნობდნენ...**

— რამდენიმე, ჩვენთვის სასურველ თავდამსხმელს, ჩემპიონატის დაწყებამდე კი ვესაუბრეთ, მაგრამ რაღაც საკითხებზე ვერ შევთანხმდით. არადა, მე მჭირდებოდა მებრძოლი, მუხლმაგარი თავდამსხმელები, რომელთაც გოლის უტყუარი ალღო აქვთ. თუმცა, იმედი მაქვს, რომ მეორე წრისთვის მდგომარეობას გამოვასწორებ.

**— ვის მიწვევას აპირებთ?**

— ჯერ ამას საიდუმლოდ შევინახავ. ჩანაფიქრის საჯაროდ განცხადებამ, შესაძლოა, გეგმები აგვირიოს. მაგრამ თავდამსხმელი რომ უნდა დავიმატოთ, ამას წყალი არ გაუვა. სხვაგვარად შედეგიანობას ვერ გავზრდით. მე სხვა რამ მაფიქრებს, რამდენიმე მოთამაშეს უცხოეთისკენ უჭირავს თვალი და თუ ისინი დაგვტოვებენ, მათ შემცვლელებზეც უნდა ვიზრუნოთ.

**— ხეირიანად მოთამაშეთა დამატება კარგია, მაგრამ ეს თსუ-ს თამაშის ხარისხს თავისთავად, მექანიკურად ვერ გააუმჯობესებს. გუნდის რა ნაკლის გამოსწორებაზე ზრუნავთ საზამთრო შესვენებისას?**

— მე უპირველესად შეთამაშება მაფიქრებს. სეზონის წინ რამდენიმე ახალი მოთამაშე დავიმატეთ, მათ გუნდთან შეგუებას, შერწყმას და სათამაშო სქემასთან მორგებას დრო სჭირდებოდა. ვფიქრობ, ამის გამოა, თსუ ბოლომდე რომ ვერ ავლენს თავის შესაძლებლობებს. პირველი წრე მეოთხე ადგილზე კი დავასრულეთ, მაგრამ მეტი შეგვეძლო.

**— კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

— რამდენიმე შეხვედრაში ჩვენივე უგერგილობის გამო ვერ გავიმარჯვეთ. „ტორპედოსთან“ ბოლო წუთზე უნაღდესი მომენტი ვერ გამოვიყენეთ, „ოდიშთანაც“ არ უნდა წაგვეგო, ბოლო 25 წუთში ძლიერად ვითამაშეთ, „მერანთან“ შეხვედრაზეც იგივეს ვიტყვი. ეს კი იმიტომ მოხდა, რომ თავდამსხმელები მომენტებს ვერ იყენებდნენ.

**— ამ კითხვას გვერდს ვერ ავუვლით: თქვენ ხშირად გამოთქვამთ მსაჯების მიმართ უკმაყოფილებას და არასასურველ შედეგებსაც, ხშირად, სწორედ მათ აბრალებთ...**

— ემოციური ადამიანი რომ ვარ, ეს ჯერ კიდევ ჩემი ფეხბურთელობისას იცოდა ყველამ. ახლაც მიჭირს მშვიდად თამაშის ყურება, მით უფრო, რომ შედეგზე დამოკიდებულია არა მარტო ჩემი რეპუტაცია, არამედ ჩემი და ფეხბურთელთა ოჯახების კეთილდღეობაც. ვიღაც თავისი შეცდომით წყალში რომ ჩამიყრის შრომას, გამიხარდება? მართალია ასეთი შემთხვევა თითქმის არ ყოფილა. ჩათვალეთ, რომ წყენას მოედანზევე ვტოვებ და მსაჯებზე აუგის თქმას არც ვაპირებ. დამიჯერეთ, თუკი ვინმე შეცდომას უშვებს, ეს ისევ გუნდების ხელმძღვანელთა და მწვრთნელთა ბრალია. მათ რომ მსაჯებთან საქმე არ დაიჭირონ, ეს შეცდომებიც აღარ იქნებოდა. თუმცა, მიმაჩნია, რომ ბოლო დროს ამ მხრივ უკეთესობაა. მსაჯი ახლა გუნდს აშკარად ველარ დაჩაგრავს.

**მერაბ მამულაშვილი**



მურმან ლობჟანიძისა ფოტო

სტუდენტთა დამრიგებლები: ნებიერიძე, ხუციშვილი, გაბელია

# წინ გიო, უკან მურიკო?



საქართველო — იტალია 0:0. ქეცბაია — ლომბარდოს დაპირისპირება კრ. პალას — ნიუკასლის შეხვედრაში არ განმეორდა

## თემური

თემური კარგადაა. არც მოველოდი, ისე კარგად. მაგის გუნდი კი...ნაღდად აღარ მახსოვს, გაიდარისეულ თემურს რაზმში რამდენი კაცი ჰყავდა, მაგრამ დღევანდელ „ნიუკასლში", ვგონებ, უფრო ნაკლები ფეხბურთელი დარჩა, ვიდრე იმ წიგნში — კეთილი პიონერი. „თუ ასე გაგრძელდა, მალე მოედანზე გასვლა მეც მომიწევს", — ხუმრობს კენ დალგლიში და არცთუ უსაფუძვლოდ — გასულ შაბათს, „კრისტალ პალასთან" მატჩისთვის, ჯორდების გუნდში ოდენ 13 ჯანმრთელი კაციღა დარჩენილიყო. „კენი, ფორმა მოიმზადე, დღეს შენც უნდა ითამაშო" — მოუწოდებდა „დეილი ექსპრესი" ჩრდილოელთა თავკაცს, მაგრამ 70-80-იანი წლების ვარსკვლავის „სელჰერსტ პარკის" მოედანზე გასვლა საჭირო აღარ გახდა. იქ თემური ბატონობდა.

...სულ პრეს-ლოჟაში ყოფნა, უფასო სადილისა და ლუდის მიუხედავად, მაინც ერთობ მოსაბეზრებელი საქმეა. მით უმეტეს, როცა არც „კრისტალ პალასის" ტექნიკურ-ტაქტიკური მაჩვენებლები გაინტერესებს მაინცდამაინც. ჰოდა, მე და დათო მჭედლიშვილმა საათნახევრით გაჯორდება გადავწყვიტეთ. ეს „გარდაქმნა" ნამეტანი ძვირი რომ არ დაგვჯდომოდა (თითო ბილეთი დაახლოებით 45 დოლარამდე ღირდა), ჯორჯიელ ჯორდის დავურეკეთ და მანაც სტადიონის ადმინისტრატორს ჩვენთვის იმ ტრიბუნის სამი ბილეთი დაუტოვა, „ნიუკასლის" გულშემატკივრებისთვის რომ იყო გამოყოფილი. გაჯორდება ტრიბუნამდეც მოვასწარით. „ნიუკასლის" შარფებით დამშვენებულები „ჩვენიანებს" ჯერ კიდევ ვიქტორიის სადგურზე შევერიეთ, საიდანაც „სელჰერსტ პარკამდე" რვა გაჩერება (მატარებლით) და კიდევ 20 წუთი ფეხით სავალია. ეს ჩვენთვის იყო დიდი გზა, თორემ ნიუკასლელ ფანებს რა შეაშინებთ: ნახევარზე მეტი „კრისტალ პალასისა" და „უიმბლდონის" საზიარო სტადიონს პირდაპირ ბარსელონიდან ესტუმრა. რახან სიტყვამ ჩემპიონთა ლიგის ის მატჩი მოიტანა, ბარემ ვიტყვი, რომ მსგავსი უცნაური თამაში კარგა ხანია, არ მინახავს — მარტო ის, რომ მსაჯმა სულ 11-ჯერ (!) დააჯარიმა ორივე გუნდის ფეხბურთელები, თამაშის მნიშვნელობაზეც ნათლად მეტყველებს და ამ ტურნირისადმი გუნდების ამჟამინდელ დამოკიდებულებაზეც. ლონდონის გარეუბანში სულ სხვა „ნიუკასლი" წარმოჩნდა და არა მხოლოდ იმიტომ, რომ აქ მას „ბარსაზე" გაცილებით პროზაული ოპოზიციის დაძლევა ევალებოდა.

...შესასვლელში, როგორც ყველა, ჩვენც საგულდაგულოდ გაგვჩხრიკეს. ამ პროცედურას საკმაო დრო დასჭირდა და ჩვენთვის განკუთვნილ ადგილებზე მაშინღა მოვხვდით, თამაშის დაწყებამდე ხუთიოდ წუთი რომ რჩებოდა. ქეცბაიას ნახვა კი მანამდე მოვასწარით. არა, ნამდვილ ქეცბაიას იმ დროს, ცხადია, სხვა საზრუნავი ჰქონდა — იმაზე ვამბობ, წვიმასა და ოდენ 7 გრადუსში ჩვენებურის გვარით დამშვენებულ 14 ნომრიან მაისურებში რომ იყვნენ გამოწყობილნი. „ქეცბაიები" დაახლოებით იმდენივე იყვნენ, რამდენიც „გილესპები" და „ასპრილიები". დანარჩენები ამათ აშკარად ჩამორჩებოდნენ, მაგრამ არის ჯორდებში ერთი კაცი, რომლის გვარიც ნიუკასლელთა მაისურებზე ყველაზე ხშირად შეგხვდებათ ამოქარგული. არსებობს ამ კაცის გვარის მეორე ვარიანტიც და ის გულშემატკივართა ზურგზე ასე იკითხება — GOD! ცხადია, მიხვდით — შირერი მარტამდე ვერ ითამაშებს, მაგრამ, ლენინისა არ იყოს, „ის მაინც ჩვენს გულებშია".

ეს მართლაც თემურის დღე იყო. თავი გავანებოთ იმას, რომ მან სწორედ გასულ შაბათს გაიტანა პირველი პრემიერლიგური გოლი: ქართველი 75 წუთი იმას აკეთებდა, რასაც მოისურვებდა. ორი მცველის ჩამოშორება და სახიფათო პასი მისთვის იმ დღეს ჩვეულებრივი საქმე გახდა. „ქეცს, ქეცს მიეცი" — ქუხდა მთელი ჩვენი ტრიბუნა, როცა „ნიუკასლი" მოედნის ცენტრს გადადიოდა. გოლი ერთია და საგოლე პასი მეორე: მართალია, ტომასონმა ვერც ზუსტად და ვერც ძლიერად დაარტყა, მაგრამ მასპინძელთა მეკარეს ესეც ეყო. საინტერესო ამ გოლის აღნიშვნა იყო — ნახევარი გუნდი დანიელს ჩაეხუტა, ნახევარი კი — ქართველს. მერე კი „პალასმა" ერთი ბურთი გაქვითა, გაათანაბრებითაც შეუტია, მაგრამ უსაშველოდ დაღლილ „ნიუკასლს" მაინც ვერაფერი დააკლო. დაღალა ყველა (ცხადია, ერიკ ბეტის გარდა), მათ შორის თემურიც, რომელმაც ერთ-ერთ შეტაკებაში ხელიც იტკინა, მაგრამ იმ დღეს ჯორდებს ბრესტის დამცველებივით უნდა გაეძლოთ — არც შემცვლელი იყო ვინმე და არც დამხმარე. გაძლეს კიდეც. „ესეც ასე, ესეც ასე, როგორ ასწორებს, რომ „ნიუკასლმა" გასვლა მოიგო" — მღერიან (ცხადია, ინგლისურად) ჯორდები.

ისე, ესენი ვინ ყოფილან! საათნახევარი არ დამსხდარან! არც ერთი ნიუკასლელი კუთვნილ სკამს არ გაკარებია! ქალიან-კაციან-მოხუციან-ბავშვიანად! მხოლოდ შესვენებაზე ჩამოსხდნენ 15 წუთით! პირველად ცხოვრებაში მთელი თამაში ფეხზე გავატარე, მაგრამ გაჯორდება მაინც არ მინანია: ეს მართლაც სხვაა, სხვა განცდა — ასე მეგონა, ერთად მოვიგეთ ეს თამაში: ჩვენ და გუნდმა.

ორ დღეში „ნიუკასლი" ბოლტონს ეწვია. მესამე თამაში ექვს დღეში! ვიცოდი, რომ თემურის გუნდი წააგებდა, ვგრძნობდი, რომ ქართველი იქ ველარ გაიბრწყინებდა. ასეც მოხდა. ყველაფერს საზღვარი აქვს. მათ შორის, ნიუკასლელთა გამძლეობასაც.

მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ბოლტონში ქეცბაია უკვე ახალ სტატუსში ჩავიდა. „კროაციასთან" გატანილი ისტორიული გოლის შემდეგ ის ინგლისმა კი აღიარა, მაგრამ ახლა თემური უკვე ვარკვლავია, არ გამოსულა კვირას და ორშაბათს გაზეთი, ქეცბაიას ხოტბა რომ დაეზარებინა. „ქეცბაია ნიუკასლს ტაძრის გზას უჩვენებს" — წერდა „სანდი თაიმზი", რომელსაც, სხვათა შორის, არც ის გამორჩა, რომ „ქართველმა იმდენი ირბინა, ლამის გული ამოუვარდა, თუმცა, ამით მთელი გუნდი აიყოლია". „ქეცბაიამ „პალასს" შავი დღე აყარა" — ეს საკვირაო „სანის" სათაურია. ამ გაზეთმა, ისევე როგორც ყველა დანარჩენმა (!), ჩვენებურს ათბალიანი სისტემით ცხრიანი დაუწერია და ტურის ნაკრებშიც მიუჩინა ადგილი ძოლას, ჰართსონის, ჟინოლას და სხვათა გვერდით. თემურის თამაშმა თვით ამ მატჩის შედეგით ყველაზე განაწყენებული კაცი, „კრისტალ პალასის" მწვრთნელი სტივ კოპელიც კი აღაფრთოვანა. როგორც „დეილი მეილი" წერდა, კოპელი განცვიფრებული დარჩა ხოტორა ქართველის შესაძლებლობებით: „არასდროს მინახავს, კაცმა, რომელმაც მთელი კარიერა ნახევარდაცვაში გაატარა, თავდასხმაში ასე ითამაშოს. წარმოგიდგენიათ, ბურთი მთელი მატჩის მანძილზე არ დაუკარგავს!" — უთქვამს კოპელს პრესკონფერენციაზე. არა, „პალასის" მწვრთნელი ოდნავ შეცდა — თემურმა ორჯერ დაკარგა ბურთი, მაგრამ...„მას არც ასპრილიას აკრობატული ჩვევები აქვს და არც შირერის გმირული გამოხედვა, მაგრამ ორი აზრი არ არსებობს, რომ საშობაოდ სანტა კლაუსი პატარა ჯორდებს მისი გვარით დამშვენებულ მაისურებს აჩუქებს" — წინასწარმეტყველებს „დეილი მეილი".

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ სანტა კლაუსს ის ურჩევნია, „ნიუკასლს" ტრავმათა ეპიდემია ააცილოს. აბა, რომელი თავდამსხმელი ქეცბაიაა და რომელი ნახევარმცველი ტომასონი. კი, ბატონო, ნიჭი თავისას იზამს და ორ-სამ თამაშს, თუ გაჭირდა, თემური ამბობს, ქვე-ლადაც არ შეირცხვენს თავს, მაგრამ ყველაფერს თავისი ადგილი აქვს. „კრისტალ პალასთან" თამაშშიც ქართველი მაშინ უფრო სარგებლიანი იყო, როცა მოედნის ცენტრში ჩამოდიოდა და იქიდან იწყებდა შეტევას. ამას თავად თემურიც აღიარებს: აბა რა, ჩემს ადგილზე თამაში მირჩევნია, მაგრამ წინ აღარავინ დაგვრჩა და სხვა გზა არ არის. არადა, ინგლისში თავდამსხმელად თამაშობდე და თავით გოლის გატანა არ გეხერხებოდეს, წარმოუდგენელია. თან ეს თამაშებიც ისე მიეწყო ერთმანეთს, ლამის ქანცი გაგვძვრეს. იმედია, მალე ისევ ნახევარდაცვაში ვითამაშებ. ბოლობოლო, რომელი შირერი მე ვარ, ჩემი გოლების იმედზე იყოს მთელი „ნიუკასლი".

## გიო

ალბათ, გიოს ამბებიც გაინტერესებთ. გიოსაც არა უშავს. უფრო სწორედ, ისეა, როგორც ბოლო წელიწადნახევარი: სამი თამაშიდან ერთს ბრწყინვალედ ატარებს და მეორე დღეს „სიტის" თამაშის რეცენზიებს სიამოვნებით წაგაკითხებს, ერთს ჩვეულებრივად, თუმცა, იმ თამაშშიც ყველასგან გამორჩეულია და ერთსაც, რომ იტყვიან, ჩააგდებს. ასე, „ჰადერსფილდთან" შინ წაგებულ შეხვედრაში ბურთი სულ ვგონებვთ, ოთხჯერ თუ ხუთჯერ მიუვიდა, შემდეგი მატჩის მერე კი „თაიმზი" წერდა: „ახლა ბევრს ლაპარაკობენ, რომ ქინქლაძის დონის ფეხბურთელის ყოლა „მანჩესტერ სიტისთვის" დიდი ფუფუნებაა, მაგრამ მინდა ვიკითხო: ამ ფუფუნების გარეშე საერთოდ რას გააკეთებს ეს გუნდი? ქინქლაძემ თავისი „ფერარი" ნამსხვრევებად კი აქცია, მაგრამ თავად „ფერარივითაა" დანარჩენ მოთამაშეთა შორის".

ჰოდა, ბიჭო გიო, როდემდე? როდემდე უნდა დაქროდეს „ფერარი" პირველ დივიზიონში?

მოვიდა, ბატონო ახალი წელიც და „სიტის" მეორე დივიზიონში გადასვლა უფრო რეალურია, ვიდრე პრემიერლიგაში. ვითომ, შელია უშველის მაგათ? „სარბიელის" ბუღალტერი სანდრო ორი წელია, იძახის, წაიყვანოს ამ ფრენსის ლიმ შელია — წინ გიო, უკან მურიკო და სოფელიც აშენდებაო. შეისმინა ლიმ სანდროს მოთხოვნა, მაგრამ...

შესაძლოა, დღევანდელი მატჩი მურთაზისთვის „სიტიში" პირველი, გიოსთვის კი...ბოლო გამოდგეს. ყოველ შემთხვევაში, ასე ვარაუდობს გიო, რომელმაც ოთხშაბათს მითხრა: „ყველა გავაფრთხილე — ლიც, კლარკიც და ჩემი აგენტიც. მე „სიტიში" აღარ ვითამაშებ! მართლაც როდემდე უნდა ვიყო პირველ დივიზიონში? სეზონის წინ შემპირდნენ, თუ საახალწლოდ იმედი გადაგვეწურა, გაგიშვებთო, ჰოდა, დანაპირების შესრულება მოვითხოვე".

**ზურაბ მექვევლია ლონდონიდან**

*ავტორი მადლობას მოახსენებს ავიაკომპანია „ვარ ზენას"*

# შოთა რომ განელი ყოფილიყო

ჩვენეულ სიმბოლურ ნაკრებს ნოემბერში ისევ დაუბრუნდა ქართველი — შოთა ამ თვეში შეუდარებელი იყო. ტრავმირებულს თუ ჯანმრთელს ერთადერთი უმნიშვნელო მატჩის გარდა ძირითადის ადგილი არავისთვის დაუთმია და ყველა პრინციპულ შეხვედრაში საუკეთესო იყო. ეს ჩვენი ნაკრები სანახევროდ სალაღობო კია, მაგრამ წევრები, ცხადია, მაინც დამსახურებისამებრ ირჩევიან. ქართველი კი არა, შოთა განელიც რომ ყოფილიყო, „სარბიელში" მოხვედრას ვერ ასცდებოდა. ამიტომაც იყო, ნოემბრის ნაკრებს სამი თავდამსხმელი რომ ჰყავს.

### მეკარე

### ედვინ ვან დერ სარი

(„აიაქსი" და ჰოლანდია)

ამ თვეში ორი მეკარის დიდებული თამაში ვიხილეთ — ორივე ჰოლანდიური კლუბიდანაა. „ფეიენოორდის" დუდეკმ „იუვენტუსთან" გაგვაოცა — მხოლოდ ერთხელ, „აიაქსის" ვან დერ სარმა კი „უდინეზესთან" და „ბოხუმთან".

იქნებ გასაკვირიც იყოს, „აიაქსმა" ხომ ვერც ერთ თამაშში კარი მშრალად ვერ შეინახა. მეტიც, ორ-ორი გოლი გაუშვა. და მაინც, ეს ორი ორ-სამჯერ მეტი რომ არ იყო, ერთთავად ვან დერ სარის დამსახურებაა.

### მცველები

### ვოლფგანგ ფაიერზინგერი

(„დორტმუნდი" და „ავსტრია")

ძირითად მოთამაშეთა ლამის ქრონიკულმა ტრავმებმა ჩემპიონთა თასის მფლობელს არაერთი ახალი სახელი აღმოაჩენინა. ერთ-ერთი ავსტრიელი ფაიერზინგერიცაა, რომელიც მათიას ზამერის ფუნქციებს ჩინებულად ასრულებს. „დორტმუნდი" ნოემბრის ბუნდესლიგაში ზევით-ზევით რომ მიიწევს, ავსტრიელის საიმედო თამაშის წყალობითაა.

### გარი ნევილი

(„მანჩესტერი" და ინგლისი)

ბოლო თვეში „მანჩესტერ იუნაიტედის" თამაშს ძნელია, სახელი მოუძებნო. ყველა სანაქებო სიტყვა მასზე ალალია. კლუბს მშრალი სერიები ჰქონდა. ამ საქმეს დაცვაში გარი ნევილი უზრუნველყოფს. ჰოდა, უკან რომ პრობლემა არა აქვს, წინაც მიზანსწრაფულად მიიწევს და სახიფათო გარცევა-ჩაწოდებებით თანაგუნდელებს ახეირებს.

### თომას ჰელმერი

(„ბაიერნი" და გერმანია)

გერმანიის ნაკრებისა და უპირველესი კლუბის მცველი თავისი გუნდის ბურჯია. „ბაიერნის" ევროპულ წინსვლაში ხომ გარეულია და „ლევერკუზენთან" ერთ მარცხშიც ვერავინ დასდებს ბრალს.

### ფრენკ დე ბური

(„აიაქსი" და ჰოლანდია)

ფრენკ დე ბური ტყუპისცალი კია, მაგრამ ძნელია, მინდორზე ძმაში აგერიოთ. მან ნოემბერში აშკარად დაჩაგრა რონალდი. დაბეჩავებულ დენი ბლინდს დე ბური ერთობ ეხმარებოდა, მწვავე, გრძელი პასებით კი წინა ხაზზეც საკმაოდ ამარაგებდა. ბოლოს კი, „ბოხუმთან" მეოთხე გოლიც გაიტანა.

### ნახევარმცველები

### ჯანფრანკო ძოლა

(„ჩელსი" და იტალია)

„ჩელსი პრემიერლიგაში მეორეა, თასების თასზეც საგაზაფხულო რვა გუნდში დაიბევა ადგილი. ვინაა ლონდონური კლუბის ყველაზე თვალსაჩინო მოთამაშე? რა თქმა უნდა, ჩია სარდინიელი. განა შეიძლება, ძოლა, რომელ გუნდშიც არ უნდა თამაშობდეს, არ გამოირჩეოდეს? წარმოუდგენელია. ნოემბერში ჯანფრანკომ პირველი ინგლისური ჰეთ-თრიქიც გაუტანა „დერბი ქაუნთის".

### ხულიო კრუზი

(„ფეიენოორდი" და არგენტინა)

წელს „იუვენტუსს" პრობლემა გაუჩნდა — დაუმარცხებელი აღარაა. ამაში „მანჩესტერ იუნაიტედი" და ნოემბერში კი „ფეიენოორდია" დამნაშავე. „ფეიენოორდი" იქნებ ბევრიც იყოს, რადგან „იუვეს" სამი კაცი ეყო. დუდეკზე ზემოთაც ვთქვით, მეორე უდავოდ ბენჰაკერია, საშინელ დღეში ჩავარდნილი გუნდი რომ ჩაიბარა და ერთ კვირაში „იუვენტუსს" მოუგო, მთავარი მაინც კრუზია.

### დიეგო სიმეონე

(„ინტერი" და არგენტინა)

ჯიეჯი სიმონი ახლა იქნებ კიდეც ნანობდეს. „ინტერი" რაცაა, ბევრად მეტი იქნებოდა, მის არგენტინელ ლეგიონერს სამარქაფოთა სკამი კარგა ხანს რომ არ ეხეხა. სიმეონემ თქვა — მათამაშეთ და არ წააგებთო. ათამაშეს და ერთადერთხელ წააგეს „სტრასბურთან", ისიც მაშინ, შეცვლაზე გამოსულს ნაღდი გოლი რომ არ ჩაუთვალეს. დიეგომ ერთხელ მილანურ დერბიში იმარჯვა, ორჯერაც „ვიჩენცასთან", მათგან ერთი 30 მეტრიდან უბრწყინვალესი დარტყმით გაიტანა.



დიეგო სიმეონე

### თავდამსხმელები

### ტედი შერინგემი

(„მანჩესტერი" და ინგლისი)

წელს „მანჩესტერ იუნაიტედი" ჩინებული რომაა, უდავოდ ტერითაა. ამ კაცმა რომც ვერ გაიტანოს, მაინც ყოველ მატჩში საუკეთესოა. ასე იყო „ბლექბერნთან" მოგებულ 4:0-ზეც: შერინგემი ლამის ყველა შედეგიანი თუ უშედეგო იერიშის ფუძემდებელი იყო, ოღონდ გოლი არ გაუტანია. მაგრამ რამდენი გაიტანა? ორ-ორი „შეფილდთან" თუ „არსენალთან" და ერთიც, ჩინებული, „კოშიცესთან".

### ულფ კირსტენი

(„ლევერკუზენი" და გერმანია)

„ბაიერმა" წინა თვე ულის გარეშე ითამაშა, მიტომაც გაუძნელდა, მაგრამ დაიბრუნა თუ არა ლიდერი, კვლავაც მრისხანედ იქცა. წითელმა ლომებმა კირსტენის ყოჩობით თვით „ბაიერნი" დატორეს — თანაც როგორ — 0:2-ზე ათმა მასპინძელმა 4:2 მოახერხა. ოთხიდან სამი კირსტენმა თუ გაიტანა, აბა რა გასაკვირია?

### შოთა არველაძე

(„აიაქსი" და საქართველო)

ისევ ის თუ გაგვახარებს. ისევ ის თუ გვასახელებს. გაახარებს, ასახელებს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ „აიაქსის" ფანებსაც. ბოლო წუთებზე „უდინეზეს" რომ მიეჭრა და დააშამათა, ვინ იყო იგი? შოთა! „ფეიენოორდს" თანამებრძოლებთან ერთად ოთხჯერ რომ მიუხდა და ერთხელ თავადაც იხეირა, ვინ იყო იგი? შოთა! „ბოხუმთან" წაგებული ბრძოლის ბედი რომ შემოატრიალა, ვინ იყო იგი? შოთა! ზემოთაც ვთქვით, შოთა რომც არ გვცნობოდა, ჩვენს დიდ სიმპატიას ისედაც დაიმსახურებდა.

## ფეხბურთის რუკასთან



**სლოვაკეთის** ჩემპიონის „კოშიცეს“ ორი ფეხბურთელი ოთხშაბათს ავტოკატასტროფაში მოყვა, რომელმაც გუნდის 21 წლის გამთამაშებელი მილან ცვირკი იმსხვერპლა. თავდამსხმელმა, 23 წლის ალბერტ რუსნაკმა კი ორივე ფეხი მოიტეხა. მანქანა ცვირკს ძალიან სწრაფად მიჰყავდა, მოსახვევში საჭე ვერ დაიმორჩილა და...

**იტალიის მსაჯებმა ესპანელ კოლეგებს მიბაძეს და გაფიცვა მოიწადინეს, მაგრამ პირინეელი არბიტრებისგან განსხვავებით აპენინელები ტურის ჩაშლას სრულიადაც არ აპირებენ, უბრალოდ, მატჩებს დანიშნულზე 15 წუთით გვიან დაიწყებენ. იტალიელი მსაჯების გაფიცვის მიზეზიც იგივეა, რაც ესპანელების — ფეხბურთელების, მწვრთნელებისა და გუნდის თავკაცებისგან გაუთავებელი კრიტიკა. იტალიის მსაჯთა ასოციაციის წარმომადგენლის განცხადებით, გუნდებს მსაჯების მიმართ ერთობ მეტი მოუვიდათ და ასე გაგრძელება აღარ შეიძლება.**

**ინგლისის** ფეხბურთის ასოციაციის მოთხოვნით უეფამ შესაძლოა ქვეყნის ლიგის თასის გამარჯვებული უეფას თასზე აღარ დაუშვას. პრემიერლიგის გუნდებს მობეზრდათ ორ თასზე თამაში და ამიტომაცაა რამდენიმე დიდმა გუნდმა, მაგალითად „არსენალმა“ და „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ლიგის თასზე სათადარიგო შემადგენლობებით რომ ითამაშეს.

**გერმანიის დორტმუნდის „ბორუსიას“ ყოფილი მწვრთნელი, ოტმარ ჰიცფელდი, რომელიც ახლა გუნდში ტექნიკურ დირექტორად მუშაობს, შესაძლოა, „ბარსელონაში“ გადავიდეს ბობი რობსონის ნაცვლად. მწვრთნელობიდან გადადგომის შემდეგ რობსონი კატალონიურ გუნდში მუშაობდა საერთაშორისო ურთიერთობების დირექტორად, მაგრამ ორიოდ კვირის წინ მისმა წიგნმა, რომელიც ბარსელონაში გატარებულ წელიწადს შეეხება, მისი კლუბში დარჩენა საეჭვო გახადა.**

**ირლანდიელი** დენის ირვინი, 4 ნოემბერს „ფეიენოორდთან“ მიღებული მძიმე ტრავმის შემდეგ ფეხბურთს სავარაუდოდ სამ კვირაში დაუბრუნდება. ამის შესახებ „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა ხუთშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

**შვედმა თავდამსხმელმა ლარს გუნარ კარლსტრენდმა განაცხადა, შოტლანდიურ „სენტ ჯონსტონში“ ჩემი როტვეილერის გარეშე ვერ გადავალო. ფეხბურთელს თურმე ათი თვის ძაღლი გუნდის ყველა ვარჯიშზე დაჰყავს, მაგრამ როცა საქმე „ვასტრადან“ შოტლანდიაში გადასვლაზე მიდგა, პრობლემაც წამოიჭრა.**

**გერმანიის** ფეხბურთის ფედერაციამ მიუნხენის „ბაიერნის“ მენეჯერ ული ჰიონესს 4 230 დოლარის გადახდა დააკისრა მსაჯის უსაფუძვლო კრიტიკის გამო. „ბაიერნი“ — „მიუნხენ 1860“-ის შეხვედრისას, რომელიც 2:2 დასრულდა, ჰელმუტ კრუგის მოქმედებას ჰიონესი ერთობ გაუნაწყენებია და პრესაში მსაჯი ლაზათიანად გამოულანძღავს, რის გამოც ახლა ფულის გადახდა მოუწევს.

**საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ბურთების დამამზადებელმა „ადიდასმა“ განაცხადა, ტურნირზე სათამაშო ბურთის — „ტრიკოლორის“ 3 მილიონი ასლის გაყიდვას ვგეგმავთო. „ტრიკოლორით“ გაისად მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებენ. „ადიდასის“ ახალი ბურთი უფრო გაუმჯობესებულია, რასაც ცნობილი ფეხბურთელებიც ადასტურებენ. ალესანდრო დელ პიეროს და დევიდ ბექემის თქმით, ბურთი უფრო სწრაფად მოძრაობს, შედარებით მსუბუქია და, რაც მთავარია, ჰაერში ყოფნის მომენტში აქეთ-იქით არ მიფრინავს.**

**იტალიის** სერია C-ს გუნდ „სარონოს“ მოთამაშე რობერტო სავის, ჩემპიონატის მორიგ ტურში „პისტოიზისთან“ თამაშისას ინფარქტი დაემართა და სტადიონიდან პირდაპირ საავადმყოფოში გააქანეს. 35 წლის ფეხბურთელის სიცოცხლე ექიმებმა გადაარჩინეს.

**ინგლისის პირველი დივიზიონის კლუბ „ბირმინგემის“ ახალდანიშნულმა მწვრთნელმა ტრევორ ფრენსისმა განაცხადა, კარგი იქნება, თუ „გლაზგო რეინჯერსის“ თავდამსხმელი ალი მაკკოისტი ჩვენთან ითამაშებსო. ამ საქმის გასაჩარხად ფრენსისი სამობაოდ 35 წლის ფეხბურთელთან შეხვედრას აპირებს.**

**ინგლისის** „ლივერპულის“ მწვრთნელმა როი ევანსმა თქვა, შესაძლოა, ნახევარმცველი მაიკლ ტომასი „ქოვენტრის“ მივყიდოთო. ტომასს ძლიერ გაუჭირდა გუნდის ძირითადში ადგილის დამკვიდრება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ოივინდ ლეონარდსენი გამოჯანმრთელდა და ვუნდერკინდი ჯეიმი კარაგერი „ლივერპულში“ ძლიერად ათამაშდა.

**ესპანეთის თასის მესამე წრის თამაშები: ოსასუნა — რასინგი 2:0, ლორკა — მერიდა 2:0, ესტრემადურა — სალამანკა 1:0, კომპოსტელა — ალვესი 0:1, სარაგოსა — ნუმანსია... ნოველდა 2:2, ფიგუერესი — ვალენსია 1:1.**

**განელი** შამო კუაი, 1992 წლის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი, ოთხშაბათს უცნაურად დაიღუპა. იგი გასულ სეზონში შვედეთში თამაშობდა, მაგრამ ახალი ჩემპიონატი სამშობლოში დაიწყო. ოთხშაბათს ერთ-ერთ მეტოქესთან მატჩში, საშინელი ძალით დარტყმული სახეში მოხვდა, დარტყმა იმდენად ძლიერი გამოდგა, რომ კუაის ცხვირი ჩაემტვრა და, რაც ყველაზე საშინელია, კისერი მოსტყდა.

**თურქეთის „ბეშიქთაშის“ მწვრთნელი ჯონ ტოშაკი ქვეყნის თასზე „გენჩლერბირლიგისთან“ ფრედ 3:3 დასრულებული მატჩის შემდეგ კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა. ამჟამად ჩემპიონატში მეორე ადგილზე მყოფი „ბეშიქთაში“ 2:3 აგებდა, მაგრამ მარცხს გადაურჩა, რის გამოც უელსელ მწვრთნელს კლუბის ფეხბურთელებმა, ცალკე კი ჟურნალისტებმა მითითებებით ყურები გამოუჭედეს. თავად ტოშაკმა განაცხადა, თუ ასე გაგრძელდა, ავდგები და სულაც გუნდიდან წავალო.**

**პორტუგალიის** „ბენფიკამ“ ბრაზილიელი ნახევარმცველი ალეხანდრო ამარალი დაიბრუნა. „პალმეირასის“ მოთამაშემ „ბენფიკასთან“ ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ლისაბონურ გუნდში იგი ადრეც თამაშობდა.

**გერმანიის თასის მესამე წრის მატჩები: მეპენი — ურდინგენი 0:2, ლევერკუზენი — არმინია 1:1 (პენ 4:3), ალემანია — ვალდოფი 1:1 (პენ 4:5)**

**ესპანეთის** ყველაზე ტიტულოვანმა გუნდმა, მადრიდის „რეალმა“ მორიგი ლეგიონერი შეიძინა. გუნდის პრეზიდენტის ლორენსო სანსის განცხადებით, კლუბს მორიგი ბრაზილიელი სავიო ბარტონილი შეემატა „ფლამენგოდან“. პრეზიდენტმა გარიგების ფინანსურ მხარეზე საუბრისგან თავი შეიკავა და მხოლოდ ის განაცხადა, რომ ჯერჯერობით ბარტონილსა და „რეალს“ შორის ყველაფერი შეთანხმებული არაა. ამ დღეებში სავიო ბარტონილი მადრიდში ჩავა და კლუბში სამედიცინო შემოწმებას გაივლის, რომლის შემდეგაც გაუფორმდება კიდეც კონტრაქტი. ესპანური პრესის ცნობით, „რეალს“ ბრაზილიელის შეძენა 3 მილიონ 500 ათასი დოლარი დაუჯდა.

**საფრანგეთში, მარსელში, მსოფლიოს ჩემპიონატის კენჭისყრის წინ შეკრებილმა ფიფას თავკაცებმა საქმის წინ წაგდება სცადეს და 2002 და 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატების ტელეტრანსლაციებზე ისაუბრეს. ფიფას გენერალურმა მდივანმა იოზეფ ბლატერმა განაცხადა, ჩვენი სურვილია, ტურნირის მატჩები რაც შეიძლება მეტმა გულშემატკივარმა ნახოს, ამიტომ საქმეს ისე მოვაწყობთ, ხალხს იმ შეხვედრის ნახვის საშუალება ჰქონდეს, რომელიც ყველაზე მეტად აინტერესებსო. ფიფას ეს პროექტი თავდაპირველად 907 მილიონ დოლარად შეუფასებია, შემდგომ კი ერთ მილიარდამდეც გაუზრდია.**

საფრანგეთის ჩემპიონატის მე-18 ტური: ოსერი — ნანტი 3:1 (გივარში 43, 65; დიომედი 76; კარიერე 90).

# საავადმყოფოდან ტელევიზიაში

ზუსტად რვა დღის წინ დიდებულ ჰოლანდიელ ფეხბურთელს, იოჰან კრუიფს გულმა შეუტია, რის გამოც თავის დროზე ევროპის სამგზის საუკეთესოდ აღიარებული მოთამაშე საავადმყოფოში მოხვდა. მომხდარიდან ორი საათის მანძილზე კრუიფის მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ ექიმები მისი სიცოცხლის გადარჩენას რეანიმაციულ განყოფილებაში ცდილობდნენ. კრუიფი გადარჩა, მაგრამ მოულოდნელობების თავიდან ასაცილებლად ექიმებმა მისი საავადმყოფოდან გამოწერა არ იჩქარეს და კიდევ ერთი კვირით დატოვეს სამკურნალოდ.

შემოწმების მთელი კურსის გავლის შემდეგ 50 წლის კრუიფი გუშინ საავადმყოფოდან გამოწერეს და მანაც უმალვე ტელევიზიას მიაშურა, სადაც ჯერ სიგარეტის წინააღმდეგ „გაილაშქრა“, მერე კი „აიაქსის“ ბოლო მატჩს გაუწია კომენტარი.

## ჰოლანდია

### გამოტოვებული მატჩები

**მაასტრიხტი 0:3 აიაქსი**

0:1 ლაუდრუპი (13), 0:2 ფ. დე ბური (47), 0:3 ბაბანგიდა (62)

*აიაქსი: ვან დერ სარი, მელხიოტი, ბლინდი (ზიერი 89), ოლისე, ფ. დე ბური, რ. დე ბური, დანი (ვორი 22), ვიჩზე, ბაბანგიდა (მაკართი 74), არველაძე, ლაუდრუპი*

**ბრედა 1:0 როდა**

1:0 მილიჩიჩი (83)

**ფორტუნა 3:0 ვოლენდამი**

1:0, 2:0, 3:0 ჰემინგი (24, 38, 71)

**ვალვაიკი 1:3 სპარტა**

0:1 იელიენსი (6), 1:1 ვან არუმი (9), 1:2 მურადი (29), 1:3 ვან დერ ლაანი (31)

**ნაიმეგენი 0:3 ტილბურგი**

0:1 ვინარდი (11), 0:2, 0:3 სანუ (17,75)

**გრონინგენი 0:1 ჰერენვენი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 17 | 16 | 1 | 0 | 55:4 | 49 |
| ეინდჰოვენი | 17 | 10 | 7 | 0 | 51:17 | 37 |
| ვიტესი | 17 | 10 | 5 | 2 | 42:24 | 35 |
| ფეიენოორდი | 17 | 9 | 4 | 4 | 27:18 | 31 |
| ჰერენვენი | 17 | 9 | 4 | 4 | 28:21 | 31 |
| ტილბურგი | 17 | 8 | 3 | 6 | 28:22 | 27 |
| სპარტა | 17 | 5 | 6 | 6 | 31:31 | 21 |
| ტვენტე | 16 | 5 | 6 | 5 | 19:19 | 21 |
| ბრედა | 17 | 6 | 3 | 8 | 19:22 | 21 |
| გრააფსხაპი | 18 | 5 | 5 | 8 | 22:19 | 20 |
| უტრეხტი | 16 | 6 | 2 | 8 | 29:36 | 20 |
| სიტარდი | 17 | 6 | 2 | 9 | 23:34 | 20 |
| როდა | 17 | 5 | 4 | 8 | 23:25 | 19 |
| ნაიმეგენი | 18 | 6 | 1 | 11 | 19:38 | 19 |
| გრონინგენი | 17 | 3 | 6 | 8 | 20:31 | 15 |
| ვალვაიკი | 18 | 3 | 6 | 9 | 22:38 | 15 |
| მაასტრიხტი | 17 | 4 | 2 | 11 | 16:42 | 14 |
| ვოლენდამი | 18 | 2 | 5 | 11 | 13:46 | 11 |

## ავსტრია

**გამოტოვებული მატჩი. ადმირა — რაპიდი 0:1**

ავსტრიის ჩემპიონატში გამოტოვებული მატჩი გაიმართა. პირველობის პირველი წრე ამ შეხვედრით დასრულდა. დღეიდან ავსტრიაში საფეხბურთო არდადეგები დაისადგურებს, რომელიც 28 თებერვლამდე გაგრძელდება.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შტურმი | 21 | 15 | 5 | 1 | 50:13 | 50 |
| გრაცერი | 21 | 11 | 4 | 6 | 35:20 | 37 |
| რაპიდი | 21 | 11 | 4 | 6 | 26:22 | 37 |
| ლინცერი | 21 | 9 | 4 | 8 | 38:35 | 31 |
| ზალცბურგი | 21 | 9 | 3 | 9 | 32:24 | 30 |
| აუსტრია | 21 | 8 | 5 | 8 | 28:30 | 29 |
| ტიროლი | 21 | 8 | 4 | 9 | 30:31 | 28 |
| რიდი | 21 | 5 | 6 | 10 | 19:32 | 21 |
| ლუსტენაუ | 21 | 4 | 7 | 10 | 23:36 | 19 |
| ადმირა | 21 | 3 | 2 | 16 | 18:56 | 11 |

## ბელგია

**გამოტოვებული მატჩები. ანტვერპენი — ანდერლეხტი 0:1; ბრიუგე — მუსკრონი 1:0; ვესტერლო — სტანდარდი 2:0; ბევერენი — ლიერსი 2:3; სენტ ტრიუდენი — შარლერუა 2:0**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 13 | 11 | 2 | 0 | 36:9 | 35 |
| ჰარელბეკე | 14 | 7 | 6 | 1 | 28:15 | 27 |
| გენკი | 14 | 8 | 2 | 4 | 33:20 | 26 |
| ეკერენი | 14 | 7 | 3 | 4 | 24:19 | 24 |
| ლომელი | 14 | 7 | 2 | 5 | 26:20 | 23 |
| ლიერსი | 14 | 6 | 3 | 5 | 26:19 | 21 |
| სტ. ტრიუდენი | 14 | 6 | 3 | 5 | 15:16 | 21 |
| გენტი | 14 | 5 | 5 | 4 | 23:20 | 20 |
| ანდერლეხტი | 14 | 6 | 2 | 6 | 19:18 | 20 |
| ვესტერლო | 14 | 5 | 5 | 4 | 25:28 | 20 |
| ლოკერენი | 14 | 6 | 0 | 8 | 24:34 | 18 |
| სტანდარდი | 14 | 4 | 4 | 6 | 18:20 | 16 |
| აალსტი | 14 | 4 | 3 | 7 | 21:25 | 15 |
| შარლერუა | 14 | 3 | 5 | 6 | 17:29 | 14 |
| მუსკრონი | 14 | 3 | 4 | 7 | 12:19 | 13 |
| ბევერენი | 14 | 2 | 5 | 7 | 15:24 | 11 |
| მოლენბეკი | 13 | 3 | 2 | 8 | 15:31 | 11 |
| ანტვერპენი | 12 | 2 | 2 | 8 | 13:24 | 8 |

## ინგლისი

**ვესტ ჰემი 4:1 კრ. პალასი**

**ვესტ ჰემი: ფორესტი, ბრეიკერი, ანსუორსი, ლომასი, ფერდინანდი, მონკური, ლაზარიდისი, (როულენდი 71), პირსი, ბერკოვიჩი, ჰარტსონი, აბუ (ალვეში 80)**

**კრისტალ პალასი: მილერი, ედვორთი, გორდონი, ლინიგენი, ფორმერსტი, შიპერლი, როჯერი, სმიტი (პადოვანო 12), პრიდარსონი, ემბლინი, ზოხარი**

**1:0 ჰარტსონი (31), 1:1 შიპერლი (42), 2:1 ბერკოვიჩი (45), 3:1 ანსუორსი (48), 4:1 ლომასი (71)**

ეს მატჩი შუა კვირაში იმიტომ ჩატარდა, რომ დაახლოებით თვენახევრის წინ შეხვედრა ნისლის გამო პირველი ტაიმის შემდეგ ჩაიშალა. იმ შუაწელში შეწყვეტილი თამაშისგან განსხვავებით ოთხშაბათის მატჩი საკმაოდ საინტერესო გამოდგა, რაც უმთავრესად მასპინძლების საკმაოდ ლაღმა და ღია თამაშმა განაპირობა. „ვესტ ჰემს“ პირველი წუთებიდანვე არ გაეშვა ხელიდან უპირატესობა და ამიტომაც იყო, ამ სეზონში „აპტონ პარკზე“ 10-დან მეცხრე შეხვედრა რომ მოიგო. საათნახევრის მანძილზე გასული იყო... ჰარტსონისა და ბერკოვიჩის ზუსტად დასრულებული შეტევებმა... პირველი ანსუორსის თავქვეშ 50-მეტრიანი გადაცემის შემდეგ გავიდა, მეორე კი ხარიხიდან ასხლეტილის დამატება იყო. სხვათა შორის, ოთხშაბათს დევიდ ანსუორსმა და სტივ ლომასმა „ვესტ ჰემის“ შემადგენლობაში პირველი გოლები გაიტანეს.

და კიდევ, მატჩს „იუვენტუსის“ ვიცე-პრეზიდენტი რობერტო ბეტეგა ესწრებოდა, რომლის ინგლისში ჩასვლის მიზეზი გარდა ჰარტსონის საქმეში ნახვისა, „კრისტალ პალასის“ აქციების შეძენა ყოფილა. ლონდონელთა გუნდის პრეზიდენტმა რონ ნოადსმა ამ დღეებში განაცხადა, „კრისტალ პალასის“ გაყიდვას 30 მილიონ გირვანქად ვაპირებო. „იუვენტუსს“ კი ჯერჯერობით აქციების მხოლოდ 10 პროცენტი სდომებია.

### პირველი დივიზიონი

**ქუინზ პარკი — ნორვიჩი 1:1**




REUTERS ლონდონიდან

ვესტ ჰემი — კრისტალ პალასი. „ჩაქუჩებმა“ სტუმრები „დალურსმნეს“

# ვენეიბლზის ღალატი

1996 წლის ზაფხულში ვენეიბლზმა ინგლისის ნაკრების მწვრთნელობაზე ხელი აიღო, ავსტრალიაში გადაბარგდა და იქაურთა გუნდის თავკაცი გახდა. თანაც შეთავსებით პირველი დივიზიონის „პორტსმუთში“ კლუბის დირექტორად მუშაობდა.

წელს, რაკი ავსტრალიის ნაკრებს ერთობ გადატვირთული საერთაშორისო კალენდარი ჰქონდა, ვენეიბლზი „პორტსმუთისთვის“ ძველებურად ვეღარ იცლიდა და, მიუხედავად იმისა, რომ კუთვნილ გასამრჯელოს მაინც იღებდა, „ტოტენჰემის“ და „ბარსელონას“ ყოფილმა მწვრთნელმა კლუბთან განშორება გადაწყვიტა.

გუშინ პირველი დივიზიონის მაჩანჩალა გუნდის ხელმძღვანელობამ ოფიციალურად განაცხადა ვენეიბლზის კლუბიდან წასვლის შესახებ. გუნდის მენეჯერთა დირექტორმა მარტინ გრეგორიმ კი ისიც დასძინა, გაჭირვებული და დახმარებას დანატრებული გუნდის შუა გზაში მიტოვება სხვა თუ არაფერი, არასწორიაო...

# შერისხული პული

უნგრელ მსაჯს, მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატის ფინალის მთავარ არბიტრს, შანდორ პულს, უეფამ საერთაშორისო მსაჯის წოდება ჩამოართვა. ამ სეზონის დასასრულამდე იგი მხოლოდ უნგრეთის ჩემპიონატის მატჩებს განსჯის. ამის მიზეზი გახდა 5 ნოემბერს, როტერდამში გამართული ჩემპიონთა ლიგის მატჩი. „ფეიენოორდი“ — „მანჩესტერ იუნაიტედის“ შეხვედრისას, მასპინძელთა მოთამაშე პოლ ბოსველტი სტუმართა ირლანდიელ მცველ დენის ირვინს ეუხეშა, რის გამოც დაზარალებულს მას შემდეგ აღარც უთამაშია. შანდორ პულმა კი დამნაშავე ბოსველტი არც კი გააფრთხილა, უბრალოდ, „ფეიენოორდის“ კარში ჯარიმა დანიშნა. მატჩის მეორე დღეს თითქმის ყველა საინფორმაციო საშუალება გარკვევით აჩვენებდა უხეშობის მომენტს, პრესა კი ამ შემთხვევის ფოტოებით იყო აჭრელებული.

უეფას სადისციპლინო სხდომამ მსაჯთა ასოციაციასთან შეთანხმებით საკმაოდ ისაუბრა ამ საკითხზე და პულის დისკვალიფიკაცია დაადგინა.

მის მოკვეთაში საკმაო გავლენა იქონია, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ავსტრალია — ირანის მატჩში დაშვებულმა შეცდომებმაც.

# კალიების ახალი მწვრთნელი

ავსტრიაში დაბადებული როლფ ფრინგერი გუშინდელი დღიდან ნემსაძისა და ყაველაშვილის „გრასჰოპერს“ თავკაცობს. მანამდე იგი შვეიცარიის ნაკრებს ხელმძღვანელობდა, მაგრამ რაკი გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ გაიყვანა, ფედერაციამ უმუშევრად დატოვა. ამ დროს მას ციურიხის გუნდის ხელმძღვანელობა შეეხმიანა და ერთობ ხელსაყრელი წინადადება შესთავაზა. ბოლო წლების შვეიცარიის საუკეთესო მწვრთნელის, კრისტიან გროსის გარეშე დარჩენილი კალიები ერთი კვირა უმწვრთნელოდ იყვნენ.

სხვათა შორის, ფრინგერი „გრასჰოფერამდე“ ორ შვეიცარიულ გუნდს, „შაფჰაუზენს“ და „არაუს“ წვრთნიდა.



როლფ ფრინგერი

# იმ დღეს მისტრალმაც სუნქვა შეიკავა




მარსელი, 4 დეკემბერი. მსოფლიოს ჩემპიონატის კენჭისყრა პირველად ჩატარდა ღია ცის ქვეშ



## ძველი პორტი

ძველ პორტს მარსელს უწოდებენ. ძველ პორტში მისტრალი იცის. მისტრალი ზღვის ქარია, რომელიც მარსელის მაცხოვრებლებს მხოლოდ თმებს კი არ უწეწავს, გაცილებით დიდ უსიამოვნებებს გადაჰყრის ხოლმე. მისტრალს ძველად გემები ჩაუძირია და ზეიმს ველარ ჩაშლიდა? უბრალოდ არ ჩაშალა.

ძველ პორტს უცხოელებით ვერ გააკვირვებ, მარსელში რაც ნავსადგური არსებობს ათასი ჯურის ადამიანი მოჰყოლია თუ გაჰყოლია ზღვას, ევროპელი თუ არაბი, ზანგი თუ ყვითელი, მზისგან გარუჯული თუ ყინულივით თეთრი. ახლაც ასე იყო, ოღონდ ახლა მათ მთელი ძველი პორტი შეჰყურებდა. ძველი პორტის გარდა მთელი საფრანგეთი იქეთკენ იყურებოდა. მთელს მსოფლიოს ძველ პორტში ჩასული უცხოელებისკენ ჰქონდა მზერა მიპყრობილი. უცნაური მხოლოდ ის იყო, რომ შორეული ქვეყნებიდან თავმოყრილ ადამიანებს მარსელში არაფერი ჩაეტანათ და არაფერზე ცვლიდნენ. თითქოს ბავშვებსაც არ ჰგავდნენ. ერთი მათგანი, ყველაფრის მეთაური რომ იყო, ოთხმოც წელს გახლდათ გადაცილებული, მაგრამ...

ისინი თამაშზე ფიქრობდნენ.

იმდღევანდელი მისტრალიც ეს იყო. არაბები და ევროპელები, გარუჯული სამხრეთ ამერიკელები და აფრიკელი ზანგები ღელავდნენ. მათი ღელვა ისე აზვირთებულიყო, ნამდვილი ზღვის ქარი უკუექცია. არადა, თითქოს ბავშვებს მართლა არ ჰგავდნენ. არ იკითხავთ რაზე ნერვიულობდნენ? იმაზე, ვის ვისთან მოუწევდა თამაში.

ყველაზე გამაოგნებელი ის გახლდათ, რომ ამას მთელი მსოფლიო შეჰყურებდა. არა, ძველი პორტი ასეთი რამეს ნამდვილად არ მოსწრებია. ყველა უნახავს, მეკობრეებით დაწყებული ჰოლანდიელი ვაჭრებით და ესპანელი პრინცებით დამთავრებული, მაგრამ კაცები, რომლებიც დიდურად ბავშვობენ, არასოდეს. ისინი დიდი ბურთაობისთვის ემზადებოდნენ.




მარიო ზაგალო (მარცხნივ) და ეგილ ოლსენი

## რონალდო

წილისყრამდე, პროგრამის თანახმად ვარსკვლავთა მატჩი გაიმართა. ევროპა — დანარჩენი მსოფლიოს წინააღმდეგ. შესაძლოა ცოტა საკამათო იყოს, უპრიანი იყო თუ არა მისთვის მსოფლიოს ვარსკვლავთა შეხვედრის შერქმევა. ერთი მხრივ სადავო არაფერია, ის ვარსკვლავები, რომელთაც ხუთშაბათს მარსელის „სტად ველოდრომზე“ ითამაშეს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან იყვნენ, ესე იგი სიტყვა მსოფლიო სამართლიანადაა ნახსენები. განა ვარსკვლავები, ნამდვილი ვარსკვლავები არ იყვნენ? თითოეული ის ფეხბურთელი დღეს, თავის ქვეყანაში ვარსკვლავია, მაგრამ ზემოთ დასმული კითხვა მათი შერჩევის პრინციპმა განაპირობა. პრინციპი ასეთი გახლდათ: მსოფლიოს პირველობის ფინალურ ეტაპზე გასული თითოეული გუნდიდან თითო ფეხბურთელი. კაცმა რომ თქვას, ნამდვილი ვარსკვლავთკრებული სხვა იქნებოდა, ის, მართლა უძლიერნი რომ შეეკრიბათ, თუნდ რამდენიმე მათგანი ერთი ქვეყნიდან ყოფილიყო, თორემ აბა, რა გამოვიდა, ანდრეას მიოლერი არ იყო და იყო სულიმანი, რობერტო კარლოსი არ იყო და იყო დე ავილა, ალესანდრო დელ პიერო არ იყო და იყო...

რას იზამ, პრინციპი პრინციპია. რაც იყო, ცუდი არ ეთქმის. მთავარია იყო რონალდო. გალა თამაში იმითაა კარგი, რომ ფეხბურთელები ლაღობენ და ოფიციალური მატჩებისგან განსხვავებით მეტოქეს ბურთის ფლობის საშუალებას აძლევენ. რონალდოს ბურთი ჩაუვარდა და ჰა ბურთი და ჰა მოედანი. მართალია, რუმინელმა მარიუს ლაკატუშმა ანგარიში უმალ გახსნა, მაგრამ რონალდომ ჯერ დე ავილას გაათანაბრებინა, მერე თავად შეაგდო, მოგვიანებით გაბრიელ ბატისტუტას ორი გაატანინა, ერთი ხნის შემდეგ კი ისევ თავად იყოჩაღა და ყველაფერი ეს შესვენებამდე მოასწრო. შესვენების შემდეგ რონალდო და ბატისტუტა დიდი ხნით აღარ დარჩნენ მოედანზე, ხოლო ევროპელებმა ერთი შეაგდეს — ზინედინ ზიდანმა მიაღწია მიზანს.

## მთავარი

მთავარი იყო წილისყრა, რომელიც ფიფას გენერალურმა მდივანმა, ზეპ ბლატერმა ჩაატარა. კალათებიდან ბურთებს ცნობილი ვარსკვლავები იღებდნენ, ბლატერი ართმევდა და აცხადებდა ჯერ ქვეყანას, მერე კი მის ნომერს ამა თუ იმ ჯგუფში.

### A ჯგუფი

*ბრაზილია, შოტლანდია, მაროკო ნორვეგია*

ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი მარიო ზაგალო: ვიცი, ბრაზილიელებს შოტლანდიისთვის მოგვიწევს ანგარიშის გაწევა. კარგად ვიცნობ თამაშის ბრიტანულ სტილს, რადგან ბოლო დროს ინგლისელებს ორჯერ ვეთამაშეთ, მაგრამ მართალი გითხრათ, მეტოქე არ მაშინებს. მახსოვს, 1974 წელს მათ ვერ მოვუგეთ, შეხვედრა 0:0 დამთავრდა, მაგრამ ახლა სხვაგვარად მოხდება. რაც შეეხება ნორვეგიას, წლეულს 2:4 დამარცხებისთვის შურისძიების გემოს ახლავე ვგრძნობ.

ეგილ ოლსენი, ნორვეგია, მწვრთნელი: — არ მესიამოვნა ევროპულ გუნდებს შორის შეცხრე ნომრად რომ ვიყავით კალათში ჩასმული. ბრაზილიასთან ბრძოლა ძალიან ძნელი იქნება. თუ ჩვენ შევძელით იმის გამეორება, რაც წლეულს მათთან ამხანაგურ შეხვედრაში მოვახერხეთ, მაშინ ჯგუფიდან გასვლის კარგი შანსი გვექნება, თუმცა არა მგონია მსოფლიოს ჩემპიონის მეორედ დამარცხება რეალური იყოს. იმას კი ვიტყვი, რომ ვიცი, როგორ გავანეიტრალო ბრაზილია. მთავარია, მას სივრცეები შევუზღუდოთ, ჩავუშალოთ ბურთის მშვიდი გათამაშება და მჭიდრო დაცვის მოუშლელად სწრაფი შეტევებით გავიტანოთ გოლი. შოტლანდიაზე ყველაფერი ვიცი, მაროკოზე — არაფერი.

კრეიგ ბრაუნი, შოტლანდია, მწვრთნელი: — მაროკოსა და ნორვეგიასთან თამაში შედარებით იოლია; თუმცა კოკა-კოლას რეიტინგში ორივე ჩვენზე ზემოთაა. ბრაზილიასთან გახსნითი თამაში კი მეტისმეტია, ჩვენ მას სამჯერ ვეთამაშეთ (1874, 1982, 1990) და ორჯერ წავაგეთ. ვგონებ, ბრაზილიელების იმედგაცრუება მაინც შეგვიძლია. ჩემი გუნდი გამოცდილი ფეხბურთელებისგან შედგება, რომელთაც პირველი მატჩის ფაქტორი არ შეაშინებს. რეალისტურად თუ ვიმსჯელებთ, ასეა: ჩვენ, ნორვეგია და მაროკო მეორე ადგილისთვის შევებრძოლებით ერთმანეთს. მსოფლიოს ჩემპიონთან პირველი თამაშის გამართვა მეტად ამაღელვებელია და ახლავე ვგრძნობ, რომ დიდი შეხვედრა შედგება.

ანრი მიშელი, მაროკო, მწვრთნელი: — ძალიან ძნელია ჯგუფში წარმატებით გამოსვლა. მასში თავი მოიყარეს ბრაზილიამ და ორმა პირველხარისხოვანმა ქვეყანამ, შოტლანდიამ და ნორვეგიამ. განსაკუთრებით მინდა შოტლანდია აღვნიშნო, მას კარგი, ახალგაზრდული გუნდი ჰყავს. ნეტავ ისეთი ბედი მწეოდა, B ჯგუფში ფრანგებს რომ ეწიათ.

### B ჯგუფი

*იტალია, ჩილე, კამერუნი, ავსტრია.*

ჩეზარე მალდინი, იტალია, მწვრთნელი: — ჯერ დავიცადოთ, ვნახოთ მოედანზე რა და როგორ მოხდება, თუმცა, ვგონებ, ცუდი წილისყრა არ ყოფილა. მეტოქეების განსჯა ადრეა, ჯერ მათი შესწავლა გვმართებს. ავსტრიამ შესარჩევ ციკლში ძალიან კარგად იასპარეზა, კამერუნსა და ჩილეზე კი ვერაფერს მოგახსენებთ. უეჭველად უნდა ვეწვიოთ ამ ქვეყნებს და მათი თამაშები ვნახოთ.

პაოლო მალდინი, ფეხბურთელი, მწვრთნელის ვაჟი: — წილისყრა აშკარად მომეწონა, ჩვენ ფავორიტები ვართ, თუმცა, ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლა აუცილებელია, რათა შემდგომ ეტაპზე ბრაზილია ავირიდოთ.

ნელსონ აკოსტა, ჩილე, მწვრთნელი: — იტალია გვაფიქრებს. ის მართლა ძლიერი გუნდია.

ვინსენ ონანა, კამერუნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი: — მეტოქეებს კარგად ვიცნობთ, მეტადრე იტალიას, რომელსაც 1982 წელს ვეთამაშეთ. ჩვენი ჯგუფის ყოველი თამაში მეტად დაძაბული იქნება, მაგრამ თუ კარგად მოვემზადებით, მერვედფინალში გავალთ.

ჟან-მანგა ონგენე, ერთ-ერთი მწვრთნელი: — ძალიან პატიოსანი წილისყრა იყო. მწამს, მეოთხედფინალამდე შეგვიძლია გასვლა. გვსურდა განთესილები ვყოფილიყავით. არა უშავს, იტალიას ძალზედ კარგად ვიცნობთ. მართალია, 1982 წელსა და 1998 წელს შორის დიდი განსხვავებაა, მაგრამ მათთან სათამაშოდ მზად გახლავართ, რაც შეეხება ჩილესა და ავსტრიას, მათ წინააღმდეგ არასდროს გვითამაშია, თუმცა, სამხრეთ ამერიკული და ევროპული ფეხბურთის ცოდნა, ვგონებ, პრობლემას ხსნის.

ჰერბერტ პროჰაზკა, ავსტრია, მწვრთნელი: — უდავოა, იტალია ჯგუფის მთავარი ფავორიტი გახლავთ. ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანი იქნება პირველი მატჩი, კამერუნის წინააღმდეგ. თუ პირველმა და მეორე თამაშმა ისე ჩაიარა, ჩვენ რომ გვინდა, მაშინ ბოლოს, იტალიასთან მობილიზებულნი ვითამაშებთ და შევეცდებით მერვედფინალში გავიდეთ.

### C ჯგუფი

*საფრანგეთი, სამხრეთი აფრიკა, საუდის არაბეთი, დანია.*

ემე ჟაკე, საფრანგეთი, მწვრთნელი: — ცუდი წილისყრა არ ყოფილა, შესაძლოა, უფრო ძნელი მეტოქეები შეგვხვედროდნენ. ყველა მოწინააღმდეგეს საკმაოდ კარგად ვიცნობთ, ვიცით მათი ძლიერი მხარეები და სისუსტეები. ამ ცოდნას, ცხადია, მათ წინააღმდეგ თამაშის გეგმის არჩევისას გამოვიყენებთ.

ბო იოჰანსონი, დანია, მწვრთნელი: — ვგონებ, ძალიან კარგ ჯგუფში მოვხვდით, ნამდვილად გაგვიღიმა ბედმა. და მაინც, სამხრეთ აფრიკასა და საუდის არაბეთზე ამწუთას ბევრს ვერაფერს ვიტყვი. ჯობს ჯერ ორივეს თამაშები ვნახო, კომენტარს კი მერე გავუკეთებ.

კლაივ ბარკერი, სამხრეთი აფრიკა, მწვრთნელი: — საფრანგეთს ოქტომბერში, ამხანაგურ შეხვედრაში ვეთამაშეთ ორი მთავარი ფეხბურთელის, მცველის მარკ ფიშისა და ნახევარმცველის დოქტორ ხუმალოს გარეშე. ის მატჩი ბოლოს გაშვებული გოლის გამო წავაგეთ. ახლა რევანშის შანსი გვეძლევა. ფრანგებს, როგორც მასპინძლებს, საგანგებო ფსიქოლოგიური პრობლემები შეექმნებათ. მათგან ყველა იოლ გამარჯვებებს ელის, ამიტომაც არ ვისურვებდი ემე ჟაკეს ადგილზე ყოფნას. ვიფიქრობ, საუდის არაბეთთან გამარჯვება ჩვენთვის უმთავრესი იქნება.

ფაისალ ბინ ფაჰადი, საუდის არაბეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი: — ჩვენ აზიის სამგზის ჩემპიონები გახლავართ და მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მეორედ ვმონაწილეობთ, ამიტომაც გვწამს, რომ შეგვიძლია უკეთ ვასპარეზოთ, ვიდრე წინა ჯერზე შევძელით. მერვედფინალს უნდა მოვაღწიოთ. რაც შეეხება საფრანგეთს, იგი უდავო ფავორიტია. საუდის არაბეთი ყოველ შეხვედრას მთელი ძალით ჩაატარებს, რამაც არავინ უნდა გააკვირვოს.

### D ჯგუფი

*ესპანეთი, ნიგერია, პარაგვაი, ბულგარეთი.*

ხავიერ კლემენტე, ესპანეთი, მწვრთნელი: — იღბალმა ზურგი გვაქცია, ერთ-ერთი უძლიერესი ჯგუფი გვერგო. ნიგერია აფრიკის საუკეთესო გუნდია. ჩვენ მის რამდენიმე ფეხბურთელს უკვე ვიცნობთ, მაგალითად ფინიდი ჯორჯს, რომელიც „ბეტისში“ თამაშობს. სამწუხაროდ, ნიგერიასთან თამაში სამის ნახევარზეა დანიშნული, არადა საღამოს 9 საათზე გვიჯობდა. ბულგარეთს 96 წელს ევროპის ჩემპიონატზე ვეთამაშეთ. ის მატჩი ფრედ დასრულდა. პარაგვაიც არ იქნება სუსტი, თუმცა კოლუმბიას გვერჩივნა.

მუმინი ამუნი, ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი: — ახლა ჩვენთვის მთავარი მწვრთნელის შერჩევაა. წილისყრით ძლიერ კმაყოფილი გახლავართ, სხვა თუ არაფერი, შემდეგ ეტაპზე მაინც უნდა გავიდეთ. უმთავრეს მეტოქედ ესპანეთის ნაკრები მესახება, თუმცა, რაღა დაგიმალოთ და ვფიქრობ, დავამარცხებთ. პარაგვაიც კარგი გუნდია, მაგრამ ჩვენ ძალიან გამოცდილები ვართ. სასიამოვნოა ისიც, რომ პირველი შეხვედრა პარიზში გვაქვს, თუმცა სად დავბანაკდებით, ჯერ არ გადაგვიწყვეტია.

პაოლო სეზარ პარკეჯანი, პარაგვაი, მწვრთნელი: — ღელვის საბაბი არ მაქვს. პარიზში გუნდის დასაბანაკებელი ადგილის საპოვნელად ჩამოვედი, რაც მსოფლიოს ჩემპიონატზე ძლიერ მნიშვნელოვანია. ჩემი ფეხბურთელებისგან აზრის მეტ კონცენტრაციას და თავგანწირვას მოვითხოვ. სულ ესაა, რაც მჭირდება.




გუს ჰიდინკი

რობერტო აკუნია, ფეხბურთელი: — ჩვენი ჯგუფი ყველაზე რთულია და არა მხოლოდ საწყის ეტაპზე. თუ მერვედფინალში გავალთ, ბრაზილიას ან დანიას გადავეყრებით.

ხრისტო ბონევი, ბულგარეთი, მწვრთნელი: — ნიგერიასა და ესპანეთზე ყველაფერი ვიცით, პარგვაიზე — არაფერი. ნიგერიის ჩვენს ჯგუფში მოხვედრამ ცოტა დაგვაშინა კიდეც. ეს გუნდი ძლიერ კარგად თამაშობს. მან წინა ჩემპიონატზე 3:1 დაგვამარცხა. ახლა შური უნდა ვიძიოთ.

### E ჯგუფი

*ჰოლანდია, ბელგია, კორეა, მექსიკა.*

გუს ჰიდინკი, ჰოლანდია, მწვრთნელი: — ფრთხილად უნდა ვიყოთ, შესარჩევ შეჯიბრებაში ბელგიელები ორჯერ იოლად დავამარცხეთ. მათ ჩვენზე ყველაფერი იციან. გარდა ამისა, 1994 წლის ჩემპიონატზე ბელგიამ 1:0 მოგვიგო.

გეორგ ლესკენსი, ბელგია, მწვრთნელი: — რაღა დაგიმალოთ და იმ ჯგუფში მოხვედრა, სადაც ჰოლანდიაა, არ მესიამოვნა. იმედი მაქვს, ჩემი ფეხბურთელები შესარჩევში წაგებისთვის შურს იძიებენ, თუმცა უფრო მეტად მექსიკასა და კორეაზე გვმართებს ყურადღების გამახვილება. უდავოა, რომ ჰოლანდია ჩვენზე მაღალი კლასის გუნდია, ამრიგად, მთავარი ბრძოლა ჩვენსა და მექსიკელებს შორის გაიმართება. მექსიკელებს ერთი უპირატესობა აქვთ, ისინი ბორდოში სა-

მის ნახევარზე გვეთამაშებიან. ალბათ ძლიერ ეცხელება, რაც ჩვენ სრულებით არ გვაძლევს ხელს.

ბუმ-კუნ ჩა, კორეა, მწვრთნელი: — საბოლოოდ, მნიშვნელობა არ აქვს ვის ეთამაშები. თუ წინსვლა და ოსტატობის დახვეწა გინდა, მსოფლიოს უძლიერეს გუნდებს უნდა მოუგო. იმის თქმა, რომ მერვედფინალში ვერ გავალთ, უსაფუძვლოა.

მანუელ ლაპუენტე, მექსიკა, მწვრთნელი: — იოლ ჯგუფში როდი მოვხვდით. განსაკუთრებით რთული მატჩი პირველი გველის, კორეასთან, რადგან აზიური გუნდები მეტისმეტად სწრაფად თამაშობენ. ვიცი, ჯერ მზად არ ვართ, მაგრამ დრო საკმაოდ გვაქვს. ევროპაში ბევრ ამხანაგურ თამაშებს ჩავატარებთ და ასე მივაღწევთ სასურველ ფორმას.

## F ჯგუფი

*გერმანია, აშშ, იუგოსლავია, ირანი*

ბერტი ფოგტსი, გერმანია, მწვრთნელი: — კენჭისყრისას კანკალმა ამიტანა, მაგრამ სიცივისგან და არა ნერვიულობისგან. ჯგუფში, რომელიც ჩვენ გვერგო, ყველაზე სახიფათო მეტოქედ საკუთარი თავი მიმაჩნია. თუ საფრანგეთში კარგად გამოსვლა გვსურს, ჩვენი თამაშის დონე უნდა ავამაღლოთ. ეს კი გვარიან მუშაობას მოითხოვს. იუგოსლავია, შესაძლოა, მსოფლიოს უდიდეს ქვეყნებს არ განეკუთვნება, მაგრამ ეს მათ ფეხბურთს არ ეხება. ეს ქვეყანა ყოველთვის საუცხოო ფეხბურთელებითაა სავსე და მისი დამარცხება ძალიან ძნელია. აშშ საინტერესო გუნდია, ხოლო ირანი — კარგი.

სტივ სემპსონი, აშშ, მწვრთნელი: — მეამაყება, რომ საშუალება მოგვეცა დავამტკიცოთ, რა შეგვიძლია მსოფლიოს საუკეთესო გუნდების წინააღმდეგ. უდიდეს პატივს ვცემ გერმანიას და იუგოსლავიას, თამაშის განრიგიც ხელსაყრელი გვაქვს. თუ გერმანიას ქულა ავართვით, რაც უძნელეს საქმედ მესახება, ირანთან იმედიანად გავალთ მოედანზე. დაგეგმილი გვაქვს ამხანაგური თამაშები ჰოლანდიასა და ავსტრიასთან, ეს კი გერმანელებთან მატჩისთვის მოგვამზადებს. ჩვენი ჯგუფი ძლიერია, მაგრამ D-ს არ შეედრება, D ნამდვილი სიკვდილის ჯგუფია.

სლობოდან სანტრაჩი, იუგოსლავია, მწვრთნელი: — წილისყრამ ის მეტოქეები გვარგუნა, ჩვენ რომ გვსურდა. ჩემი პროგნოზით მერვედფინალში უნდა გავიდეთ.

დარიუს მუსტაფავი, ირანის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი: — დღეს ძლიერ ბედნიერი ვარ. გერმანიის მეტოქეობა პატივია, რადგან ამ ქვეყანას უამრავი საერთაშორისო ტიტული აქვს. ვგონებ, აშშ-ის მოგება შეგვძლია, რადგან ეს გუნდი აშკარად არაა ჩვენზე ძლიერი. არც ის მგონია, რომ ჩვენი და აშშ-ის თამაში სხვა თამაშებისგან განსხვავებული გამოდგეს. საფეხბურთო მსოფლიო ხომ სხვაა, პოლიტიკური კი სხვა.

## G ჯგუფი

*რუმინეთი, კოლუმბია, ინგლისი, ტუნისი*

ანგელ იორდანესკუ, რუმინეთი, მწვრთნელი: — ეს ჯგუფი სუსტი სულაც არაა, შესაძლოა ისეთიც კია, როგორიც ესპანეთისა გახლავთ. მიუხედავად ამისა, კმაყოფილი ვარ ბედის და ვფიქრობ, ჩემი გამოცდილი გუნდი მერვედფინალში გავა. ყველა, ვინც თვლის, რომ ჩვენს შორის ინგლისი საუკეთესოა, ცდება. კოლუმბიასაც შეუძლია სხვათა გამწარება.

დან პეტრესკუ, ფეხბურთელი: — ძლიერ არ გაგვიმართლა. კენჭისყრამდე ვლოცულობდი, ნეტავ ინგლისთან და კოლუმბიასთან არ მოვხვდეთ-მეთქი.

ერნან დარიო, კოლუმბია, მწვრთნელი: — რუმინეთი და ინგლისი ორი დიდი გუნდია. ისინი უძლიერესი მოწინააღმდეგეები იქნებიან. ტუნისი თავმოყრილ, ძალისმიერ ფეხბურთს თამაშობს. რუმინეთი კარგად გვახსოვს, მან ოთხი წლის წინ 3:1 მოგვიგო, ინგლისმა კი ევროპის ჩემპიონატზე დიდებულად ითამაშა. სხვათა შორის, ერთ ჯგუფში მოხვედრის გამო 14 თებერვლისთვის დანიშნული ამხანაგური შეხვედრა ინგლისთან ჩაგვეშალა.

გლენ ჰოდლი, ინგლისი, მწვრთნელი: — ტუნისთან ორ საათზეა თამაში, ეს ალბათ მეტოქეს უფრო აწყობს. სამაგიეროდ, მომწონს იმ სტადიონის სახელი, რომელზეც რუმინეთს ვხვდებით. ამ სარბიელს ტულუზში, „პატარა უემბლის" უწოდებენ, რაც კარგი ნიშანია. კოლუმბიასთან ბოლოს ვთამაშობთ და ესეც კარგია, რადგან ნათელი იქნება, რა უნდა ვაკეთოთ. ზოგადად სამივე მატჩი რთული გველის. წილისყრა, შესაძლოა, ცოტა უკეთესი ან უარესი გამომდგარიყო. რუმინეთი გამოცდილი გუნდია, მას მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის მეტი გამოცდილება აქვს, ვიდრე ჩემსას, მაგრამ მისი ფეხბურთელები ასაკოვანნი არიან, ჩემები — ახალგაზრდები. მოკლედ, ძლიერ უკმაყოფილო არ ვარ.

ჰენრიკ კასპერჩაკი, ტუნისი, მწვრთნელი: — ძნელია წინასწარმეტყველება, თუ ვინ გავა ამ ჯგუფიდან, რადგან ყველა კარგი გუნდია. რუმინეთი წინა ჩემპიონატთან შედარებით გაძლიერებულია, რაზეც შესარჩევ ციკლში მისი წაუგებელი სვლა მეტყველებს. რაც უნდა იყოს, ჩემს ტუნისს არავისი ეშინია, დასაკარგი არაფერი გვაქვს.

## H ჯგუფი

*არგენტინა, იაპონია, იამაიკა, ხორვატია*

დანიელ პასარელა, არგენტინა, მწვრთნელი: — კმაყოფილი ვარ, მოხარული — არა. მიშელ პლატინიმ მითხრა, საფრანგეთისა და არგენტინის ამხანაგური თამაში მინდა მოვაწყოო. ბრაზილიის მწვრთნელი მარიო ზაგალო კი ფიქრობს, რომ ფინალში ისინი და ჩვენ შევხვდებით ერთმანეთს, მაგრამ მთავარი ჯერ ჯგუფიდან გასვლაა. ხორვატიას ყველას გაკვირვება ძალუძს, იაპონია დინამიკურია და პატივს ვცემთ, იამაიკაზე კი მხოლოდ ის ვიცი, რომ ბრაზილიელი მწვრთნელი ჰყავს.

ტაკეში ოკადა, იაპონია, მწვრთნელი: — ვიცი, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე იოლი მატჩები არ არსებობს. ამიტომაც ჩემთვის აბსოლუტურად სულერთი იყო, ვინ იქნებოდა ჩვენს ჯგუფში და მაინც, კმაყოფილი ვარ, რომ ისეთი ძლიერი გუნდები გვერგნენ, როგორებიც არიან არგენტინა, ხორვატია და იამაიკა. ვიცი გაძნელდება, მაგრამ მერვედფინალში გასასვლელად ყველა ღონეს ვიხმართ.

რენე სიმოეში, იამაიკა, მწვრთნელი: — რა მნიშვნელობა ჰქონდა ჯგუფს? განა არ ვიცოდი, რომ ჩვენთვის ყველა თამაში უძნელესი იქნებოდა? მთავარია, რომ საფრანგეთში მსოფლიოს საუკეთესო გუნდებთან ვითამაშებთ. ყველა შეხვედრაში მოსაგებად გავალთ მოედანზე, მეტი რა ვქნათ?

მიროსლავ ბლაჟევიჩი, ხორვატია, მწვრთნელი: — ძალიან ხელსაყრელი ჯგუფია. ეჭვი არ მეპარება, რომ კენჭისყრამდე ყველა ხორვატი იამაიკის მეტოქეობას ოცნებობდა. მოწინააღმდეგეებს ვუყურებ და ვრწმუნდები, რომ შემდეგ ეტაპზეც გავალთ. ერთი პირობა ვშიშობდი „სიკვდილის ჯგუფში" არ ამოვყოთ-მეთქი თავი, მაგრამ ახლა ვიცი, მერვედფინალში გავალთ და იქ ალბათ ინგლისს შევხვდებით.



პასარელა ჟურნალისტებს შთაბეჭდილებებს უზიარებს

## ბურთი

ბურთს, რომელსაც ივნის-ივლისში საფრანგეთის სტადიონებზე გააგორებენ, ოფიციალურად „სამფეროვანი" შეარქვეს, რადგან ის მოხატული იქნება ამ ქვეყნის დროშის ფერებით, წითლით, თეთრით და ლურჯით. ბურთი საზოგადოებას მისმა შემქმნელმა, „ადიდასმა" წარუდგინა. საგანგებო პრესკონფერენცია ნამდვილი შოუ გახლდათ, მუსიკითა და შუქ-ეფექტებით, ბურთი კი ძირითადად ძველებური, ოღონდ სიახლით და ეს სიახლე ფერები იყო.



„ტრიკოლორი" — ამ ბურთით საფრანგეთში ითამაშებენ

შეგახსენებთ, „სამფეროვნის" წინამორბედები იყვნენ „ტელსტარი (1970 და 1974), „ტანგო" (1978 და 1982), „აცტეკა" (1986), „ეტრუსკო" (1990) და „კუესტრა" (1994).

„ადიდასის" განცხადებით, ბურთის მთავარი ღირსება ის ნივთიერებაა, რომელიც მის გარეკანს დაარბილებს, სფეროს კი ფორმას დაუხვეწს.

ჩემპიონატის ბურთად დამტკიცებამდე „სამფეროვანმა" ასეთი გამოცდა ჩააბარა: იგი 50 კილომეტრ-საათის სიჩქარით 5 ათასჯერ ესროლეს ფოლადის თეფშს. ბურთმა ფორმა შეინარჩუნა.

პრეზენტაციაზე მიწვეულმა ჰოლანდიელმა პატრიკ კლუივერტმა განაცხადა: — „სამფეროვანი" ცოტა ხანს ავკეწლე და გავაგორ-გამოვაგორე. მომეწონა, ჩემი სტილის მოთამაშისთვის კარგია, რადგან გარედან უფრო რბილია.

ინგლისელმა პოლ ინსმა დასძინა: — ბურთი, რომელსაც ინგლისში შევეჩვიე, უფრო მაგარია, მაგრამ „სამფეროვანმა" მომხიბლა. ვგონებ, ლამაზია, თან, უმაღლეს დონეზე ხელსაყრელი ბურთით რომ თამაშობ, აზროვნება გიადვილდება.

— მეკარეებს ცხოვრება მეტად და მეტად გვირთულდება. ბურთები გამსუბუქდა, ისინი უფრო სწრაფად დაფრინავენ და ჩვენც უწინდელზე სწრაფი რეაგირება მოგვეთხოვება. ეს ახალი ბურთები, გახედვას ვერ მოასწრებ, ბადეშია — დაიჩივლა გერმანელმა მეკარემ ანდრეას კეპკემ.

**პაპუნა ძიძია**

**როიტერის ფოტოები**

## პლატინიმ თქვა



მიშელ პლატინი

ქარი იკბინებოდა, ბავშვებს სციოდათ, პლატინი კი ბედნიერი იყო. მსოფლიოს ჩემპიონატის წილისყრამ, რომელიც მისი დაჟინებით, ისტორიაში პირველად, ღია ცის ქვეშ უნდა გამართულიყო და გაიმართა კიდეც, ჩინებულად ჩაიარა.

— ეს იყო ადამიანური წილისყრა. იყო ოხვრა, ლანძღვა, ტკივილი და სიამოვნება, ყველაფერი, რასაც ადამიანი სტადიონზე ეძებს — თქვა პლატინიმ, მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თანაპრეზიდენტმა — ეს გმირობა იყო. ჩვენ გამოწვევა მივიღეთ და გავიმარჯვეთ.

გალა მატჩის შემდეგ, რომელიც წილისყრას უძღოდა, „სტად ველოდრომზე" მიწვეულმა 18 ათასმა ბავშვმა მოედანი დაფარა, მაგრამ პლატინიმ, რომელიც მოედნების შემოღობვის მომხრეა, განაცხადა, მერე რა, ეს რა პრობლემა იყოო.

— ეს პატარა გადახვევა იყო. ახალგაზრდებმა, რომელთაც ზეიმში მონაწილეობა სურდათ, ენთუზიაზმი გამოიჩინეს — თქვა მან.

რაც შეეხება საკუთრივ კენჭისყრას, მასზე პლატინის აზრი ასეთი გახლდათ:

— თუ ესპანეთის ჯგუფს არ ჩავთვლით, რომელიც ყველაზე ძლიერი მგონია, კენჭისყრა ერთობ ზომიერი გამოდგა.

საფრანგეთის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა და მწვრთნელმა განაცხადა, ჩემს ქვეყანას გაუმართლაო.

— ქალალდზე, საფრანგეთს მერვედფინალში იოლად გასვლის შანსი აქვს — თქვა მან.

მან არ გაიზიარა იმ ხალხის მოსაზრება, ვინც აშშ-ისა და ირანის მომავალ შეხვედრას საფრთხიანად მიიჩნევს.

— არა მგონია, თამაშს ბევრი ამერიკელი და ირანელი გულშემატკივარი დაესწროს — განაცხადა პლატინიმ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

| № | A ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბრაზილია | | | | | | | | | | | |
| 2 | შოტლანდია | | | | | | | | | | | |
| 3 | მაროკო | | | | | | | | | | | |
| 4 | ნორვეგია | | | | | | | | | | | |

| № | B ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | იტალია | | | | | | | | | | | |
| 2 | ჩილე | | | | | | | | | | | |
| 3 | კამერუნი | | | | | | | | | | | |
| 4 | ავსტრია | | | | | | | | | | | |

| № | მატჩი | ქალაქი | თარიღი | დრო |
|---|---|---|---|---|
| 1 | ბრაზილია — შოტლანდია | სენ დენი | 10.VI ოთხშაბათი | 20.30 |
| 2 | მაროკო — ნორვეგია | მონპელიე | 10.VI ოთხშაბათი | 24.00 |
| 3 | იტალია — ჩილე | ბორდო | 11.VI ხუთშაბათი | 20.30 |
| 4 | კამერუნი — ავსტრია | ტულუზი | 11.VI ხუთშაბათი | 24.00 |
| 5 | პარაგვაი — ბულგარეთი | მონპელიე | 12.VI პარასკევი | 17.30 |
| 6 | საუდეთი — დანია | ლანსი | 12.VI პარასკევი | 20.30 |
| 7 | საფრანგეთი — ს. აფრიკა | მარსელი | 12.VI პარასკევი | 24.00 |
| 8 | ესპანეთი — ნიგერია | ნანტი | 13.VI შაბათი | 17.30 |
| 9 | კორეა — მექსიკა | ლიონი | 13.VI შაბათი | 20.30 |
| 10 | ჰოლანდია — ბელგია | სენ დენი | 13.VI შაბათი | 24.00 |
| 11 | იუგოსლავია — ირანი | სენტ ეტიენი | 14.VI კვირა | 20.30 |
| 12 | არგენტინა — იაპონია | ტულუზი | 14.VI კვირა | 17.30 |
| 13 | იამაიკა — ხორვატია | ლანსი | 14.VI კვირა | 24.00 |
| 14 | ინგლისი — ტუნისი | მარსელი | 15.VI ორშაბათი | 17.30 |
| 15 | რუმინეთი — კოლუმბია | ლიონი | 15.VI ორშაბათი | 20.30 |
| 16 | გერმანია — აშშ | პარიზი | 15.VI ორშაბათი | 24.00 |
| 17 | შოტლანდია — ნორვეგია | ბორდო | 16.VI სამშაბათი | 20.30 |
| 18 | ბრაზილია — მაროკო | ნანტი | 16.VI სამშაბათი | 24.00 |
| 19 | ჩილე — ავსტრია | სენტ ეტიენი | 17.VI ოთხშაბათი | 20.30 |
| 20 | იტალია — კამერუნი | მონპელიე | 17.VI ოთხშაბათი | 24.00 |
| 21 | ს. აფრიკა — დანია | ტულუზი | 18.VI ხუთშაბათი | 20.30 |
| 22 | საფრანგეთი — საუდეთი | სენ დენი | 18.VI ხუთშაბათი | 24.00 |
| 23 | ნიგერია — ბულგარეთი | პარიზი | 19.VI პარასკევი | 20.30 |
| 24 | ესპანეთი — პარაგვაი | სენტ ეტიენი | 19.VI პარასკევი | 24.00 |
| 25 | ბელგია — მექსიკა | ბორდო | 20.VI შაბათი | 20.30 |
| 26 | იაპონია — ხორვატია | ნანტი | 20.VI შაბათი | 17.30 |
| 27 | ჰოლანდია — კორეა | მარსელი | 20.VI შაბათი | 24.00 |
| 28 | არგენტინა — იამაიკა | პარიზი | 21.VI კვირა | 20.30 |
| 29 | გერმანია — იუგოსლავია | ლანსი | 21.VI კვირა | 17.30 |
| 30 | აშშ — ირანი | ლიონი | 21.VI კვირა | 24.00 |
| 31 | კოლუმბია — ტუნისი | მონპელიე | 22.VI ორშაბათი | 20.30 |
| 32 | რუმინეთი — ინგლისი | ტულუზი | 22.VI ორშაბათი | 24.00 |
| 33 | იტალია — ავსტრია | სენ დენი | 23.VI სამშაბათი | 19.00 |
| 34 | ჩილე — კამერუნი | ნანტი | 23.VI სამშაბათი | 19.00 |
| 35 | ბრაზილია — ნორვეგია | მარსელი | 23.VI სამშაბათი | 24.00 |
| 36 | შოტლანდია — მაროკო | სენტ ეტიენი | 23.VI სამშაბათი | 24.00 |
| 37 | საფრანგეთი — დანია | ლიონი | 24.VI ოთხშაბათი | 19.00 |
| 38 | ს. აფრიკა — საუდეთი | ბორდო | 24.VI ოთხშაბათი | 19.00 |
| 39 | ესპანეთი — ბულგარეთი | ლანსი | 24.VI ოთხშაბათი | 24.00 |
| 40 | ნიგერია — პარაგვაი | ტულუზი | 24.VI ოთხშაბათი | 24.00 |
| 41 | ჰოლანდია — მექსიკა | სენტ ეტიენი | 25.VI ხუთშაბათი | 19.00 |
| 42 | ბელგია — კორეა | პარიზი | 25.VI ხუთშაბათი | 19.00 |
| 43 | გერმანია — ირანი | მონპელიე | 25.VI ხუთშაბათი | 24.00 |
| 44 | აშშ — იუგოსლავია | ნანტი | 25.VI ხუთშაბათი | 24.00 |
| 45 | არგენტინა — ხორვატია | ბორდო | 26.VI პარასკევი | 19.00 |
| 46 | იაპონია — იამაიკა | ლიონი | 26.VI პარასკევი | 19.00 |
| 47 | რუმინეთი — ტუნისი | სენ დენი | 26.VI პარასკევი | 24.00 |
| 48 | კოლუმბია — ინგლისი | ლანსი | 26.VI პარასკევი | 24.00 |
| | მერვედფინალი | | | |
| 49 | B1 — A2 | მარსელი | 27.VI შაბათი | 19.30 |
| 50 | A1 — B2 | პარიზი | 27.VI შაბათი | 24.00 |
| 51 | C1 — D2 | ლანსი | 28.VI კვირა | 19.30 |
| 52 | C2 — D1 | სენ დენი | 28.VI კვირა | 24.00 |
| 53 | F1 — E2 | მონპელიე | 29.VI ორშაბათი | 19.30 |
| 54 | E1 — F2 | ტულუზი | 29.VI ორშაბათი | 24.00 |
| 55 | G1 — H2 | ბორდო | 30.VI სამშაბათი | 19.30 |
| 56 | H1 — G2 | სენტ ეტიენი | 30.VI სამშაბათი | 24.00 |
| | მეოთხედფინალი | | | |
| 57 | 50 — 51 | სენ დენი | 3.VII პარასკევი | 19.30 |
| 58 | 49 — 52 | ნანტი | 3.VII პარასკევი | 24.00 |
| 59 | 53 — 56 | მარსელი | 4.VII შაბათი | 19.30 |
| 60 | 54 — 55 | ლიონი | 4.VII შაბათი | 24.00 |
| | ნახევარფინალი | | | |
| 61 | 58 — 59 | მარსელი | 7.VII სამშაბათი | 24.00 |
| 62 | 57 — 60 | სენ დენი | 8.VII ოთხშაბათი | 24.00 |
| | მატჩი მესამე ადგილისთვის | | | |
| 63 | | პარიზი | 11.VII შაბათი | 24.00 |
| | ფინალი | | | |
| 64 | | სენ დენი | 12.VII კვირა | 24.00 |

| № | E ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჰოლანდია | | | | | | | | | | | |
| 2 | ბელგია | | | | | | | | | | | |
| 3 | კორეა | | | | | | | | | | | |
| 4 | მექსიკა | | | | | | | | | | | |

| № | F ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | გერმანია | | | | | | | | | | | |
| 2 | აშშ | | | | | | | | | | | |
| 3 | იუგოსლავია | | | | | | | | | | | |
| 4 | ირანი | | | | | | | | | | | |

## მერვედფინალი

**მატჩი №1**
A 1 ბრაზილია
B 2 ჩილე

**მატჩი №2**
B 1 იტალია
A 2 ნორვეგია

**მატჩი №3**
C 1 საფრანგეთი
D 2 ესპანეთი

**მატჩი №4**
D 1 ნიგერია
C 2 დანია

## მეოთხედფინალი

**მატჩი A**
1 ბრაზილია
4 ნიგერია

**მატჩი B**
2 იტალია
3 საფრანგეთი

## ნახევარფინალი

**მატჩი A**
A ბრაზილია
C იტალია

**მატჩი B**
B არგენტინა
D გერმანია

## მეოთხედფინალი

**მატჩი C**
5 იუგოსლავია
8 არგენტინა

**მატჩი D**
6 გერმანია
7 ინგლისი

## მერვედფინალი

**მატჩი №5**
E 1 ჰოლანდია
F 2 იუგოსლავია

**მატჩი №6**
F 1 გერმანია
E 2 მექსიკა

**მატჩი №7**
G 1 ინგლისი
H 2 ხორვატია

**მატჩი №8**
H 1 არგენტინა
G 2 რუმინეთი

| № | C ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საფრანგეთი | | | | | | | | | | | |
| 2 | ს. აფრიკა | | | | | | | | | | | |
| 3 | საუდეთი | | | | | | | | | | | |
| 4 | დანია | | | | | | | | | | | |

| № | D ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ესპანეთი | | | | | | | | | | | |
| 2 | ნიგერია | | | | | | | | | | | |
| 3 | პარაგვაი | | | | | | | | | | | |
| 4 | ბულგარეთი | | | | | | | | | | | |



ზეპ ბლატერმა და ფრანც ბეკენბაუერმა წილისყრა დაიწყეს

**ფინალი**
იტალია 2
არგენტინა 1

**მესამე ადგილისთვის**
ბრაზილია 4
გერმანია 2

წინა „სარბიელში" ამ გვერდზე ბევრი თეთრი ლაქა იყო, მარსელში გამართულმა მსოფლიოს ჩემპიონატის წილისყრამ კი მას უკვე კვალი დაატყო. ღიად პლეი-ოფის ეტაპიღა რჩებოდა, დაპირებისამებრ აქ ჩვენეულ, შევსებულ ვარიანტს გთავაზობთ. ჩვენს პროგნოზს დიდი პრეტენზია ნამდვილად არ გააჩნია, უბრალოდ, ვცადეთ გაგვეგო, როგორი წინასწარმეტყველება შეგვიძლია. თქვენც შეგიძლიათ თავი გამოსცადოთ, ჩვენც გაგვეჯიბროთ და სხვებსაც.

| № | G ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რუმინეთი | | | | | | | | | | | |
| 2 | კოლუმბია | | | | | | | | | | | |
| 3 | ინგლისი | | | | | | | | | | | |
| 4 | ტუნისი | | | | | | | | | | | |

| № | H ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | არგენტინა | | | | | | | | | | | |
| 2 | იაპონია | | | | | | | | | | | |
| 3 | იამაიკა | | | | | | | | | | | |
| 4 | ხორვატია | | | | | | | | | | | |

# მესიუმეოსლავეზი ყველგან ყოჩაღოგენ

დასრულდა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის წლევანდელი თამაშები. გუნდები ასპარეზობის გაისად განაგრძობენ.

ჩვენს ჯგუფში მესამედ გაიმარჯვა ევროპის ვიცე-ჩემპიონმა იტალიამ. მისი მსხვერპლი ახლა შვედეთის გუნდი შეიქნა 92:81. ჩეხებმა ლატვიელები დაამარცხეს 77:69. ლატვიელებმა ჩვენსავით ვერცერთხელ გაიმარჯვეს.

### E ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 3 | 3 | 0 | 255:195 | 6 |
| იტალია | 3 | 3 | 0 | 272:225 | 6 |
| ჩეხეთი | 3 | 2 | 1 | 207:211 | 5 |
| შვედეთი | 3 | 1 | 2 | 218:242 | 4 |
| საქართველო | 3 | 0 | 3 | 226:235 | 3 |
| ლატვია | 3 | 0 | 3 | 227:257 | 3 |

*25 თებერვალს ითამაშებენ: ლატვია — საქართველო, შვედეთი — ჩეხეთი, თურქეთი — იტალია.*

### A ჯგუფი

სლოვაკეთი — სლოვენია 70:101, ბელგია — გერმანია 70:72, საბერძნეთი — ბულგარეთი 92:62

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სლოვენია | 3 | 3 | 0 | 255:217 | 6 |
| საბერძნეთი | 3 | 2 | 1 | 244:214 | 5 |
| გერმანია | 3 | 2 | 1 | 219:218 | 5 |
| ბელგია | 3 | 1 | 2 | 227:226 | 4 |
| ბულგარეთი | 3 | 1 | 2 | 221:250 | 4 |
| სლოვაკეთი | 3 | 0 | 3 | 211:252 | 3 |

*25 თებერვალს: სლოვენია — ბელგია, ბულგარეთი — სლოვაკეთი, გერმანია — საბერძნეთი.*

### B ჯგუფი

პორტუგალია — მაკედონია 64:87, რუმინეთი — პოლონეთი 70:81, რუსეთი — უნგრეთი 87:78

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 3 | 3 | 0 | 294:227 | 6 |
| უნგრეთი | 3 | 2 | 1 | 233:203 | 5 |
| მაკედონია | 3 | 2 | 1 | 239:252 | 5 |
| პოლონეთი | 3 | 1 | 2 | 213:218 | 4 |
| პორტუგალია | 3 | 1 | 2 | 211:248 | 4 |
| რუმინეთი | 3 | 0 | 3 | 196:238 | 3 |

*25 თებერვალს: მაკედონია — რუმინეთი, უნგრეთი — პორტუგალია, პოლონეთი — რუსეთი*

### C ჯგუფი

ინგლისი — უკრაინა 61:88, დანია — ისრაელი 76:95, ესპანეთი — ბელარუსი 101:53

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 3 | 3 | 0 | 276:195 | 6 |
| ისრაელი | 3 | 3 | 0 | 255:202 | 6 |
| უკრაინა | 3 | 1 | 2 | 216:209 | 4 |
| ინგლისი | 3 | 1 | 2 | 209:244 | 4 |
| ბელარუსი | 3 | 1 | 2 | 183:256 | 4 |
| დანია | 3 | 0 | 3 | 200:233 | 3 |

*25 თებერვალს: უკრაინა — დანია, ბელარუსი — ინგლისი, ისრაელი — ესპანეთი.*

### D ჯგუფი

ჰოლანდია — ბოსნია 76:81, ისლანდია — ხორვატია 74:82, ლიტვა — ესტონეთი 87:77

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბოსნია | 3 | 3 | 0 | 229:209 | 6 |
| ლიტვა | 3 | 2 | 1 | 241:203 | 5 |
| ხორვატია | 3 | 2 | 1 | 237:216 | 5 |
| ჰოლანდია | 3 | 1 | 2 | 223:242 | 4 |
| ესტონეთი | 3 | 1 | 2 | 228:254 | 4 |
| ისლანდია | 3 | 0 | 3 | 236:260 | 3 |

*25 თებერვალს: ბოსნია — ისლანდია, ესტონეთი — ჰოლანდია, ხორვატია — ლიტვა*

# ჩოგბურთი

# მარტინას შურისძიება

ფრანკფურტი. გერმანია. „ჩემპიონთა პირველობა". ტარდება დარბაზში ხალიჩაზე. საპრიზო ფონდი 1,6 მილიონი დოლარი.

ჯერ კიდევ ორი კვირის წინ, „ჩეიზის" მსოფლიოს ჩემპიონატზე მეოთხედფინალში მარი პირსთან წაგების შემდეგ მარტინა ჰინგისი ირწმუნებოდა, სასტიკად დავიღალე და რამდენიმე კვირა ჩოგანს არ გავეკარებიო, მაგრამ ფრანკფურტის ტურნირის ორგანიზატორებმა შვეიცარიელი ვუნდერკინდი მაინც აცდუნეს, ისევე როგორც საუკეთესოთა ათეულის კიდევ 6 წარმომადგენელი. შთამბეჭდავმა საპრიზო ფონდმა მარტო იანა ნოვოტნასა და მონიკა სელეშს ვერ აუბნია თავგზა, რომელთაც კლასიფიკაციისთვის მნიშვნელობის არმქონე ტურნირში ასპარეზობას დასვენება არჩიეს. ორგანიზატორებს პირველობაში შტეფი გრაფის მონაწილეობის დიდი იმედიც ჰქონდათ, მაგრამ რაკიღა ლეგენდარულმა გერმანელმა კიდევ ერთხელ გადადო დიდ ჩოგბურთში დაბრუნების ვადები, ისინიც მეორე თანამემამულით — ანკე ჰუბერითღა დაკმაყოფილდნენ.



ანკე ჰუბერს დაბადების დღეს ულოცავენ

ფრანკფურტის ტურნირი წელს პირველად ტარდება და მას იგივე ფორმატი აქვს, რაც ATP-ის მსოფლიოს ჩემპიონატს: 8 მონაწილე ორ ჯგუფად არის დაყოფილი. ნახევარფინალში თითოეულიდან ორი საუკეთესო გადის. თუ გამარჯვებული ტურნირის ყველა შეხვედრას მოიგებს, მას კვირას, ფინალის შემდეგ, 437 800 დოლარიან ჩეკს გადასცემენ. პირველ ჯგუფში მარტინა ჰინგისთან ერთად მოხვდნენ ფრანგი მარი პირსი, სამხრეთაფრიკელი ამანდა კუტცერი და გერმანელი ანკე ჰუბერი. მეორე ჯგუფში ორი ამერიკელის — ლინდსი დევენპორტისა და მერი ჯო ფერნანდესის გარდა ხორვატი ივა მაიოლი და რუმინელი ირინა სპირლეა არიან.

პირველი წრის შეხვედრებიდან ყველაზე დიდ ინტერესს ჰინგისისა და პირსის მატჩი იწვევდა. 17 წლის შვეიცარიელმა თამაში ძალზე ნერვიულად დაიწყო, მაგრამ თავის მხრივ მისი მეტოქეც ბევრს სცოდავდა. პირველი ხელის ბედი ტაი-ბრეიკზე გადაწყდა, რომელიც მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა იოლად, 7:2 მოიგო. ამის მერე მარტინამ საკუთარი თამაში იპოვა და მსოფლიოს ჩემპიონატზე განცდილი მარცხისთვის საათსა და 10 წუთში იძია შური — 7:6, 6:4.

ამავე ჯგუფის მეორე შეხვედრაში კუტცერმა მასპინძელი ანკე ჰუბერი დაამარცხა 6:3, 6:4.

მეორე ჯგუფში ჩეხოსლოვაკიანმა ლინდსი დევენპორტმა პირველი ხელი დათმო ირინა სპირლეასთან, მაგრამ მერე უკანა ხაზიდან ჩვეული მძლავრი დარტყმებით ზედიზედ ორი სეტი და მასთან ერთად მატჩიც მოიგო 5:7, 6:2, 6:3. როლან გაროსის წლევანდელმა გამარჯვებულმა, ხორვატმა ივა მაიოლიმ მერი ჯო ფერნანდესთან საქმე დიდხანს არ გაიგრძელა — 7:5, 6:3.

მეორე ტურში ჰინგისს კვლავ მიეცა შურისძიების შესაძლებლობა, როცა წლეულს მისი 5 მძლეველიდან კიდევ ერთს — ჩია სამხრეთაფრიკელ კუტცერს შეხვდა და მარტინამაც მეტოქეს სულ ბლღვირი ადინა — 50 წუთში 6:1, 6:2 მოუგო. აი, ანკე ჰუბერმა კი ხუთშაბათს საკუთარ თავს დაბადების დღეზე შესანიშნავი საჩუქარი უძღვნა — ახლახანს დამთავრებული მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტს, მარი პირსს კიდევ უფრო მცირე დროში — 47 წუთში აჯობა 6:3, 6:2. წლეულს წარუმატებლად მოასპარეზე ჰუბერი, რომელიც ამერიკის ღია პირველობის შემდეგ საუკეთესო ათეულიდანაც კი გავარდა, ტურნირის ორგანიზატორებმაც არ დაივიწყეს და 23 წლის მოსრულების აღსანიშნავად ამდენივე ყვითელი ვარდით დაასაჩუქრეს.

მეორე ტურში ჰინგისს არც დევენპორტი ჩამორჩა და მსოფლიოს ჩემპიონატზე წაგებისთვის თანამემამულე ფერნანდესის ჯავრი იყარა — 6:3, 6:2. ივა მაიოლიმ კი ირინა სპირლეას ნახევარფინალში გასვლის ყოველგვარი შანსი დაუკარგა — 6:3, 7:5.

პირველ ჯგუფში ორი ტურის შემდეგ საკმაოდ ჩახლართული სიტუაციაა: ორი გამარჯვების მქონე ჰინგისი ჰუბერთან მარცხის შემთხვევაში შეიძლება ნახევარფინალის გარეთ აღმოჩნდეს და, მეორეს მხრივ, ყველასგან დაბრიყვებულ პირსსაც არ დაუკარგავს ოთხეულში მოხვედრის შანსი, თუკი ბოლო ტურში კუტცერს აჯობებს.

| | | |
|---|---|---|
| 1. ჰინგისი | 2 | 0 |
| 2. ჰუბერი | 1 | 1 |
| 3. კუტცერი | 1 | 1 |
| 4. პირსი | 0 | 2 |

მეორე ჯგუფში ნახევარფინალისტების ვინაობა უკვე გაირკვა — შემდეგ წრეში დევენპორტი და მაიოლი იასპარეზებენ. პირველი ადგილის ბედს ისინი ბოლო ტურის პირად შეხვედრაში გადაწყვეტენ.

| | | |
|---|---|---|
| 1. მაიოლი | 2 | 0 |
| 2. დევენპორტი | 2 | 0 |
| 3. სპირლეა | 0 | 2 |
| 4. ფერნანდესი | 0 | 2 |

**ავთანდილ სვანიძე**

# ლარსონი ააფეთქეს



როდესაც მაგნუს ლარსონმა დევისის თასის ფინალში მსოფლიოს პირველი ჩოგნის — პიტ სამპრასის ძლევის მერე მესამე — მაიკლ ჩანგიც დაამარცხა დაძაბულ ბრძოლაში, ყოველგვარი ბატალიები დამთავრებული ეგონა, მაგრამ, როგორც ეტყობა, სხვები ასე არ ფიქრობდნენ. ამერიკელებთან ისტორიული — 5:0 გამარჯვების შემდეგ ლარსონმა გიოტებორგიდან 200 კილომეტრით დაშორებულ მშობლიურ ქალაქ ვექშოს მიაშურა და მანქანა თავისი ბინის ეზოში დააყენა. მეორე დილით ახლომახლო მცხოვრებნი აფეთქებამ გააღვიძა, თუმცა, ჩოგბურთელის მანქანას ძირზე მიმაგრებულ პატარა ბომბს არავინ დაუშავებია. ლარსონი ამ ფაქტით განცვიფრებული დარჩა, არც მე და არც გუნდის სხვა წევრებს არავინ დაგვმუქრებია და არც ის შემიმჩნევია, ვინმე დამდევნებოდაო. „აფეთქება კილომეტრზე და უფრო შორს ისმოდა, მაგრამ მე არც გამიგია, მკვდარივით მეძინა" — თქვა ლარსონმა მოგვიანებით. შვედს არც მანქანაზე დასწყვეტია მაინცდამაინც გული, თურმე წინა დღეს გიოტებორგში უქირავებია.

შვედეთის გუნდის კიდევ ერთმა წევრმა, 21 წლის მაგნუს ნორმანმა ორშაბათს გულის ხუთსაათიანი ოპერაცია გაიკეთა, თუმცა, მწყობრში ჩადგომას უკვე იანვრის დასაწყისში აპირებს.

რეგულარული ჩემპიონატი

# სამმაგი დუბლი 3 ოვერტაიმისთვის

3 დეკემბერი

**ბოსტონი 87:97 ჩიკაგო**

**ბოსტონი: უოლკერი (19 + 12 მოხსნა)**
**ჩიკაგო: ჯორდანი (29), კუკოჩი (15 + 11 პასი + 8 მოხსნა)**

ბოსტონმა ველარ გაიმეორა სენსაცია: აუტსაიდერად შერაცხულის მიერ თვით ჩიკაგოს ძლევა. გეხსომებათ ეს სეზონის სტარტზევე მოხდა. ამ თამაშში ჩიკაგოს საეჭვოდ არ გაუხდია თავისი უპირატესობა და დამაჯერებლად გაიმარჯვა. შერეკილმა როდმანმა 17 ბურთი მოხსნა ფარიდან, რონ ჰარპერმა ამ სეზონში ყველაზე მეტი — 18 ქულა მიითვალა. ჩიკაგოს სათადარიგოების ანგარიშზე მხოლოდ 16 ქულაა.



ჰიუსტონი — ატლანტა. უილისი მუტომბოსაც არად აგდებს

**მაიამი 94:90 ფილადელფია**

**მაიამი: ოსტინი (28), ჰარდევეი (20 + 11 პასი)**
**ფილადელფია: აივერსონი (21), უეზერსპუნი (14 + 13 მოხსნა)**

მაიამი მესამე მეოთხედში 60:47 იგებდა, მაგრამ ფილადელფიამ აივერსონის თავგამოდების წყალობით მონაკვეთი 16:3 მოიგო და ანგარიში 63:63 გახდა. ამის შემდეგ თამაში ისევ მაიამის კარნახით წარიმართა. იყოჩაღა 184-სანტიმეტრიანმა ტიმ ჰარდევეიმ, ხელი გამოიღო ისააკ ოსტინმაც. ბოლო წუთზე აივერსონი კვლავ ეცადა მატჩის გადარჩენას და სხვაობა 3 ქულამდე შეამცირა, მაგრამ ჰარდევეიმ საჯარიმო ჩააგდო და აივერსონის ნაოფლარი წყალს გაატანა.

**ნიუ ჯერსი 89:93 სიეტლი**

**ნიუ ჯერსი: კასელი (23), გილი (18)**
**სიეტლი: ბეიკერი (23), შრემპფი (17)**

**დენვერი 89:107 ლეიკერსი**

**დენვერი: ნიუმენი (19), ფორსტონი (16)**
**ლეიკერსი: კემპბელი (25 + 12 მოხსნა), ვან ექსელი (19)**

ლეიკერსს უშაკილოდაც არ გასჭირვებია საცოდავი დენვერის ძლევა. შაკილს მუცლის კუნთები დასჭიმეია და რამდენიმე თამაშს გამოტოვებს.

**მინესოტა 90:94 ინდიანა**

**მინესოტა: გარნეტი (25 + 10 მოხსნა), კარი (19)**
**ინდიანა: მილერი (27), ჯექსონი (12 + 11 პასი)**

**დეტროიტი 108:103 ფინიქსი**

3 ოვერტაიმი

**დეტროიტი: ჰილი (27 + 16 მოხსნა + 10 პასი), უილიამსი (21 + 17 მოხსნა), პანტერი (20 + 11 მოხსნა)**
**ფინიქსი: ჩეპმენი (22), კიდი (21 + 10 პასი), მაკლაუდი (15 + 10 მოხსნა + 8 პასი + 6 ჩაჭრა)**

მატჩი დაძაბულად დაიწყო და ასევე გაგრძელდა. ამას ისიც მოწმობს, რომ მეორე მეოთხედში კლიფ რობინსონს პირველი ტექნიკური ჯარიმა მისცეს, მერე მეორეც მიაყოლეს და მანაც სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა. ამასწინათ ფინიქს — პორტლენდის შეხვედრას ოთხი ოვერტაიმი დასჭირდა, ამ ჯერზე კი ფინიქსი სამს „დასჯერდა", თუმცა ახლა ველარ ივარგა და გამარჯვება გრანტ ჰილის დეტროიტს ერგო. თავად ჰილმა სეზონში მეორე, კარიერაში კი 26-ე სამმაგი დუბლი შეასრულა.

**იუტა 115:98 ტორონტო**

**იუტა: მელოუნი (23 + 15 მოხსნა), ანდერსონი (18)**
**ტორონტო: სტუდემაიერი (25), კრისტი (17)**

კარლ მელოუნი გასული კვირის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს.

**ვანკუვერი 97:101 ორლანდო**

**ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (24), ტორფი (19)**
**ორლანდო: სთრონგი (23), ჰარდევეი (22)**

**გოლდენ სტ. 67:95 კლივლენდი**

**გოლდენ სტეიტი: მარშალი (23 + 10 მოხსნა), დამპიე (10)**
**კლივლენდი: პერსონი (24)**

4 ნოემბერი

**კლიპერსი 100:96 სან ანტონიო**

ოვერტაიმი

**კლიპერსი: პიატკოვსკი (26), რაიტი (17)**
**სან ანტონიო: რობინსონი (25 + 12 მოხსნა), დანკანი (16 + 16 მოხსნა)**

კლიპერსმა სენსაცია მოახდინა — მოუგო დევიდ რობინსონის სან ანტონიოს, რომლისთვისაც ეს მარცხი სეზონში მერვე იყო. კლიპერსის იმდლევანდელი მესამე მოგება მეორე იყო ბოლო ოთხ თამაშში.

**დალასი 105:91 ნიუ იორკი**

**დალასი: ფინლი (27), რივზი (24), დევისი (20)**
**ნიუ იორკი: იუინგი (20 + 11 მოხსნა)**

დალასის გენერალურმა მენეჯერმა დონ ნელსონმა დაითხოვა მთავარი მწვრთნელი ჯიმ კლემონსი და თავად ჩაუდგა გუნდს სათავეში. შედეგმაც არ დაახანა და დალასმა პირველივე მატჩში დამაჯერებლად გაიმარჯვა.

**მილუოკი 102:92 შარლოტი**

**მილუოკი: ბრენდონი (24 + 11 პასი), ალენი (22)**
**შარლოტი: რაისი (27)**

**ვაშინგტონი 118:96 საკრამენტო**

**ვაშინგტონი: უებერი (26 + 14 მოხსნა), ჰოვარდი (22)**
**საკრამენტო: რიჩმონდი (26)**

ვაშინგტონმა ახალ მოედანზე მეორე მატჩიც მოიგო.

**ჰიუსტონი 94:87 ატლანტა**

**ჰიუსტონი: უილისი (31 + 15 მოხსნა), ბარკლი (25 + 13 მოხსნა + 7 პასი)**
**ატლანტა: სმითი (22), ბლეილოკი (20)**

შეიძლება ითქვას, ამ დღეს ჰიუსტონელთაგან მხოლოდ უილისი და ბარკლი თამაშობდნენ, სხვებს კაპიკის საღირალი არა გაუკეთებიათ რა. ამ ორმა ბრწყინვალედ გაუგო ერთმანეთს და ჰიუსტონმაც ზედიზედ მეშვიდედ მოიგო.

**ირაკლი ფირაშვილი**

### აღმოსავლეთის კონფერენცია

| | | | |
|---|---|---|---|
| ატლანტის დივიზიონი | | | |
| მაიამი | 11 | 5 | 68,8 |
| ორლანდო | 12 | 6 | 66,7 |
| ნიუ იორკი | 10 | 7 | 58,8 |
| ბოსტონი | 7 | 10 | 41,2 |
| ვაშინგტონი | 7 | 11 | 38,9 |
| ფილადელფია | 4 | 10 | 28,6 |
| ცენტრალური დივიზიონი | | | |
| ატლანტა | 15 | 3 | 83,3 |
| შარლოტი | 10 | 6 | 62,5 |
| კლივლენდი | 10 | 6 | 62,5 |
| ინდიანა | 9 | 6 | 60,0 |
| ჩიკაგო | 10 | 7 | 58,8 |
| მილუოკი | 10 | 7 | 58,8 |
| დეტროიტი | 7 | 11 | 38,9 |
| ტორონტო | 1 | 16 | 5,9 |

### დასავლეთის კონფერენცია

| | | | |
|---|---|---|---|
| შუა დასავლეთის დივიზიონი | | | |
| ჰიუსტონი | 10 | 5 | 66,7 |
| იუტა | 11 | 6 | 64,7 |
| სან ანტონიო | 10 | 8 | 55,6 |
| მინესოტა | 7 | 9 | 43,8 |
| ვანკუვერი | 7 | 12 | 38,9 |
| დალასი | 5 | 12 | 29,4 |
| დენვერი | 1 | 14 | 6,7 |
| წყნარი ოკეანის დივიზიონი | | | |
| ლეიკერსი | 14 | 2 | 87,5 |
| სიეტლი | 14 | 4 | 77,8 |
| ფინიქსი | 10 | 4 | 71,4 |
| პორტლენდი | 10 | 6 | 62,5 |
| საკრამენტო | 5 | 13 | 27,8 |
| კლიპერსი | 3 | 14 | 17,6 |
| გოლდენ სტეიტი | 1 | 14 | 6,7 |



ლატრელ სპრიუელი

# ვის ურტყამ, ბიჭო?

მრავალი საინტერესო რამ ხდება NBA-ში: რაიდერმა მაყურებელს შეაფურთხა, როდმანმა ფოტოკორესპონდენტი ქეცა, ახლა კი გოლდენ სტეიტელმა ლატრელ სპრიუელმა აალაპარაკა ხალხი: საკუთარი მთავარი მწვრთნელი პი ჯეი კარლესიმო გალახა. ამათში უთანხმოება 9 ნოემბერს დაიწყო, როცა ლეიკერსთან თამაშისას კარლესიმომ გუნდის ლიდერი სკამზე დასვა, ამან კი მწვრთნელს ჯამბაზი უწოდა. მწვრთნელზე აუგის თქმა მოთამაშეს არ აპატიეს და 10 მატჩში უხელფასოდ ათამაშეს. უფრო დიდი უსიამოვნება კი 2 დეკემბერს მოხდა: ვარჯიშისას სპრიუელმა კარლესიმოს გვარიანად დაუზილა გვერდები. მას უმალ შეუწყვიტეს 32-მილიონიანი 4-წლიანი კონტრაქტი, გუნდიდან გარიცხეს და ერთ წელიწადსაც აუკრძალეს NBA-ში თამაში.

## ფარიკაობა

# წელს აღარ გვაწვიმდა

**ჩვენი მოფარიკავეების ენთუზიაზმი მართლაც შესაშურია. აბა, ამათ უჭირთ თუ უჭირთ, მაგრამ ეს სიდუხჭირეც არად ჩააგდეს და წელს საქართველოს ჩემპიონატიც ჩაატარეს და ახლახან საქართველოს თასიც.**

ამ ტურნირში 150-მდე ქალმა და ვაჟმა იფარიკავა. თბილისელებს არც ბათუმელი და ქუთაისელი სპორტსმენები ჩამორჩნენ და საპრიზო ადგილებიც დაისაკუთრეს. საქართველოს თასის მფლობელნი გახდნენ: ხმალში — არჩილ ლორთქიფანიძე (თბილისი); რაპირაში — ირაკლი ღლონტი და ხათუნა ჭუმბურიძე (ორივე — თბილისი); დაშნაში — ნოდარ ბარავი (თბილისი) და რუსუდან გოგავა (ბათუმი). თუმცა, თასის მფლობელებს არათუ თასი, სიგელებიც თვალით არ უნახავთ. ამ უცნაურობის გამო კომენტარი ვთხოვე ფარიკაობის ფედერაციის გენერალურ მდივანს მორის სახვაძეს. როგორც ველოდი, ფინანსური სიდუხჭირე ისევ მთავარ პრობლემად რჩება ქართულ სპორტში. ჩემპიონატებისა და ტურნირების ჩატარებას კი ჩვენში ჯერ კიდევ შემორჩენილ ფარიკაობის ენთუზიასტებს უნდა ვუმადლოდეთ. ბატონ მორისის თქმით, ფარიკაობა მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში ელიტარულ და საკმაოდ ძვირადღირებულ სახეობადაა მიჩნეული, წლის განმავლობაში იქ გამართულ ტურნირთა რაოდენობას ვერც კი მოითვლით, სავარჯიშო პირობებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. რა გასაკვირია, ყოველივე ამას მოკლებული ჩვენი სპორტსმენები ხელმოცარულნი თუ ბრუნდებიან მათთვის იშვიათი საერთაშორისო ტურნირებიდან და ჩემპიონატებიდან. „ჩვენთვის ყველაფერი პრობლემაა, ინვენტარით დაწყებული, საფარიკაო დარბაზის გათბობით დამთავრებული. ეგ კი არა, საქართველოს თასის გათამაშებისას თბილისში ქუთაისელ და ბათუმელ მოფარიკავეთა სასტუმროთი უზრუნველყოფაც ვერ მოხერხდა. ოცი ათასი ლარი, რომელიც ფარიკაობის ფედერაციას უნდა გამოეყოს, ზღვაში წვეთიც არ არის, ამ თანხით ორიოდე სპორტსმენის წაყვანას თუ მოვახერხებთ საერთაშორისო ტურნირზე და მსოფლიოს ჩემპონატზე. დარბაზი რომ დარბაზია, ისიც წელს შეკეთდა სპორტდეპარტამენტის დახმარებით, თორემ შარშანდელი ჩემპიონატი ჭერჩამოქცეულ დარბაზში ჩავატარეთ" — ბრძანა ბატონმა მორისმა.

დასანანია, რომ სპორტის ამ ულამაზეს სახეობას სხვაზე მეტად უჭირს ჩვენში. თუმცა, დარბაზში ... წყდებოდა მორკინალ რაინდთა შეძახილები. ქართველი მოფარიკავეები მართლაც რაინდულად უმკლავდებიან სიძნელეებს...

ვერაფერს იტყვი, შესაშური ენთუზიაზმია!

**ხათუნა პაიჭაძე**

## მძლეოსნობა



სუსანთიკა ჯაიასინგჰე

მძლეოსანთა წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე შრილანკელთაგან ერთადერთმა მედალოსანმა — სუსანთიკა ჯაიასინგჰემ სამთვიანი შესვენების შემდეგ ვარჯიში განაახლა. შრის ლანკის მძლეოსნობის დიდმოხელეები შეპირებიან, ამიერიდან შენს სექსუალურ დენა-შევიწროებას აღარავის გავაბედვინებთო. სუსანთიკამ ათენის მსოფლიოს ჩემპიონატზე 200 მეტრი 22,39 წამში გაირბინა და ფავორიტ იამაიკელ მერლინ ოტის აჯობა, მაგრამ უკრაინელ ჟანა პინტუსევიჩს ჩამორჩა და მეორე ადგილზე გავიდა. დიდი სპორტული მიღწევების ნატრულ შრი ლანკაში ჯაიასინგჰე ეროვნულ გმირად შერაცხეს და... მისი საცოდაობაც აქედან დაიწყო: თაფლს მისეული ბუზებივით მიეძალნენ შეძლებული მთხოვნელები, არადა, სუსანთიკას ქმარი ჰყავს და, გაიგეთ, იმის გარდა არავინ მინდაო, ყველას ამას უმტკიცებდა. გაბეზრებულმა ქალმა ერთხელაც აღიარა, სპორტის სამინისტროს დიდი თანამდებობის პირი ცოლად გაყოლას მაიძულებდაო და ვარჯიში შეწყვიტა. სუსანთიკა ახლაც ნაწყენია, რამდენიმე დიდმოხელეს დაშინებაში, სიკვდილის მუქარასა და დევნაში დავდე ბრალი, მაგრამ ზომები არავის მიუღიაო, თუმცა, მთლად ასეც აღარ არის საქმე: მას მერე, რაც ათენში მოგებული 30 ათასი დოლარი პირად ანგარიშზე გადაურიცხეს და პოლიციის დაცვაც გამოუყვეს, სუსანთიკამ ამ დღეებში ვარჯიში განაახლა.

# დაანებეთ ჩემს ცოლს თავი!

## ცურვა

# ბარსელონა თუ ფუკუოკა?

ცურვის საერთაშორისო ფედერაციის (FINA) მოხელეთა თქმით, 2001 წელს ცურვაში მეცხრე მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის სურვილი მხოლოდ ბარსელონამ და ფუკუოკამ გამოთქვეს. თავიდან თითქოს კუალა ლუმპურს, ლონგ ბიჩსა და მოსკოვსაც იგივე სურდათ, მაგრამ განაცხადი მხოლოდ ზემოთ ნახსენებმა ორმა ქალაქმა წარადგინა. ბარსელონასა და ფუკუოკას შორის არჩევანს იანვარში, პერთის მერვე მსოფლიოს ჩემპიონატზე გეგმავენ.

## ველორბოლა

# ინგლისი საფრანგეთის რეპეტიციაა

1998 წლიდან დიდ ბრიტანეთში მოეწყობა ახალი, ცხრადღიანი ველორბოლა, რომლისთვისაც მასპინძლებს, მსოფლიოს საუკეთესო გუნდების მიზიდვის იმედით, 100 ათას გირვანქიანი (167 ათასი დოლარი) საპრიზო ფონდიც დაუწესებიათ. ბრიტანეთში პროფესიული ტური უკვე ოთხი წელია არ გამართულა და აკი ამ ცნობას ინგლისის საუკეთესო მრბოლი კრის ბორდმანი უმალაც გამოეხმაურა, ჩემს ფრანგულ გუნდთან ერთად აუცილებლად გამოვალ ამ შეჯიბრშიო: „ეს რბოლა საუკეთესო საშუალება იქნება „ტურ დე ფრანსისთვის" მოსამზადებლად, ასე რომ, მისით დიდი პროფესიული გუნდებიც დაინტერესდებიან". სწორედ ამის იმედი აქვს ახალი წამოწყების თავკაცს ალან რუშტონსაც, რომლის თქმით, უკვე დაიწყო მოლაპარაკებები მსოფლიოს საუკეთესო გუნდებთან ინგლისურ რბოლაში მონაწილეობის მისაღებად.

ვარაუდობენ, რომ 1335 კილომეტრზე თვრამეტი ექვსკაციანი გუნდი იასპარეზებს. ყველაზე გრძელი, 209-კილომეტრიანი ეტაპი მეორე იქნება — ედინბურგიდან ნიუკასლამდე. ინგლისური ტური ლონდონში დასრულდება წრიული რბოლით, რომლის ფინიში მისი დამფინანსებელი სადაზღვევო კომპანიის „პრუდენშალის" შენობასთან მოეწყობა.

ტურის განრიგი

23 მაისი — სტირლინგი, სიჩაუქის გამოცდა
24 მაისი — ედინბურგიდან ნიუკასლამდე
25 მაისი — გეითსჰედიდან იორკამდე
26 მაისი — მანჩესტერიდან ბლექპულამდე
27 მაისი — ჩესტერიდან ნოტინგემამდე
28 მაისი — ბირმინგემიდან კარდიფამდე
29 მაისი — ბრისტოლიდან რედინგამდე
30 მაისი — ჩესინგტონიდან მედვეიმდე
31 მაისი — ლონდონი, წრიული რბოლა.

ამ ბოლო ხანს დიდი კამათი გაჩაღდა სპორტსმენთა სქესის შესახებ. სპორტში დასაქმებული ავტორიტეტული მედიკოსი-ექსპერტები სქესის განმსაზღვრელი ტესტის გაუქმებას მოითხოვენ, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლები კი ირწმუნებიან, უახლოეს მომავალში შეუძლებელი გახდება ქალებისა და კაცების შეჯიბრებების ცალ-ცალკე მოწყობაო. დავა განსაკუთრებით ახლა გამძაფრდა, რადგან ნაგანოს ოლიმპიადის დაწყებამდე ორი თვეღა დარჩა.

# მოდი, ვნახოთ სქესი

სოკ-ის დოპინგის ექსპერტს არნე ლიუნგკვისტს მიაჩნია, რომ ახლა გავრცელებული ქრომოსომური ტესტი, რომელსაც 1968 წლის მეხიკოს ოლიმპიადიდან მოყოლებული ყველა სპორტსმენ ქალს უტარებენ შეჯიბრებების წინ, გენეტიკის სწრაფი განვითარების გამო ძალზე მოძველდა. მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის თავკაცებსაც მიაჩნიათ, რომ 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადამდე ეს ტესტი ან უნდა გააუმჯობესონ, ანაც სულ გააუქმონ. მაგრამ სოკ-ის სამედიცინო სამსახურის შეფმა პრინცმა ალექსანდრ დე მეროდმა განაცხადა, სოკ-ი ამ სადავო საკითხზე აზრის შეცვლას არ აპირებსო. „სქესი იგივეა, რაც წონა კრივში: თუ დარწმუნებული არა ხარ, რომ მავანი ამ თუ იმ კატეგორიას ეკუთვნის, მაშინ რაღა აზრი აქვს ყოველგვარ დაყოფას" — განაცხადა სოკ-ის ერთმა ჩინოსანმა.

ლიუნგკვისტის თქმით, ატლანტის ოლიმპიადაზე ტესტირებულთაგან ბევრი ერთობ უკმაყოფილო დარჩა და სოკ-ს მისი გაუქმება მოსთხოვა. შვედი ექსპერტის აზრით, ტესტს შეცვლა სჭირდება, რადგანაც ზოგ კაცს ქალური ქრომოსომები გააჩნია და პირიქით. ატლანტის ოლიმპიადაზე 400-დან 1 ქალს მაინც მამაკაცის მაჩვენებლები ჰქონდა და ყველაფერი ცხადლივ შემოწმება-დათვალიერების მერეღა გაირკვა.

## ნაგანო 98

# გრძელი ზავი

როგორც იქნა, დასრულდა ნაგანოს ზამთრის ოლიმპიადის სწრაფდაშვების ტრასის გამო დავა, რომელიც აგერ უკვე ხუთი წელია, გრძელდებოდა — საორგანიზაციო კომიტეტის გეგმით ტრასის სიგრძე 1680 მეტრი უნდა ყოფილიყო, სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციას (FIS) კი მიაჩნდა, რომ 1800 მეტრზე ნაკლები ერთობ მცირე იქნებოდა. მოდავენი ლამის სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდა, მაგრამ კომიტეტის თავკაცი — მაკოტო კობაიაში მაინც თავისაზე იდგა. მისი თქმით, დისტანციის გაზრდის შემთხვევაში ტრასა ეროვნული პარკის ტერიტორიაზე იჭრებოდა, რაც გარემოს დაცვის წესებს უგულებელყოფდა. კობაიაში იმას კი ვერაფრით ხსნიდა, იმავე წესებს რატომ არღვევდა ეროვნულ პარკში ყოველწლიურად მოსრიალე 600 ათასი ტურისტი. რაკიღა მეორე მხარე ვერანაირ კომპრომისზე ვერ დაითანხმა, რამდენიმე კვირის წინ კომიტეტი დისტანციის 1740 მეტრამდე გაზარდას დაყაბულდა, მაგრამ ფედერაციამ ესეც იცოტავა.

ოლიმპიადის გახსნამდე ორთვენახევრით ადრე დავა კვლავ მოუგვარებელი იყო და იაპონიის ოლიმპიური კომიტეტის თავკაცმა ჰირონოშინ ფურუჰაშიმ სასწრაფოდ შექმნა ხუთკაციანი კომიტეტი, მეთაურობაც თავად იკისრა და ტრასის სიგრძედ 1765 მეტრი დაადგინა. „ეს დისტანცია საკმარისი იქნება ოლიმპიური გამოცდისთვის და თან არც გარემოს დაცვის წესები დაირღვევა" — თქვა პრესკონფერენციაზე ფურუჰაშიმ.

გადაწყვეტილებას კვირის ბოლოს FIS-ი და სოკ-ი დაამტკიცებენ, მაგრამ FIS-ის გენერალური მდივნის ჯანფრანკო კასპერის აზრით, ეს უბრალოდ ფორმალობაა, რადგან კომპრომისის მისაღწევად ისინი თავად დათანხმდნენ დისტანციის მცირედით შემოკლებაზე.

ტრასის გაზრდა თავის მხრივ საასპარეზო დროსაც გაზრდის 12-14 წამით, რაც თითქმის გაუთანაბრდება სწრაფდაშვებაში ლილეჰამერის ოლიმპიადაზე ნაჩვენებ შედეგებს — წუთსა და 45 წამს.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია

## "CROCO"

**ჩემპიონთა ლიგა. VI ტური.**

9 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სპარტა — დორტმუნდი | 2,8 | 2,8 | 2,1 |
| გალათასარაი — პარმა | 4,2 | 3,1 | 1,6 |
| კოშიცე — ფეიენოორდი | 3,8 | 3,0 | 1,7 |
| იუვენტუსი — მანჩესტერ იუნაიტედი | 1,6 | 3,1 | 4,2 |
| ეინდჰოვენი — ბარსელონა | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| ნიუკასლი — დინამო | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| რეალი — პორტუ | 1,1 | 5,3 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 3,5 |
| ოლიმპიაკოსი — რუსენბორგი | 2,8 | 2,8 | 2,1 |
| ბაიერნი — გიოტებორგი | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 3,5 |
| პარი სენ ჟერმენი — ბეშიქთაში | 1,1 | 5,3 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 3,5 |
| სპორტინგი — ლიერსი | 1,4 | 3,1 | 6,5 |
| ლევერკუზენი — მონაკო | 1,6 | 3,0 | 4,4 |

**უეფას თასი. მერვედფინალი.** საპასუხო მატჩები.

9 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სპარტაკი — კარლსრუე | (1,5-2,0) | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| ბოხუმი — აიაქსი | (5,0-1,1) | 2,2 | 2,8 | 2,6 |
| შალკე — ბრაგა | (1,05-7,5) | 1,1 | 5,3 | 10,0 |
| ლაციო — რაპიდი | (— -30,0) | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| ოსერი — ტვენტე | (1,01-15,0) | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| ატლეტიკო — კროაცია | (1,1-5,0) | 1,3 | 3,6 | 6,5 |
| ინტერი — სტრასბური | (1,8-1,6) | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| ასტონ ვილა — სტიაუა | (1,35-2,5) | 1,3 | 3,6 | 6,5 |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში,
ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში,
პუშკინის ქუჩა 16;
კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე.

# სადღაა ფულის შოვნის ჯანი...



კენ ტირელი

კენ ტირელი უხუცესია ფორმულა 1-ის გუნდების მფლობელთა შორის და იმით არის ცნობილი, რომ დიდად არ იწუხებს თავს სპონსორთა ძებნით. ამის გამო მისი გუნდი ბოლო წლებში მუდმივ ფინანსურ გაჭირვებას განიცდიდა, მოხუცი კენი კი მის ხელიდან გაშვებას არ აპირებდა. მაგრამ, როგორც ჩანს, დრომ თავისი მოიტანა და გაჩნდა ცნობა, რომ „ტირელი" „ბრიტიშ ამერიკან რეისინგის" ხელში გადავიდა.

ახალი გუნდი „ბრიტიშ ამერიკან ტობაკოს", „რეინარდ რეისინგ ქარს" და ჟაკ ვილნევის მენეჯერის კრეიგ პოლოკის მიერ შექმნილი ერთობლივი საწარმოა და 1999 წლიდან თავისი საკუთარი („რეინარდის") შასით აპირებს მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობას. როგორც ამბობენ, მოსალოდნელია, რომ პირველ პილოტად ჟაკ ვილნევი ვიხილოთ, რომელმაც სწორედ „რეინარდის" შასით გაიმარჯვა „ინდიკარის" მსოფლიო სერიაში.

## ავტორბოლა

„ბელგიის დიდი პრიზი" შეიძლება თამბაქოს რეკლამის აკრძალვის პირველი მსხვერპლი გახდეს. ბელგიის მთავრობამ მიიღო კანონი თამბაქოს რეკლამის აკრძალვის თაობაზე.

ამის გამო საფრთხეში აღმოჩნდა სპა-ს ტრასაზე რბოლის გამართვა. არადა, ეს ეტაპი ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოს ჩემპიონატში და პილოტთა უმრავლესობასაც მოსწონს არდენების ტრასა.

# პირველი მსხვერპლი?

კანონი 1999 წლის 1 იანვარს შედის ძალაში და, როგორც ადგილობრივი მთავრობა აცხადებს, ერთი წელი საკმარისი დროა, რათა რბოლის ორგანიზატორებმა ახალი სპონსორები მოიძიონ.

ფიას ხელმძღვანელობა კი ფიქრობს, რომ თამბაქოს რეკლამის აკრძალვის გამო ფორმულა 1-ის ჩემპიონატის უმეტესი ეტაპი აღმოსავლეთ ევროპის, ამერიკისა და აზიის ქვეყნებში ჩაატაროს. აზიაში განლაგებული ტრასების მფლობელები მზად არიან, თუნდაც დღესვე უმასპინძლონ რბოლას.

# სტიუარტებს არაფრის ეშინიათ

ფიამ „სტიუარტ-ფორდის" ხელმძღვანელობას მოსთხოვა, დაედასტურებინა, რომ 1998 წლის ყველა ეტაპში მიიღებს მონაწილეობას. ამის მიზეზი გახდა ცნობა იმის შესახებ, რომ გუნდმა მალაიზიის მთავრობისგან 8 მილიონი დოლარი შემოსავალი დაკარგა ამ აღმოსავლურ ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისის გამო.

გუნდის შეფის ჯეკ სტიუარტის თქმით, ამ სეზონში არავითარი ფინანსური პრობლემა არ შეექმნებათ. ამასთან „სტიუარტი" „ფორდის" საფირმო გუნდი გახლავთ და ტექნიკურ თანამშრომლობასთან ერთად ეს კომპანია ფინანსურადაც უწყობს ხელს გუნდს. ასე რომ, ბარიჩელოს და მაგნუსენს წინააღმდეგობები არ მოელით და ყველა ეტაპზე მოსინჯავენ ძალას.



ჯეკი სტიუარტმა ვაჟიც საქმეში ჩაიყენა და ხშირადაც ეთათბირება

რეგულარული ჩემპიონატი

# მეკარის დღე

**პიტსბურგი — ნიუ ჯერსი 0:4**

**შაიბები: გერინი 2 (0:1), ელიაში 10 (0:2), მორისონი 1 (0:3), კარპენტერი 5 (0:4).**

ამ მატჩს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ თვალსაზრისით, რომ გამარჯვებული აღმოსავლეთში ლიდერობას იგდებდა ხელთ. გუნდები თავიდანვე ფხიზლობდნენ და უფრო თავიანთი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ. ნათელი იყო: უპირატესობას ის მოიპოვებდა, ვინც მეტოქის შეცდომით ისარგებლებდა. ამიტომაც იყო, რომ ნიუჯერსელი გერინის გოლმა, რომელიც მან პირველი პერიოდის მიწურულს გაიტანა, მთლიანად განაპირობა მატჩის შემდგომი მსვლელობა. მასპინძლებმა ველარაფერი მოახერხეს, მით უმეტეს, რომ „ეშმაკთა" კარს კვლავ ბრწყინვალედ იცავდა მარტინ ბროდო. მან 28 დარტყმა მოიგერია, სეზონში მე-3 „მშრალი" მატჩი (სულ — 25) მიითვალა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ კანადის ოლიმპიურ ნაკრებში რუას ღირსეული კონკურენტი იქნება. 25 წლის ყოჩაღ მეკარეს გარჯაც ერთობ დაუფასდა: იგი ნოემბრის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს.

**3 დეკემბერი. კაროლინა — აილენდერსი 5:3, ბუფალო — ანაჰაიმი 4:0, მონრეალი — ლოს ანჯელესი 2:0, ფილადელფია — ბოსტონი 0:3, ტამპა — ფინიქსი 2:1, დალასი — ედმონტონი 4:1, კალგარი — დეტროიტი 3:4.**

**4 დეკემბერი. ოტავა — ლოს ანჯელესი 3:2, ჩიკაგო — კოლორადო 1:2, სენტ ლუისი — ტორონტო 4:3, ვანკუვერი — სან ხოსე 2:3.**



ლიგის აწმყო და მომავალი ერიკ ლინდროსი (88) და ჯო ტორნტონი ერთურთის წინააღმდეგ

ეს დღეები გოლკიპერებისა იყო. მათ დაჯაბნეს ლიგის მრისხანე ფორვარდები.

ბოსტონელმა დაფომ ფილადელფიის „დუმის ლეგიონს" არათუ გაბრწყინების, გოლის გატანის საშუალებაც კი არ მისცა. „დათვებს" განსაკუთრებით მეორე მესამედში გაუჭირდათ, როცა მასპინძლები შტურმზე გადავიდნენ. მესამე პერიოდში კი მოხდა ის, რასაც ბოსტონის ქომაგები დიდხანს ელოდნენ. 1997 წლის დრაფტის პირველმა ნომერმა ჯო ტორნტონმა 21 უხეირო მატჩის შემდეგ, როგორც იქნა, გახსნა ნჰლ-ში თავისი პირადი ანგარიში, თანაც მისი გოლი გადამწყვეტი გამოდგა. დაფომ კი თავის კარიერაში მე-4 „შათაუტი" მიითვალა.

ასევე მშრალად შეინახეს კარი სახელოვანმა ჰაშეკმა და მონრეალელმა ტიბომ. საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ სამი კვირის წინ ბუფალოს მწვრთნელებმა ჩეხი გოლკიპერი თადარიგში გადაიყვანეს, რამაც ჰაშეკი გამოაფხიზლა. ამჯერად მან 29 დარტყმა მოიგერია, მისმა პარტნიორებმა კი ოთხი გოლი გაუტანეს აშშ-ის ოლიმპიური ნაკრების მეკარეს — გი ებერს.

მონრეალმა ლოს ანჯელესთან შეხვედრაში მეორე პერიოდის მიწურულსღა ამოისუნთქა შვებით, როცა დამფუსმა ანგარიში გახსნა — მანამდე კანადელებს თითქმის 105 წუთის განმავლობაში ვერ გაეტანათ გოლი. ამას რექის მე-13 შაიბა და ტიბოს საუცხოო თამაში (35 მოგერიება) დაემატა და მონრეალი კვლავ გაუთანაბრდა დივიზიონის ლიდერ პიტსბურგს. ამის შემდეგ „მეფეებს" ოტავასთანაც მოეცარათ ხელი. თავიდან მასპინძლები 3:1 იგებდნენ, თანაც ხანგრძლივი უგოლობის შემდეგ მაკიჩერნმაც (10) გამოილო ხელი, მაგრამ ბოლო წუთზე სტუმართა ფორვარდმა რობიტაილმა შეამცირა ანგარიში, შემდეგ კი მსაჯებმა შტუმპელის გოლი არ ჩათვალეს და „სენატორებმა" ძლივს შეინარჩუნეს ორი ქულა.

დასავლეთის ლიდერებმა კი ვაიმარჯვეს, მაგრამ დალასის გარდა თითქმის ყველას გაუჭირდა.

დეტროიტი, ცხადია, არ ელოდა კალგარის მედგარ წინააღმდეგობას. ლიდსტრიომისა (11) და ჯილკრისტის გოლების წყალობით იგი თავიდანვე დაწინაურდა, მაგრამ სტუმრები დანებებას არ აპირებდნენ და იმდენი მოახერხეს, რომ უმცირესობაში გაიტანეს. „წითელფრთიანები" რომ გამარჯვებულნი დაბრუნდნენ შინ, ეს მათი „მეომრის" — კოშურის დამსახურებაა, რომელსაც გოლეადორობა სულაც არ ევალება, მაგრამ საჭირო დროს ესეც ემარჯვება.

კოლორადოსა და ჩიკაგოს მატჩმა იმით მიიპყრო ყურადღება, რომ საოლიმპიადოდ არჩეული 16 მოთამაშე (9 კოლორადოელი და 7 ჩიკაგოელი) ეპაექრებოდა ერთმანეთს. მათგან კი აღნიშვნის ღირსი მხოლოდ კოლორადოელი რუა გახლდათ, რომლის ძალისხმევითაც მოიგო „ეველანშმა". ისე ჩიკაგოელთა გამარჯვება უფრო სამართლიანი იქნებოდა, რადგან ისინი უკეთ გამოიყურებოდნენ და გაცილებით მეტი საგოლე შანსიც ჰქონდათ.

დერეკ კინგმა, რაც აილენდერსიდან ტორონტოში გადავიდა, თავისი საუკეთესო მატჩი ჩაატარა და სენტ ლუისთან გამართულ შეხვედრას ინტრიგა ბოლო წუთებამდე შეუნარჩუნა. ფაქტობრივად, სტუმრებს არანაირი შანსი არ ჰქონდათ — მესამე პერიოდის წინ 1:4 აგებდნენ, მაგრამ კინგმა ორი ზუსტი დარტყმით კარიერაში მე-7 ჰეთ-თრიქი შეასრულა და ამას ლამის კიდევ ერთი მიაყოლა. სენტლუისელმა კონროიმ ზედიზედ მეორე მატჩში იძალა და კვლავ 3 (1+2) ქულა მიითვალა.

ლიდერთაგან მხოლოდ დალასი გაუმკლავდა იოლად ედმონტონს. ამ მატჩში დალასელებს მაიკ მოდანო დაუშავდათ, სავარაუდოდ, იგი 4-6 კვირას ვერ ითამაშებს. მასპინძლებმა უმალ მოუზლეს სტუმრებს, კერძოდ, ედმონტონელ მარჩმენტს მოდანოს ტრავმისათვის — ორი შაიბა გაიტანეს და უკვე მე-15 წუთისთვის გადაწყვიტეს მატჩის ბედი.



დალასელი მოდანო (9) ედმონტონელმა მარჩმენტმა მძიმედ დააშავა

სან ხოსემ, რომელიც ლიგას ხშირად სთავაზობს სიურპრიზებს, ათამაშებულ ვანკუვერს მოუგო. საამისოდ მას მეორე პერიოდში სულ ხუთი წუთი დასჭირდა, რომლის განმავლობაშიც კალიფორნიელებმა სამჯერ შეაგდეს. რაც შეეხება ვანკუვერის ლიდერებს, მათ ამჯერად უფერულად ითამაშეს, ერთ-ერთ მათგანს, პაველ ბურეს კი 10-მატჩიანი ქულიანი სერია შეუწყდა.

კოლორადოელმა ჯო საკიკმა კარიერაში 850-ე ქულა დააგროვა, ნიუჯერსელმა სკოტ სტივენსმა — 750-ე, ხოლო დეტროიტელმა შენაჰანმა — მე-700. ფილადელფიელმა ლეკლერმა მე-200 პასი მიითვალა, დეტროიტის სახელოვანმა მცველმა ლარი მერფიმ კი 816 პასი გააკეთა და ლიგის ისტორიაში მე-17 ადგილზე გადაინაცვლა. იგი კვალდაკვალ მიჰყვება თავის პარტნიორს — აიზერმანს.

**სამეულ ლარიბიანი**

ბომბარდირები: მოდანო (დალასი) 38(15+23), ფორსბერგი (კოლორადო) 37(9+28), ლეკლერი 35(20+15), ლინდროსი (ორივე ფილადელფია) 34(10+24), ლაფონტენი (რეინჯერსი) 33(15+18), კორსონი (მონრეალი) 33(11+22), სელიანე (ანაჰაიმი) 31(23+8), ბონდრა (ვაშინგტონი) 31(19+12), ბურე (ვანკუვერი) და საკიკი (კოლორადო) 31(15+16), რაიჩელი (აილენდერსი) 30(12+18), ტკაჩუკი (ფინიქსი) 29(16+13), ჰალი (სენტ ლუისი) 29(14+15), რექი (მონრეალი) 29(13+16), ფრენსისი (პიტსბურგი) და შტუმპელი (ლოს ანჯელესი) 29(8+21)

გოლები: სელიანე 23, ლეკლერი 20, ბონდრა 19, ტკაჩუკი 16, პერო (ლოს ანჯელესი), კაპანენი, საკიკი, ლაფონტენი, მოდანო 15

პასები: ფორსბერგი 28, ლინდროსი 24, მოდანო 23, კორსონი 22, ფრენსისი, შტუმპელი და ოუთსი (ვაშინგტონი) 21, კოიფუ (მონრეალი) და ჯენი (ფინიქსი) 20

+/- (ნაყოფიერების კოეფიციენტი): ციპლაკოვი (ლოს ანჯელესი) 17, ჰოლიკი (ნიუ ჯერსი) 16, ლარიონოვი (დეტროიტი), ნუმინენი (ფინიქსი), პერო (ლოს ანჯელესი) და ზუბრუსი (ფილადელფია) 15

გოლკიპერები: ბროდო (ნიუ ჯერსი) 1,75 გოლი ერთ მატჩში, ბელფორი (დალასი) 1,91, ფიური (სენტ ლუისი) 2.03, ჰექსტოლი (ფილადელფია) 2,04, ტაგნატი (ოტავა) 2,08, ოსგუდი (დეტროიტი) 2,16, ტიბო (მონრეალი) 2,21

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| მონრეალი | 29 | 16 | 3 | 10 | 87:68 | 35 |
| პიტსბურგი | 30 | 15 | 5 | 10 | 83:75 | 35 |
| ბოსტონი | 29 | 12 | 5 | 12 | 70:78 | 29 |
| კაროლინა | 29 | 12 | 4 | 13 | 80:80 | 28 |
| ოტავა | 29 | 12 | 4 | 13 | 75:72 | 28 |
| ბუფალო | 26 | 8 | 6 | 12 | 68:74 | 22 |
| **ატლანტიკა** | | | | | | |
| ნიუ ჯერსი | 27 | 18 | 0 | 9 | 78:49 | 36 |
| ფილადელფია | 29 | 15 | 5 | 9 | 80:66 | 35 |
| ვაშინგტონი | 28 | 14 | 4 | 10 | 83:73 | 32 |
| აილენდერსი | 28 | 11 | 4 | 13 | 75:79 | 26 |
| რეინჯერსი | 29 | 8 | 9 | 12 | 73:79 | 25 |
| ფლორიდა | 27 | 8 | 5 | 14 | 63:80 | 21 |
| ტამპა | 26 | 5 | 4 | 17 | 52:87 | 14 |
| **ცენტრი** | | | | | | |
| დალასი | 30 | 19 | 4 | 7 | 99:66 | 42 |
| დეტროიტი | 29 | 18 | 5 | 6 | 97:66 | 41 |
| სენტ ლუისი | 29 | 17 | 3 | 9 | 85:65 | 37 |
| ფინიქსი | 27 | 13 | 2 | 12 | 77:75 | 28 |
| ჩიკაგო | 28 | 10 | 4 | 14 | 60:71 | 24 |
| ტორონტო | 26 | 8 | 4 | 14 | 53:74 | 20 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | |
| კოლორადო | 29 | 15 | 8 | 6 | 86:71 | 38 |
| ლოს ანჯელესი | 28 | 12 | 5 | 11 | 87:76 | 29 |
| ანაჰაიმი | 30 | 11 | 6 | 13 | 68:83 | 28 |
| სან ხოსე | 30 | 10 | 2 | 18 | 76:93 | 22 |
| ვანკუვერი | 28 | 9 | 4 | 15 | 79:93 | 22 |
| ედმონტონი | 29 | 8 | 6 | 15 | 67:90 | 22 |
| კალგარი | 29 | 6 | 7 | 16 | 73:91 | 19 |

2 დეკემბერს ნაგანოს ოლიმპიადაზე მოასპარეზე ქვეყნებმა წარადგინეს ნჰლ-ში მოთამაშე იმ ჰოკეისტთა რიცხვი, რომლებიც ამ უმნიშვნელოვანეს ტურნირზე მათ ღირსებას დაიცავენ.

საბოლოოდ, 9 ეროვნული გუნდის პროფესიონალთა რაოდენობამ 125-ს მიაღწია. ოლიმპიადას უთუოდ დაამშვენებენ კანადელი გრეცკი, ამერიკელი ჰალი, რუსი ბურე, ჩეხი იაგრი და სხვა სახელგანთქმული ჰოკეისტები.

# ლიგა ნაგანოსთვის ემზადება

**ამერიკელები**

ამერიკელებმა ყველაზე ადრე დაასახელეს 17 მოთამაშე და იმათ ძიებაში იყვნენ, ვისაც დარჩენილი 6 ვაკანსია უნდა შეევსო. როგორც ვარაუდობდნენ, „რეინჯერი" პეტ ლაფონტენი და ნიუჯერსელი ბილ გერინი მაინც მოხვდნენ განაცხადში. აშშ-ის ნაკრების ღირსებას აგრეთვე დაიცავენ გოლკიპერი გი ებერი (ანაჰაიმი), მცველები ბრაიან ბერარდი (აილენდერსი) და კიტ კარნი (ჩიკაგო), ფორვარდი შონ მაკიჩერნი (ოტავა).

**რუსები**

რუსებს ბოლო მომენტამდე იმედი ჰქონდათ, რომ დეტროიტელი ფიოდოროვით გააძლიერებდნენ თავიანთ ნაკრებს, მაგრამ მეამბოხე ფორვარდმა ისინი უარით გააწბილა.

ახლახან გუნდს სამი თავდამსხმელი — სერგეი კრივოკრასოვი (ჩიკაგო), ალექსეი მოროზოვი (პიტსბურგი) და ვალერი ბურე (მონრეალი) დაემატა, მესამე გოლკიპერად კი რუსეთის ჩემპიონატში მოთამაშე რომელიმე მეკარეს აირჩევენ.

**ჩეხები**

ამ ქვეყნის ეროვნულ გუნდს ნჰლ-ის ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდი, პიტსბურგელი იარომირ იაგრი და შარშანდელი სეზონის უძვირფასესი მოთამაშე, გოლკიპერი დომინიკ ჰაშეკი (ბუფალო) გაუძღვებიან. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ჩეხთა განაცხადში პროფესიონალთა რაოდენობა ერთობ დაბალი — მხოლოდ 12-ია. გარდა ზემოხსენებული ვარსკვლავებისა, ოლიმპიადაზე ითამაშებენ:

მცველები: რომან ჰამრლიკი (ტამპა), ირჟი შლეგრი (პიტსბურგი), რიჰარდ შმეჰლიკი (ბუფალო), პეტრ სვობოდა (ფილადელფია)

თავდამსხმელები: მარტინ პროჰაზკა (ტორონტო), ვაცლავ პროსპალი (ფილადელფია), რობერტ რაიჩელი (აილენდერსი), მარტინ რუჩინსკი (მონრეალი), მარტინ სტრაკა (პიტსბურგი), ვლადიმირ ვუიტეკი (ტამპა).

აღსანიშნავია, რომ განაცხადში ვერ მოხვდნენ ისეთი ძლიერი ცენტრფორვარდები, როგორებიც არიან რობერტ ჰოლიკი (ნიუ ჯერსი) და მიჰალ პივონკა (ვაშინგტონი).

**შვედები**

აღმოსავლეთევროპელთაგან განსხვავებით, სკანდინაველები ოლიმპიადაზე სრული ძალებით იასპარეზებენ. შვედებმა 30-ზე მეტი ნჰლ-ელი თეისტომისგან 18 უძლიერესი აირჩიეს. მათი ჩამოთვლაც კი საკმარისია, რომ ეს გუნდი ტურნირის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად მივიჩნიოთ.

გოლკიპერი ტომ სალო (აილენდერსი)

მცველები: ტომი ალბელინი (კალგარი), კალე იოჰანსენი (ვაშინგტონი), ნიკლას ლიდსტრომი (დეტროიტი), მატიას ნორსტრიომი (ლოს ანჯელესი), მატიას ოლუნდი (ვანკუვერი), მარკუს რაგნარსონი (სან ხოსე) და ულფ სამუელსონი (რეინჯერსი)

თავდამსხმელები: დანიელ ალფრედსონი (ოტავა), მიქაელ ანდერსონი (ტამპა), პეტერ ფორსბერგი (კოლორადო), ანდრეას იოჰანსონი (პიტსბურგი), მიქაელ ნიულანდერი (კალგარი), მიქაელ რენბერგი (ტამპა), თომას სანდსტრიომი (ანაჰაიმი), მატს სუნდინი (ტორონტო), ნიკლას სუნდსტრიომი (რეინჯერსი)

გუნდის ხელმძღვანელთა ერთადერთი საზრუნავი, ფაქტობრივად, გოლკიპერ ტომი სალოს ღირსეული შემცვლელის ძებნა იქნება. საამისოდ მათ ევროპაში მოთამაშე მეკარეთა შეთვალიერება მოუწევთ.

**ფინელები**

ფინელები ნჰლ-ში ისეთ მნიშვნელოვან და სოლიდურ ძალას არ წარმოადგენენ, როგორსაც მათი მეზობლები, მაგრამ მაინც მოუყარეს თავი 14 ჰოკეისტს. მათ შორის არიან ფინეთის ჰოკეის ცოცხალი ლეგენდები — იარი კური (კოლორადო) და ესა ტიკანენი (ფლორიდა). „სუომის" გოლკიპერთაგან არც ერთი იქნება ნჰლ-ელი.

მცველები: აკი-პეტერი ბერგი (ლოს ანჯელესი), ტუომას გრენმანი (პიტსბურგი), იანე ლუკანენი (ოტავა), იურკი ლუმე (ვანკუვერი), იანე ნინიმა (ფილადელფია), ტეპო ნუმინენი (ფინიქსი)

თავდამსხმელები: სამი კაპანენი (კაროლინა), საკუ კოივუ (მონრეალი), იერე ლეჰტინენი, იუჰა ლინდი (ორივე — დალასი), ტეემუ სელიანე (ანაჰაიმი), იუჰა ილონენი (ფინიქსი)

**გერმანელები**

ლიგაში მოთამაშე ოთხი გერმანელიდან ოლიმპიადის მიღმა მხოლოდ უშტორფი დარჩა. დანარჩენი სამი კი მეკარე ოლაფ კოლციგი (ვაშინგტონი), მცველი უვე კრუპი (კოლორადო) და ფორვარდი მარკო შტურმი (სან ხოსე).

**სლოვაკები**

სლოვაკები 7 მრისხანე თავდამსხმელით წარდგებიან ოლიმპიადაზე. თავად განსაჯეთ:

ზიგმუნდ პალფი (აილენდერსი), პეტერ ბონდრა და რიჰარდ ზედნიკი (ორივე — ვაშინგტონი), იოზეფ შტუმპელი (ლოს ანჯელესი), პაველ დემიტრა და რობერტ პეტროვიცკი (ორივე — სენტ ლუისი) და მიროსლავ შატანი (ბუფალო).

მათ შემტევი მცველი რობერტ შვეჰლაც (ფლორიდა) დაემატა, ასე რომ, სლოვაკებს დაცვის გაძლიერება მართებთ.

**ბელარუსები**

ამ ქვეყნის ნაკრებთან ერთად ნაგანოში გაემგზავრებიან მცველი რუსლან სალეი (ანაჰაიმი) და ფორვარდი ვლადიმირ ციპლაკოვი (ლოს ანჯელესი)

# ნიუ ჯერსის ეშმაკები შეუჩნდნენ

ნიუ ჯერსიში წელს ყველაფერი რიგზეა — იგი საკმაოდ კარგად ასპარეზობს და 34 ქულით ჩემპიონატის პირველ სამეულშიცაა. მიუხედავად ამისა, მოსალოდნელმა კონფლიქტმა მის კეთილდღეობას შესაძლოა საფრთხე შეუქმნას. საქმეს ისევ და ისევ მეამბოხე ჰოკეისტები აფუჭებენ: ჯერ იყო და, კლუბის მესვეურებმა რის ვაივაგლახით დააშოშმინეს ფორვარდი გერინი ახალი კონტრაქტით, ახლა კი გარემარბი ჯონ მაკლინი გაჭირვეულდა. ვეტერანი, რომელიც 1983 წლიდან უცვლელად იცავს „ეშმაკთა" ღირსებას და 347 გოლითა და 354 პასით (933 თამაშში) კლუბის აბსოლუტური რეკორდსმენია, სეზონის ბოლოს თავისუფალი აგენტი ხდება. ჰოდა, ფორვარდმა აქედანვე განიზრახა თავისი ბედის გარკვევა და ნიუ ჯერსის თავკაცებს გაცვლა მოსთხოვა. მაკლინი იმითაცაა უკმაყოფილო, რომ წელს სულ „დამანგრეველ" ფუნქციას აკისრებენ და შემოქმედებით სივრცეს უზღუდავენ.

კონფლიქტი კიდევ უფრო გაამწვავა გერინმა, რომელიც ვერა ვერ შეგუებია ახალ კონტრაქტს და სხვა კლუბში გადასვლას აპირებს.

საინტერესოა, რომ გენერალური მენეჯერი ლუ ლამორელო სრულ სიმშვიდეს ინარჩუნებს და თავისი გუნდის ჰოკეისტთათვის პასუხიც მზად აქვს — ოღონდ რამე მოისურვეთ, ყველაფერს შეგისრულებთო.

# გერმანელების შტურმი

გერმანული ჰოკეის ლეგენდის — ერიკ კიუნჰაკლის შემდეგ იქაურ ქომაგთა კერპი, როგორც ჩანს, ნჰლ-ის ამომავალი ვარსკვლავი მარკო შტურმი იქნება. გერმანელ გულშემატკივართა ოპტიმიზმის საფუძველი მათი თვისტომის შესაშური მონდომებაა. თუ ლიგაში თავისი პირველი თვე 19 წლის ახალბედამ უცხო გარემოსთან შეგუებას მოანდომა, ნოემბერში ფორვარდმა საგრძნობლად მოუმატა და არცთუ იღბლიანად მოასპარეზე სან ხოსეში ერთ-ერთი გამოსარჩევი ჰოკეისტია. შტურმმა უკვე დაისაკუთრა ადგილი „ზვიგენთა" პირველ სამეულში, იგი გუნდის ლიდერს — ოუენ ნოლანს უმშვენებს გვერდს და, ფაქტობრივად, ყველა მატჩში აგროვებს ქულებს. ამჟამად გერმანელის ანგარიშზე 17(5+12) ქულაა, რაც ახალბედათა შორის საუკეთესო მაჩვენებელია. ყველაფერი იმით დაგვირგვინდა, რომ შტურმი ნოემბრის საუკეთესო დებიუტანტად აღიარეს.

## სუმო

# იოკოძუნობისთვის ჰინკაკუ ვერ ეყო!

სუმო (იაპონური ბღლარძუნი) საქართველოში შარშანწინ დაინერგა, თორემ სამშობლოში ორი ათას წლიანი ისტორია აქვს. ამ ხნის მანძილზე მაკუ-უჩის (უმაღლესი ლიგის) უმძიმესი რიკიში (მორკინალი) იყო წარმოშობით ჰავაელი (აშშ) კონიშიკი, ერისკაცობაში სალევაა ფუაული ატისანოე, რომლის სასუმოე თიკუნი ჩვენებურად „მცირედ დიდებად" ითარგმნება.

კონიშიკი (ფოტოზე მარჯვენა) ჩვენი თანამედროვეა. მეტიც, სულ რაღაც 33 წლისაა, მაგრამ აქტიურ სპორტს ახლახანს დაანება თავი. პენსიაზე გასვლის წინ მისი წონა 275 კილო იყო.

კონიშიკმა დიდ სუმოში 15 წელი გაატარა. მეტისმეტი სიმსუქნის გამო ქომაგები „ხორციელ ყუმბარად" უხმობდნენ, მაგრამ ზედმეტმა წონამ მორკინალის ჯანს ავნო და მუხლისა და კოჭის სახსრები ერთიანად დაუავადა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ კონიშიკი ბაშოებზე (ფალავნობებზე) რამდენიმე ტურს ტოვებდა და უმეტესწილად მარცხდებოდა.

ასე მოხდა ბოლო შეჯიბრშიც. იგი 9-23 ნოემბერს, კუნძულ კიუშიუზე, ქალაქ ფუკუოკაში გაიმართა. მის დაწყებამდე კონიშიკი მაეგაშირებში (უფროს მორკინალებში) მეორე იყო, მაგრამ წინა ბაშოში განცდილი ფიასკოს გამო მე-14 ადგილამდე ჩამოაქვეითეს. არადა, „მცირედი დიდება" 1987 წელს არა-იაპონელთაგან პირველი შერაცხეს ოზეკად (ჩემპიონად).



1989 წელს კონიშიკმა [illegible]რველად მოიგო იმპერატორის თასი, მაგრამ თანდათან რომ გაუუარესდა შედეგები, 1993 წელს ოზეკობა ჩამოართვეს. ფუკუოკაში ვეტერანს 13 ტურის შემდეგ ისე არასახარებილო ბალანსი ქონდა, რომ მაკუ-უჩიდან ძურიოს კატეგორიამდე ჩალაბორანტება ვერ აცდებოდა. ჰოდა, პატივცემულმა ოსტატმა იგრძნო რა მოახლოებული შერცხვენა, სარბიელს დროით გაეცალა — განდგომა აცნობა სუმოს ასოციაციას და ბოლო ორ შებმაში აღარც უმონაწილევია.

ბაშო თვე-გამოშვებით იმართება. წინა ორი — ივლისისა (ნაგოიაში) და სექტემბრისა (ტოკიოში) მოიგო იოკოძუნა (ჩემპიონთა ჩემპიონმა) ტაკანოჰანამ. სულ ამ დიდოსტატს 18 ტიტული აქვს მოხვეჭილი და ასპარეზზე აღმოსავლეთიდან ადის ხოლმე.

მეორე იოკოძუნა, არენაზე დასავლეთიდან რომ გადის, აკებონო ანუ ჰავაელი ჩად როუვანია. მან მაისის ბაშოში გაიმარჯვა, მაგრამ სექტემბრისაში მუხლი დაიშავა და ფუკუოკაში აღარ უჭიდავია. ისე კი, სულ 9 ფალავნობა აქვს მოგებული.

ბაშო 15 დღეს გრძელდება. ტაკანოჰანა V დღეს დაამარცხა მაეგაშირა ასაჰიუტაკამ, ოზეკები — მუსაშიმარუ და ტაკანონამი კი პირველად IX დღესღა დამარცხდნენ. ლიდერთა სამეულმა ბოლოსწინა დღეს 12 მოგებითა და თითო წაგებით უწია. აქ ტაკანონამიმ დასცა მუსაშიმარუ, ტაკანოჰანამაც მოიგო, ბოლო დღეს კი მუსაშიმარუ, ვინაც სინამდვილეში ჰავაელი ფიამალუ პენიტანია, ტაკანოჰანამაც წააქცია.

ტაკანო-ებს 14 მოგება დაუგროვდათ. დამატებით შებმაში ოზეკმა -ნამიმ ძლია იოკოძუნა -ჰანა და თუ იანვარშიც იფალავნებს, იოკოძუნობაზე წარადგენენ.

ეს იოკოძუნობა სუმოში უზენაესი პატივია. კონიშიკი ხალხს ერთობ უყვარს, მაგრამ იაპონელებმა ეს წოდება მისთვის მაინც ვერ გაიმეტეს. სუმოს ტრადიციონალისტ მამებს თავის დროზე განუცხადებიათ, მაგ ამერიკელს აკლია გამოცდილება და ჰინკაკუ (რაც ქართულად ღირსებას ნიშნავს); შებმასაც ოდენ ჭარბი წონის წყალობით იგებსო.

ამან ვეება კონიშიკს გული ატკინა. მან იაპონელებს ერთი პირობა რასისტობაც დააბრალა, მაგრამ მედიამ სკანდალი რომ გააჩაღა, ბოდიში მოიხადა.

კონიშიკი 1994 წლიდან იაპონიის მოქალაქეა. ამისთვის რომ მიეღწია, ცოლად შეირთო ფოტომოდელი სუმიკა შოიდა, რომელიც 50 კილოს იწონის.

სარბიელთან გამოთხოვებისას კონიშიკმა ყველა ქომაგს საჯაროდ მოუხადა მადლობა. ახლა ოსტატი ახალი, იაპონური პასპორტის შემწეობით რიკიშთა სკოლას გახსნის, ბღლარძუნს მთელ მსოფლიოში გაუწევს პროპაგანდას და იმისთვისაც იმეცადინებს, რომ სამოყვარულო სუმო 2008 წლის ოლიმპიადაზე მოხვდეს.

**ალექსი ჯიშიაშვილი**
საქართველოს სუმოს დარბაზის
პასუხისმგებელი კომისარი

## რაგბი

### „ოლ ბლექსის" ტურნე

ტვიკნემში „ოლ ბლექსს" მძიმე თამაში ელის. ერთი, რომ გუნდი უმაგალითო მიღწევას უმიზნებს: თუ გაიმარჯვა, წელს გამართული 12-ვე ტესტი მოგებული ექნება.

მეორეც, ინგლისი რევანშის იშტაზეა. გუნდს რაგბის მამებმა წელს პირველად გაუმართეს საშემოდგომო სერიალი — სამხრეთელი ბობოლები დაუპატიჟეს და ზედიზედ ოთხ შაბათ-დღეს დააჯახეს. ინგლისმა აქამდე ორი თამაში წააგო (ახალ ზელანდიასთან და სამხრეთ აფრიკასთან) და ერთიც ფრედ დაასრულა (ავსტრალიასთან). მოკლედ, თუ ისევ ვერ გაიმარჯვა, მის რეპუტაციას წყალი შეუდგება.

მატჩისთვის სამზადისი სწორედ ამ მოსაზრებათა ფონზე წარიმართა. მასპინძელთა ახალი მოძღვარი კლაივ ვუდვორდი იმედს არ კარგავს. ამბობს, ბიჭები საომრად იწევენ; ისინი ეგზომ აღტკინებული არასოდეს მინახავს და თუ ამჯერადაც ვერ გავიმარჯვეთ, ძლიერ მეწყინებაო (!)

სერიალში ინგლისი მატჩიდან მატჩამდე აუმჯობესებდა თამაშს. მეორე მატჩში მანჩესტერის „ოლდ ტრეფორდზე" ზელანდიას ძალიან მაგრად დაუდგა. „ოლ ბლექსმა", რა თქმა უნდა, უსიტყვოდ გაიმარჯვა 25:8, მაგრამ თამაშის ბარემ ნახევარი ინგლისი უტევდა, ზელანდია კი მისგან განსხვავებით ვაჟკაცურად კი არა, ლაჩრულად იცავდა თავს — თამაშგარეს წესს წამდაუწუმ არღვევდა და მასპინძლებს შემოქმედებით თამაშს უხშობდა.

„ოლ ბლექსის" ამგვარი ტაქტიკა არ ახალია, ძველია. პროფესიული რაგბის ხანაში გუნდი მას მაშინვე აამუშავებს ხოლმე, როგორც კი გაუჭირდება, მაგრამ რაკი ზელანდიელებს მსოფლიო რაგბში შეუვალი ავტორიტეტი აქვთ, მსაჯები მათ დასჯას ერიდებიან. გარდა ამისა, ტესტებში სინ-ბინი ანუ მოედნიდან 10 წუთით გაძევება არ მოქმედებს. ამისი წყალობით ზელანდიელები მეტოქეს გვარიანად უშლიან ნერვებს და თუ ამათი დამრტყმელი ვერ ივარგებს, იოლად იმარჯვებენ.

ასე მოუვიდა ინგლისს. მაიკ კეტს ორი კვირის წინ ფეხი რომ არ აკანკალებოდა, „ოლ ბლექსი" როგორ გაილაღებდა, ამასაც ვნახავდით. დღეს კეტი მოედანზე ვეღარ გავა, რადგან წინა შაბათს თავი დაიშავა და დიდი ხნით გავარდა, მისი შემცვლელის მოსაძებნად კი, გაზეთ „ინდეპენდენტის" მოსწრებულად ნათქვამისა არ იყოს, ნაკრების მწვრთნელები თოჯინების მალაზიასაც კი მიაკითხავდნენ, მაგრამ „ლა-ლას" იმიტომ დაიწუნებდნენ, რომ კარში ხეირიანად ვერ ურტყამს.

ზელანდიელთა ტაქტიკური სიმუხთლე „დეილი ტელეგრაფის" მესვეტემ, ინგლისის ნაკრების ძველმა მეორეხაზელმა, ოქსფორდის უნივერსიტეტ დამთავრებულმა კრიმინალისტმა პოლ ეკფორდმა ამხილა. მან სტუმრებს „ცინიკოსი ყალთაბანდები" უწოდა. ამან ერთობ გააბრაზა „ოლ ბლექსის" მწვრთნელი ჯონ ჰარტი. კაცი პირდაპირ გადაირია: ინგლისის ბურჯმა კოკრილმა „ჰაკა" გააბიაბურა, მეორეხაზელმა ჯონსონმა კაპიტან მარშალს ღრანჭი მოუნგრია, ნამატჩევს ინგლისმა მოედანს ისე შემოურბინა, თითქო მას მოეგო და არა ზელანდიას, ახლა კი მძლეთა-მძლე გუნდს „სპორტული აფერისტობაც" დააბრალეს.

მცირე მსოფლიო თასი დღეს მთავრდება. წლის ბოლო დიდ ტესტებში ინგლისი ტვიკნემში მასპინძლობს ახალ ზელანდიას, შოტლანდია კი მარიფილდში — სამხრეთ აფრიკას.

ჰარტმა ივარაუდა, მასპინძლები ყველაფერ ამას ჩემი ბიჭების მწყობრიდან გამოსაყვანად ჩადიანო. კიდეც დაიქადნა, მაგითი არაფერი გამოუვათ; ჩვენი გუნდი გახელდება და პომებს მოედანზე დაუმტკიცებს, ვინ უფრო ძლიერია; რაგბი სტადიონზე ითამაშება და არა მედიის მეშვეობითო.

მოკლედ, ტვიკენემში დიდი ბათქია მოსალოდნელი. ზელანდიას თხუთმეტეულში ისევ ვერ ეყოლება ოდინდელი კაპიტანი და კვაჰი შონ ფიტსპატრიკი, ვისაც ნაოპერაციევი მუხლის გაშლა ჭერაც უჭირს. არ იქნება ვარჯიშზე დაშავებული ბურჯი კრეგ დაუდიც, მაგრამ მას ხოტორა მარკ „ბულ" (ხარი) ალენი რომ შეენაცვლება, გუნდი ვინძლო კიდეც გაძლიერდეს. და კიდევ, კოლორიტული 8 ნომერი ზინზან ბრუკი ბოლო, 58-ე კეპს მოიხვეჭს. „ზინი" გაისად თავს ანებებს ზელანდიურ რაგბს და სიბერის გატარებას ლონდონის „ჰარლიქვინზში" ფიქრობს.

ზელანდიელები ოპტიმისტურად კი არიან განწყობილი, მაგრამ მათიანი ჟურნალისტები შფოთავენ. გუნდმა



ორი კვირის წინ, „ოლდ ტრეფორდზე" „ოლ ბლექსის" ტანკი ჯონა ლომუ ორად ორჯერ გაქანდა. ამ ჯერზე ჰილმა და დიპროუზმა (8) გააჩერეს

როიტერი მანჩესტერიდან

# დიდი ბათქი იქნება

ერთი კვირის წინ „უემბლიზე" 42:7 რომ მოსრა უელსი, სპეციალისტები მაინც დაუკმაყოფილებელი დატოვა „ოლ ბლექსის" ქარაფშუტულმა თამაშმა. ნაქებმა მოთამაშეებმა რაგბის ძირეული პრინციპები დაივიწყესო, — წერენ კრიტიკოსები, — და თუ ინგლისს უელსივით გახსნილი ექნა ხელ-ფეხი, მარცხს ვერ გადავურჩებითო.

მოშიშრებს ალბათ ისიც ახსოვთ, რომ ზელანდიას ტვიკნემში აქამდე სამჯერ მოცარვია ხელი: 0:13 (1936 წელს) და ორგზის 9:15 (1983 და 1993 წლებში). ის ბოლო მატჩი 27 ნოემბერს გაიმართა. მაშინდელი გუნდიდან სტუმრებს დღეს ეყოლებათ ვილსონი (14), ბანსი (13), ბრაუნი (3), ი. ჯოუნზი (4) და ზინზანი, ვინაც ოთხი წლის წინ ფლანკერი იყო. „ოქროს ბიჭ" ვილსონს მაშინ კარში დამრტყმელობა ებარა და ხუთი მარცხი მოუვიდა. სამაგიეროდ, ინგლისელმა კალარდმა ოთხი საჯარიმო შეაგდო, ენდრიუმ — ერთი არეკნი, და ფრედ დასამთავრებელი მატჩიც ინგლისმა მოიგო.

**ლუკა ჯორჯიაშვილი**

> **წლის ბოლო დიდი რაგბი**
> დღეს, ჩვენებურად 19 საათზე,
> პირდაპირ ტვიკნემიდან;
> მხოლოდ VII არხით და ისიც
> მხოლოდ თბილისის სამ უბანში:
> ინგლისი — ახალი ზელანდია!

30.11. დუბლინი, ლენზდაუნ როუდი. მხოლო ტესტი. ირლანდია 33 (15) (5ლ: ნოლანი 2, მაკგინესი, მეგსი, კოსტელო; გ და 2ს: ელვუდი) — კანადა 11 (6) (ლ: კარდინალი; 2ს: რიისი)

ირლანდია ორი კვირით ადრე „ოლ ბლექსთან" 15:63 დამარცხდა, კანადას კი იოლად მოერია. მოკლედ, მსოფლიო რაგბი კვლავაც დონეებადაა დაყოფილი და მათ შორის საკმაო სხვაობა რჩება.

მასპინძლებს ტრავმების გამო აკლდნენ „ლომები": კვაჰი ვუდი, მეორეხაზელი დევიდსონი და მარბიელი მილერი. ვუდის მაგივრად კაპიტანად ბურჯი პოპლველი იყო. რაც შეეხება კანადას, მას ინგლისში დამკვიდრებული 10 ნომერი გარეთ რიისი თავკაცობდა.

კანადამ დუბლინამდე ბესფასტიც მოიხილა: „რეივენ ჰილზე" (ყორნის გორაზე) 10:26 წააგო ირლანდიის „ა" (მეორე) ნაკრებთან.

## კრივი

# ჩემპიონი ერთი გვსურს!

რა აღელვებთ კრივის ქომაგებს მთელ მსოფლიოში? რად დაუჟინებიათ, მძიმე წონაში ერთი, უცილობელი ჩემპიონის ყოლა გვსურსო? რად აგინებენ საკრივო გაერთიანებებსა და პრომოუტერთა ამქარს? ანაც ფასიან ტელე-არხებს რას ერჩიან?

30 ნოემბერს სამმა პატივდებულმა საკრივო გაერთიანებამ ერთდროულად გამოაქვეყნა ჩემპიონთა სია. „სარბიელში" წინა ამგვარი ნუსხა ზუსტად 16 თვის წინ გვებეჭდა. იმა და ამ მონაცემების შედარებით ირკვევა, რომ კეთილშობილთა სპორტში გამეფებულ დომხალს მეტად უმძლავრია: შეცვლილა ნახევარზე მეტი — 27 ჩემპიონი, ხუთი ადგილი კი ვაკანტური გამხდარა.

მძიმე წონაში საქმე აშკარად სხვებზე უკეთაა: ორი ვერსიით ჩემპიონი ჰოლიფილდია, მესამეთი — ლუისი. არცერთ სხვა წონაში ვერ მოიძებნება არათუ ერთპიროვნული ჯილა, არამედ თუნდაც ერთბაშად ორი სარტყლის პატრონი.

და მაინც, გულშემატკივარს მძიმე წონა ყველა სხვაზე მეტად უფორიაქებს სულს. მისი ჩემპიონი ხომ ჭეშმარიტად მსოფლიოს უდიდესი მოკრივეა. ამიტომაა მრავალ-ხელისუფლებიანობა ამ წონაში ძნელად შესაწყნარებელი!

| წონა<br>ვბკ-ის სახელები | ზღვარი<br>გირვანქა = 454 გრ | საბჭო (ვბკ)<br>მეხიკო (მექსიკა) | ასოციაცია (ვბა)<br>კარაკასი (ვენესუელა) | ფედერაცია (იბფ)<br>პორტსმუთი (აშშ) |
|---|---|---|---|---|
| მძიმე | შეუზღუდავი | ლენოქს ლუისი (ბრიტ)<br>32-1 (26) * | ევანდერ ჰოლიფილდი<br>35-3 (25) * | ევანდერ ჰოლიფილდი<br>35-3 (25) * |
| კრეისერისა | 190 | მარსელო დომინგესი (არგ)<br>22-1-1 (12) | ფაბრის ტიოსო (საფრ)<br>37-1 (23) + ˆ | იმამუ მეიფილდი<br>17-1 (13) * |
| ქვე-მძიმე | 175 | --- | ლუ დევალი<br>27-1 (19) * | უილიამ გუთრიე<br>24-0 (21) * |
| ზე-საშუალო | 168 | რობინ რიიდი (ბრიტ)<br>25-0-1 (18) * | ფრენკ ლაილზი<br>31-1 (19) | ჩარლზ ბრუერი<br>29-5 (20) * |
| საშუალო | 160 | კით ჰოლმზი<br>29-1 (19) | ხულიო სესარ გრინი (არგ ?)<br>22-2 (16) * ? + | ბერნარდ ჰოპკინსი<br>33-2-1 (25) |
| ზე-„ველთერი" | 154 | ტერი ნორისი<br>47-6 (31) | ლორან ბუდვანი (საფრ)<br>35-2 (31) * | რაულ მარკესი<br>28-0 (20) * |
| „ველთერი" | 147 | ოსკარ დელაჰოია<br>26-0 (21) + | აიკე ქორტი (განა)<br>34-0-1 (29) | ფელიქს ტრინიდადი (პ-რიკო)<br>32-0 (28) |
| ზე-მსუბუქი | 140 | --- | კალიდ რაიუ (საფრ)<br>31-2 (16) * | ვინს ფილიპსი<br>37-3 (26) * |
| მსუბუქი | 135 | სტივ ჯონსტონი<br>23-0 (13) * | ორზუბეკ ნაზაროვი (რუს)<br>25-0 (19) | შეინ მოზლი<br>25-0 (23) * |
| ზე-ბუმბულისა | 130 | ხენარო ერნანდესი<br>37-1-1 (17) * | იონგ-სუუ ჩოი (კორეა)<br>23-2-1 (13) | არტურო გატი<br>29-1 (24) |
| ბუმბულისა | 126 | ლუიზიტო ესპინოზა (ფილიპ)<br>41-7 (21) | ვილფრედო ვასკესი (პ-რიკო)<br>50-7-3 (37) | --- |
| ზე-მამლისა | 122 | ერიკ მორალესი (მექს)<br>27-0 (21) * | --- | ვუიანი ბუნგუ (სამხ. აფრ)<br>34-2 (18) |
| მამლისა | 118 | ძოიჩირო ტაცუიოში (იაპ)<br>15-4-1 (12) * | ნანა კონადუ (განა)<br>37-3-1 (29) | ტიმ ოსტინი<br>16-0-1 (15) * |
| ზე-ბუზისა | 115 | ჯერი პენალოზა (ფილიპ)<br>38-1-1 (23) * | იოკთაი სითოარი (თაი)<br>14-0-1 (8) * | ჯონი ტაპია<br>41-0-2 (24) * |
| ბუზისა | 112 | ჩატჩაი სასაკული (თაი ?)<br>32-1 (23) * | ხოსე ბონილა (ვენეს)<br>24-3 (12) * | მარკ ჯონსონი<br>33-1 (24) |
| ქვე-ბუზისა | 108 | სამან სორჯატურონგი (თაი)<br>36-2-1 (29) | პიჩიტნოი სირივატი (თაი)<br>18-1 (11) * | --- |
| ჩალისა | 105 | რიკარდო ლოპესი (მექს)<br>46-0 (36) | როზენდო ალვარესი (ნიკარ)<br>24-0 (16) | რატანპოლ ვორაპინი (თაი)<br>34-2-1 (27) |

* ახალი ჩემპიონი; + წონაში აინაცვლა; ˆ სხვა ვერსიიდან გადმოვიდა; სადაურობის მიუთითებლად აშშ
— ვაკანსია; ბალანსი: მოგება - წაგება - ფრე (ნოკაუტით გამარჯვება)

**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოდის
ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
ზურაბ მეძველია
ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი
სხვა სახეობათა განყოფილება:
ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე, ლევან ჯავახიშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე
სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ლევან ჩხეიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29